სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 24 ივნისი 1999 №117 (890) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკა ჩხეიძე სამგურალში?

საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე შესაძლოა საგაისოდ თასის ფინალისტს შეუერთდეს

რონალდო დაშავდა

ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი თანაგუნდელს დაეჯახა და თავი გაიტეხა



ბორის ბეკერი უიმბლდონზე ყურის აწევას გადარჩა

დიდი გერმანელის ფეხმძიმე მეუღლეს ქმრის ქომაგობა კინაღამ ნაადრევ მშობიარობად დაუჯდა

აზოტი — ვითა 2:0

თუ რუსთაველებმა დღესაც გაიმარჯვეს, საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება

საქართველოს ჩემპიონატი

იხილეთ მეცამეტე გვერდი

გურამ ფოლადაშვილის ფოტო

ვითა — აზოტი 71:72. ვითელი ალეკო დავითულიანი (ბურთით) რუსთაველთა ალყაში

წაუგებელი მხოლოდ იუგოსლავიაა!

EURO BASKET 99 FRANCE

გუშინ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე გაირკვა ის თორმეტეული, რომლიც 26 ივნისიდან ორ ჯგუფად გააგრძელებს ბრძოლას ჩემპიონობისთვის. ამ თორმეტ გუნდში მოხვედრა ვერ შეძლეს მაკედონიამ, უნგრეთმა, ბოსნიამ და საბერძნეთმა

AFP ტულუზიდან

იუგოსლავია — საფრანგეთი 63:52. დეიან ბოდიროგას (№4) შეჩერება ლორან ფუარესაც გაუჭირდა და დანარჩენ ფრანგებსაც

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

E ჯგუფი

იუგოსლავია	3	3	0	227:181	6
რუსეთი	3	2	1	210:191	4
საფრანგეთი	3	2	1	200:196	4
ესპანეთი	3	2	1	231:229	4
სლოვენია	3	2	1	204:209	4
ისრაელი	3	1	2	191:220	2

F ჯგუფი

თურქეთი	3	2	1	188:169	4
ჩეხეთი	3	2	1	228:211	4
ლიტვა	3	2	1	228:216	4
იტალია	3	2	1	196:190	4
ხორვატია	3	2	1	198:197	2
გერმანია	3	2	1	210:210	4

დინამომ მესამედ დაიწყო

თბილისი
23 ივნისი
18.30 საათი
ეროვნული
3 500 (ტევადობა 75 000)

დინამო 0:0 ერევანი

დინამო: ზოიძე (ლომაია 85), ხიზანეიშვილი (ხიზანიშვილი 51), თ. კობიაშვილი, ვაშაკიძე, გამცემლიძე (ახალაია 80), ა. სახვაძე, აფციაური, ს. გიგიაძე, წიტაიშვილი, ქებაძე (შაშიაშვილი 83), გ. შენგელია (პარამონოვი 65)
ერევანი: კუზნეცოვი, აივაზიანი, პეტიკიანი, მკრიანი, ბაბაიანი, მკრტჩიანი (გალსტიანი 68), მარსელო, ნიგონიანი (ოგანესიანი 83), პოლოსიანი (დ. გრიგორიანი 54), დოხუიანი, იაგმურიანი (ადჯემიანი 60)
სათადარიგონი: დანგელიანი; ე. გრიგორიანი
გაფრთხილება: გიგიაძე (9), კობიაშვილი (53), სახვაძე (67)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე; მ. მაისურაძე (ყველა საქართველო)
სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

ბადრი კვირიკაშვილის ფოტო

ფრანსუა დე იონგი და იოჰან ბოსკამპი თამაშს აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსიდან უცქერდნენ

პაატა კვანტალიანი

საკონტროლო მატჩების დატვირთვის თავადაც კარგად მოგეხსენებათ. ასეთი შეხვედრები უებარია ფეხბურთელთა გამოცდა-შეთამაშებისთვის. როგორც ცნობილია, იოჰან ბოსკამპმა საპირველვარჯიშოდ 32 ფეხბურთელი იახლა, თუმცა დღევანდელმა მატჩმა (უფრო სწორად მასპინძელთა შემადგენლობამ) დაგვარწმუნა, რომ „დინამოში“ გაცილებით მეტი ფეხბურთელია თავმოყრილი და მათგან, ალბათ, ბევრსაც მოუწევს კლუბის დატოვება. ბოსკამპს ჰოლანდიაში 22 ფეხბურთელის წაყვანის საშუალება ექნება. საჩემპიონთალიგო 25 კაციანი განაცხადის შევსებას ჰოლანდიელი მწვრთნელი ლეგიონერებით აპირებს.

— ამის შესახებ, ალბათ, თქვენც გსმენიათ. ჰოდა, 40-მდე ფეხბურთელის 22-მდე დაყვანას, ბუნებრივია, საკონტროლო მატჩები ესაჭიროება და აგერ, ბატონო, გუშინ ეროვნულზე მეზობლებს — სომხეთის „ერევანს“ ვუმასპინძლეთ. ჩემი აზრით, ბოსკამპმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც თითქმის მესამე შემადგენლობა ათამაშა სომხების წინააღმდეგ. ვერ დავიჩემებ, რომ „დინამო“ პირველი შემადგენლობით ბდღვირს ადენდა სტუმრებს, მაგრამ ფაქტია, ალღოიანმა მწვრთნელმა ისე რა სიძლიერის მეტოქეს, მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდი დაუპირისპირა, ამგვარ თამაშში კი უფრო უკეთ შეიმჩნევა ფეხბურთელის დადებითი მხარეები თუ ნაკლოვანებები. ჰოდა, იოჰან ბოსკამპმა ზურგი აქცია მწვრთნელთა ტრადიციულ ადგილს, თან ფრანსუა დე იონგიც იახლა და მატჩის საყურებლად ზედა იარუსზე მოკალათდა. მთავარ მწვრთნელს ფურცლის და კალმის წაღებაც არ დავიწყებია. არ ვიცი, რა ჩაინიშნა ჰოლანდიელმა, ან რომელი ფეხბურთელი მოეწონა, ვერც იმას ვიტყვი, რომელიმე დინამოელმა ცუდად ითამაშა-მეთქი, მაგრამ ფაქტია, საშინლად საძაგელი და მოსაწყენი თამაში გამოვიდა.

გუშინ სპორტის ქომაგი გარკვეული არჩევანის წინაშე იდგა, 18 საათზე ხომ სპორტის სასახლეში „ვიტა“ და „აზოტი“ ერკინებოდნენ ერთმანეთს. ჰოდა, ფეხბურთი, თუ კალათბურთი — გულშემატკივარს ერთ-ერთი უნდა ერჩია... ეროვნულ სტადიონზე მოსულნი აშკარად შეცდნენ. სანახაობა საბურთალოზე იყო.

სანამ უშუალოდ მატჩის რამდენიმე აბზაცში ჩასატევ პერიპეტიებზე გადავალთ, ცოტა რამ სტუმრებზეც ვთქვათ. გასულ სეზონში „ერევანმა“ სომხეთის თასის ფინალამდე გააღწია და იქ ქვეყნის ჩემპიონ „ცემენტთან“ დამარცხდა. სწორედ ამის წყალობით მოიპოვა მესამე ადგილზე გასულმა გუნდმა უეფას თასზე თამაშის საგზური. წლევანდელ ჩემპიონატში კი ზედიზედ ორ მარცხს ერევნელები მეხუთე საფეხურზე ჩაუნაცვლებია, ყოველივეს კი მთავარი მწვრთნელის გუნდიდან დათხოვნა მოჰყოლია და ახალი მწვრთნელი არმენ სარქისიანი სულ რაღაც ათი დღის დანიშნული ყოფილა. თამაშის შემდეგ იგი მატჩის შედეგით კმაყოფილი კი იყო, მაგრამ თავის ფეხბურთელებზე განაწყენებული ჩანდა — ჩემმა გუნდმა „დინამოს“ კომპლექსი ვერ დაძლია, მრისხანე სახელმა მაინც თავისი გააკეთაო. სარქისიანის ამ ნათქვამში თავისებური კომპლიმენტიც არის (ცოტა გადაჭარბებულიც) ჩვენი გუნდის მისამართით, მაგრამ, ალბათ, იფიქრებთ კიდევ კარგი, სომხებმა არ იცოდნენ, რომ მეტოქე უსათადარიგოესი შემადგენლობით (თუ არ გჯერათ, მატჩის ოქმს გაეცანით) ითამაშებდა, თორემ იქნებ გაემარჯვათ კიდეცო. არა, არა მასეც არ ყოფილა საქმე. შეუძლებელი იყო, გუშინ სტუმრებს ემარჯვათ, დინამოელთა კარის მისამართით ხეირიანად ხომ სულ ორჯერ გაიწიეს, ერთი გოლითაც კი დაასრულეს, მაგრამ ფეხბურთში თამაშგარეებიც არსებობს. ჰოდა, გვერდით მსაჯს იმ მომენტში ალმის ალმართვა არ დაზარებია.

მე-20 წუთზე ხიზანეიშვილის შორეულმა ძლიერმა დარტყმამ ბევრი გამოაღვიძა სტადიონზე (კი, კი ეძინათ, ჩვეულად მშვიდად, თანაც დასავლეთ ტრიბუნას ჩრდილი უდგებოდა). ათი წუთის შემდეგ სახვაძემ ეფექტური ფინტი ჩაუტარა მკრტიჩიანს და მეტად სასაცილო მდგომარეობაშიც ჩააგდო — გაბრუებული ფეხბურთელი ცალ ფეხზე შემდგარი გაიყინა რამდენიმე წამით. იქვე შენგელიას შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ წიტაიშვილს მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს თავის თავი ვერ დაახვედრა დროულად. პირველ ნახევარში სულ ეს იყო. მეორე ტაიმში კი გაკეთდა უამრავი შეცვლა (ისევ ოქმი მოიშველიეთ), მაგრამ თამაშის სურათი არადა არ იცვლებოდა — „დინამო“ მცირე უპირატესობას ფლობდა, თუმცა ამით დიდად ვერ სარგებლობდა. ასე გაგრძელდა შეხვედრის მე-60 წუთამდე. შემდეგ კი თბილისელები უფრო გაუშინაურდნენ ერევნელთა საჯარიმოს მისადგომებს, მარცხენა ფლანგზე სახვაძე გააქტიურდა. დროდადრო ქებაძეც ამწვავებდა სიტუაციას, თუმცა არა იმდენად, რომ ყოველივე საგოლედ საკმარისი ყოფილიყო. რეალური მომენტი „დინამომ“ 67-ე წუთზე შექმნა. შეტევაში ჩართულმა გამცემლიძემ გამოზომილი პასით წიტაიშვილი მონახა, ამ უკანასკნელს გოლის გატანა მართებდა, მაგრამ [illegible] პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა. პირადად დიდი სურვილი მქონდა, მენახა, თუ რა ფორმაშია „დინამოში“ ახლახანს დაბრუნებული ირაკლი ზოიძე. სურვილი სურვილადვე დამირჩა, ირაკლი თამაშში ხეირიანად 70-ე წუთზე ჩაერთო, როცა დოხუიანის არცთუ მწვავე ჩაწოდება მუშტებით გააუვნებლა. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ თამაში მშვიდად მიილია.

ამ უინტერესო მატჩიდან სათქმელად ერთიც შემოვინახე. ნურავის გავეჯიბრებით წმინდა სპორტული თვალსაზრისის გარდა, მაგრამ გუშინდელმა მატჩმა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ უცხოელი ფეხბურთელები მაინც თავისებურ ხიბლს მატებენ ნებისმიერი დონის გუნდის თამაშს და თუ სომხებმა ასე თუ ისე წარმატებით გადაჭრეს ეს პრობლემა, ჩვენ რატომ ვერ უნდა შევძლოთ იგივეს გაკეთება. „ერევანში“ ორი უცხოელი თამაშობდა და ამ უფერულ შეხვედრაშიც კი ისინი მაინც გამოირჩეოდნენ დანარჩენებისგან. ერთი მათგანი არგენტინელი დევანკ მარსელო გახლდათ. მოძრავი, მუდამ შემართული, თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტს ცდილობდა, პარტნიორთა პერიოდულ გადაცემებს მუდამ უხვდებოდა და ერთი ორჯერ ფლანგზეც მშვენივრად დაუსხლტა ქართველ მცველებს. სტუმართა მეორე უცხოელი ფეხბურთელი კარის დარაჯი, რუსი ვასილ კუზნეცოვიც არ გამოიყურებოდა ურიგოდ და პოზიციურადაც ნაკლებს სცოდავდა. ეგ არის, დიდი ჯაფა მასაც არ დასდგომია. სხვათა შორის, კუზნეცოვს მატჩის შემდეგ იოჰან ბოსკამპი, ფრანსუა დე იონგი და ზაზა ბოკერია შეხვდნენ და მათ შორის რამდენიმეწუთიანი საუბარიც შედგა. გადაჭრით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, თუ „დინამოს“ პირველ უცხოელ მოთამაშედ სწორედ ეს ფეხბურთელი მოგვევლინოს. ვნახოთ.

ბურთისთვის ბრძოლა „ერევნის“ საჯარიმოში: საქმე ამაზე შორს იშვიათად მიდიოდა

იბერია: გვაცალეთ, ბატონო!..



ნუგზარ ნიკოლაიშვილი

სამტრედიის „იბერიამ“ X ეროვნულ ჩემპიონატში სეზონის წინ დასახული გეგმა ფრიადზე შეასრულა. შარშან პირველ ლიგაში ხელახლა აღზევებულმა გუნდმა, მიზნად ათეულში მოხვედრა და ქომაგთათვის კარგი ფეხბურთის ჩვენება დაისახა. კარგი ფეხბურთისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გუნდი ათეულში რომ მოხვდა, ფაქტია, თუმცა შიგადაშიგ სამტრედიელები კარგ ფეხბურთსაც კი აჩვენებდნენ. რაც ყველაზე მთავარია, მათ X ეროვნულის ერთ-ერთი აღმოჩენა, ვასილ გიგიაძე ჰყავდათ. ვასოს მხარი მისმა ტყუპისცალმა სოსომაც აუბა და ამ გიგიაძეებმაც იმდენი ქნეს, რომ თავი იოჰან ბოსკამპსაც მოაწონეს. დღესდღეობით სოსო და ვასო „დინამოში“ არიან.

იბერიელთა ერთ-ერთი ლიდერი დავით ხუჭუა ამჟამად ფოთის „კოლხეთს“ ეხმარება ინტერტოტოს თასზე. „იბერიაში“ ჯერჯერობით არ ჩანს მეკარე გუბაზ დოლიძე, სხვები კი ადგილზე არიან. ისე არ გამიგოთ, თითქოს სამტრედიელებმა უკვე დაიწყეს XI ჩემპიონატისთვის მზადება. არა, ამ საქმეს „იბერია“ ჯერ არ შესდგომია...

გუშინ „სარბიელი“ სამტრედიელთა კლუბის პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლაიშვილს გაესაუბრა. პრეზიდენტმა „კარტების ბოლომდე გახსნა“ არ ისურვა, მხოლოდ ის აღნიშნა, „იბერია“ ჩემპიონატისთვის სამზადისს 5 ივლისს შეუდგება დიდი ჯიხაიშის ბაზაზე და ყოველივე იქ გადაწყდებაო. გამოუჩნდებათ თუ არა, „იბერიაში“ ტყუპ გიგიაძეებს, ხუჭუას და დოლიძეს სრულფასოვანი შემცვლელები, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა:

— ძირითადი აქცენტი მაინც ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გაკეთდება, რომელთაც ჩვენი ფარმ-კლუბიდან ავიყვანთ. გვინდა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი შევიმატოთ, ვნახოთ — გვითხრა ნიკოლაიშვილმა.

ხოლო „სარბიელის“ კითხვაზე, თუ კერძოდ ვის მიწვევას აპირებს გუნდში, პრეზიდენტმა თავაზიანად აარიდა თავი, ჯერჯერობით საიდუმლოაო.

გიორგი მაშაკიძე

ქართველმა ლატვიის პოლიცია დაარბია

ლატვიის ჩემპიონატის მორიგ ტურში ნაკრების საბაზო გუნდმა — რიგის „სკონტომ“ სტუმრად პოლიციის გუნდს არასაფეხბურთო ანგარიშით — 9:0 სძლია. მასპინძლების რბევას შეხვედრის მე-3 წუთზე ექს „ვიტ ჯორჯიელმა“ ზურაბ მენთეშაშვილმა დაუდო სათავე, რომელიც ბალტიისპირეთში რეზო ძოძუაშვილმა წაიყვანა. ამის შემდეგ რიგელებმა 8 გოლი გაიტანეს, სამი ნაკრების წევრის ზემლინსკისის ანგარიშზეა.

სიმონ მენაბდე

ნიკა ჩხეიძე სამგურალში?



ნიკა ჩხეიძე

„სამგურალი“ — გასული სეზონის ბუნტისთავი. ეს, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით. ეროვნულ ჩემპიონატში არადა (მეთერთმეტე ადგილი რა გასაკვირია, გუნდი მეოთხეც ყოფილა), თასის გათამაშებაში წყალტუბოელებმა პატარა სასწაული მოახდინეს, „სამგურალმა“ ფინალამდე მიაღწია და, დაგვეთანხმებით, აქაც ვაუკაცურად წარდგა. ეგ იყო, აშკარად არ გაუმართლა და საბოლოოდ თერმეტმეტრიანების სერიაში დათმო თასი „ტორპედოსთან“.

წყალტუბოელთა ამ წარმატებაში ლომის წილი გაიოზ დარსაძემ დაიდო. ალალად. მართალია, მწვრთნელს სეზონის გასრულებამდე ორი თვით ადრე მოუხდა გუნდის დატოვება, მაგრამ, აბა, ვინმეს ენა მოუბრუნდეს და დარსაძეს დამსახურება წყალში ჩაუყაროს... „სამგურალი“ დარსაძემ შეკრა და ფეხზე დააყენა. სხვა საქმეა ის, რომ მწვრთნელმა საკუთარი ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განახორციელა, თუმცა „ლოკომოტივთან“ თასის ნახევარფინალურ მატჩებში და ჩემპიონატის საფინიშო თვენახევარში გუნდს მაინც ეტყობოდა დარსაძის ხელი. ალბათ, იმიტომაც, რომ ამ პერიოდში გუნდს მისი ერთგული თანაშემწე დავით გენძეხაძე უძღვებოდა.

თასის ფინალი რომ მოახლოვდა, წყალტუბოური კლუბის მესვეურებმა მოულოდნელად გუნდი რევაზ ბურკაძეს ჩააბარეს. ბურკაძის სამწვრთნელო რეპუტაცია ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მწვრთნელის განკარგულებაში მხოლოდ ერთი კვირა იყო და ბურკაძე თავისი ახალი გუნდის ძველზე გამარჯვებას არც არავის შეჰპირებია.

ამასწინათ გაუწყეთ, რომ რევაზ ბურკაძე კვლავაც გაგრძელებს „სამგურალში“ მუშაობას, გუნდს ახალი სეზონისათვის მოამზადებს. წყალტუბოელები 20 ივნისს შეიკრიბნენ სავარჯიშოდ.

ბურკაძეს გუშინ შევეხმიანეთ და მოკლე კომენტარი ვთხოვეთ „სამგურალის“ წვრთნასთან დაკავშირებით.

— იცით, სანამ ყველაფერი არ გარკვეულა, თავს ვიკავებ საუბრისაგან, — გვიპასუხა მწვრთნელმა — თვის ბოლოსთვის, თუ ღნებავთ, დაგელაპარაკებით. ამ დროისათვის დავლაგდებით და... ძლიერ ჯგუფში მოგვიწევს თამაში. მაგრამ ტირილს ხომ არ დავიწყებთ. ისე, სჯობდა, ფედერაციას სეზონის ბოლომდე არ გაემხილა ჯგუფებში გუნდების განაწილების წესი. ბევრმა ისარგებლა ამით. ჰო, ცოტა მოვიცადოთ და...

ბურკაძის აზრს სავსებით ვიზიარებთ. ჯერ მართლაც ბევრი რამაა გასარკვევი. სანამ „მიდი-მოდი“ არ დამთავრებულა, საუბარი მართლა ძნელია. ჩვენის მხრივ დაინტერესებულ მკითხველს ვეტყვით, რომ „სამგურალში“ ბურკაძის დამხმარედ გია გიგატაძე იმუშავებს. ეს მისი სამწვრთნელო დებიუტი იქნება. გიგატაძეს თავის დროზე „ტორპედოში“, ფოთის „კოლხეთში“ და კიდევ რამდენიმე ჩვენებურ გუნდში უთამაშია, ბოლოს შვედეთშიც იყო. „სამგურალში“ გუნდის უფროსის მანამდე არარსებული შტატიც შემოიღეს და ამ თანამდებობაზე ასევე ვეტერანი ფეხბურთელი იასონ ბზიკაძე დაამტკიცეს.

სხვა სიახლეებს რაც შეეხება. გუნდში ჯერ-ჯერობით არ ჩანან წინა სეზონში დედაქალაქიდან და რუსთავიდან მიწვეული მოთამაშეები. „ლოკომოტივში“ დაუწყია ვარჯიში „სამგურალში“ „ტორპედოდან“ ნანათხოვარ მეკარე დავით ასლანაძეს. რამდენიმე სხვასთან ერთად გუნდიდან წასვლა გადაუწყვეტია წყალტუბოელთა კაპიტანს მიხეილ მახვილაძეს. გრიგოლ თევზაძეს, ლადო ჭყონიას, რატი იობიძეს „ახლებიც“ არ ეთქმით. მათ ადრეც უთამაშიათ „სამგურალში“ და ახლაც დაიწყეს ვარჯიში. ბურკაძეს 12 ადგილობრივი და ქუთაისელი ახალგაზრდა ჰყავს გასინჯვაზე. კიდევ, იმაზე საუბრობენ, რომ ბურკაძეს ქვეყნის ნაკრების ყოფილი მეკარე ნიკა ჩხეიძე შეხმიანებია და, შესაძლოა, მანაც „სამგურალის“ მაისურა მოიჩოგოს.

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

მერანის გასაჭირი



ნუგზარ ნავაძე

თბილისის „მერანი“ ვარჯიშს 20 ივნისს მთლიანი შემადგენლობით შეუდგა და... შეწყვიტა. — ბიჭებმა მთხოვეს, სანამ ჯუბა ჩუხუას არ დავკრძალავთ, მანამდე ვერ ვივარჯიშებთო. მეც, რა თქმა უნდა, თანხმობა განვუცხადე. ასე რომ, ალბათ, გუნდი ამ კვირის ბოლოსთვის განაახლებს მზადებას — გვითხრა გუშინწინ საფეხბურთო კლუბ „მერანის“ პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ. ამავე დროს ბატონი ნუგზარი „მერანში“ უკვე მომხდარ და მოსალოდნელ ცვლილებებზეც გვესაუბრა.

— ჯერ იმათზე გეტყვით, ვინც გუნდიდან წასვლას აპირებს. მოგეხსენებათ, ჩვენთან განათხოვრების პრინციპით კარგა ხანია, თამაშობდნენ მეკარე გიორგი ლომაია და თავდამსხმელი მიხეილ ხუციშვილი. ისინი „დინამოსგან“ ვითხოვეთ. ახლა კი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „დინამომ“ მათი უკან დაბრუნება მოითხოვა, ლომაიას და ხუციშვილს, სამწუხაროდ, „მერანის“ დატოვება მოუწევთ. უცხოურ კლუბებში წასვლას ეშურებიან ბახვა ამბიძე, გელა ქორიძე და სულიკო დავითაშვილი. როგორც იცით, ამბიძეს და ქორიძეს, შესაბამისად ისრაელისა და საბერძნეთის ვარიანტები აქვთ. რაც შეეხება დავითაშვილს, იგი უკვე კარგა ხანია, რაც ჩვენთან თამაშობს. მან გუნდიდან წასვლა მტკიცედ გადაწყვიტა და თუ ღირებული ტრანსფერიც განხორციელდება, ყველანაირად ხელს შევუწყობთ.

ჯერჯერობით თბილისშია, მაგრამ „მერანთან“ არ ვარჯიშობს მცველი გიორგი დავითნიძე. მოგეხსენებათ, იგი სულ ახლახან უკრაინულ ტერნოპოლის „ნივაში“ გადავიდა და ერთწლიანი კონტრაქტიც გააფორმა, მაგრამ ახლა ნანობს. როგორც ვატყობ, „ნივაში“ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც გარედან ჩანდა. ამიტომაც აყოვნებს დავითნიძე იქ ჩასვლას.

კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები დაირღვა. ჩვენ კლუბების დონეზე ვცდილობდით, მოგვარებულიყო ეს ტრანსფერი, მაგრამ არ მოხერხდა. ახლა კი ამ საქმეში უკრაინის და ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებია ჩარეული და იმედია, პრობლემა ჩვენდა სასიკეთოდ გადაწყდება. „ნივასთან“ დავითნიძის კონტრაქტის ერთ-ერთ მუხლში ჩაწერილი იყო, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, იგი უპირობოდ ბრუნდებოდა „მერანში“, ხოლო თუ გუნდი მის გასხვისებას მოისურვებდა, მაშინ სატრანსფერო წილი 40 პროცენტი, „მერანსაც“ უნდა რგებოდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. ჩვენგან დაახლოებით სამი-ოთხი ტრანსფერი განხორციელდა, მაგრამ ამ ტრანსფერებიდან მოგების მიღება ვერა და ვერ შევძელით. ჯერ კიდევ არ დასრულებულა გელა გაბისონიას ტრანსფერიც, რომელიც აგერ უკვე სამი წელი გაჯანჯლდა. ერთი სიტყვით, პრობლემა თავზე საყრელი გვაქვს. საკმაო საფიქრალი გაგვჩენია. გუნდის ფინანსური უზრუნველყოფა, აი, ეს არის დღევანდელი ჩვენი საზრუნავი. უახლოეს მომავალში მთელი გუნდი შევიკრიბებით დამფუძნებელ-სპონსორიანად დავსხდებით, დავილაპარაკებთ და რაღაც შეთანხმებას მივაღწევთ, რომ გუნდს არ გაუჭირდეს, თორემ ასე არ შეიძლება. ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემაა.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— ხომ გითხარით, უნდა შევიკრიბოთ. სწორედ აქ გადაწყდება ყველაფერი. სანამ გუნდში მყარი ფინანსური ბაზა არ იქნება, ყოველგვარ წარმატებაზე და მით უმეტეს, სერიოზულ ტრანსფერზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჯერჯერობით ახლა გუნდში ახალშემატებული სამი კაცი გვყავს. „ღარწყალიდან“ დაგვიბრუნდა განათხოვრებული მეკარე რევაზ ნაჭყეპია. ყოფილი სიონელები — კახა გოდერძიშვილი და დიმიტრი სულთანოვიც ჩვენთან ვარჯიშობენ. სხვა სასურველ ფეხბურთელთა შემატება არ გვაწყენდა, მაგრამ სანამ ფინანსურ საკითხებს არ გადავწყვეტთ, სერიოზულ გარიგებებს ვერ განვახორციელებთ, თავს ვიკავებთ. ერთი სიტყვით, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შეკრების იმედად ვართ. 10-12 ივლისისთვის, ალბათ, ყველაფერი გადაწყდება.

— გავიგეთ, „მერანს“ ახალი მწვრთნელი ეყოლებაო...

— არაა გამორიცხული. ოღონდ ისე არ გამიგოთ, რომ სერგო გაბელაიასი უკმაყოფილონი ვიყოთ. სერგომ თავისი საქმიანობით ხელ-ფეხი გაგვიხსნა. მისით, როგორც კლუბის პრეზიდენტი, კმაყოფილი ვარ, კარგი მწვრთნელია. არის რეალური შანსი, რომ სერგო გაბელაია გერმანიაში, კიოლნში, გაემგზავროს სამწვრთნელო კურსებზე სასწავლებლად. დარწმუნებული ვარ, ეს მის სამწვრთნელო კვალიფიკაციას ზედმიწევნით აამაღლებს. ამ საქმეში ფეხბურთის ფედერაციაც მხარს გვიჭერს.

— გაბელაიას კიოლნში წასვლის შემთხვევაში, ბუნებრივია, „მერანი“ უმწვრთნელოდ არ დარჩება...

— მართალია, გაბელაია გერმანიაში სავარაუდოდ შემოდგომაზე გაემგზავრება, სეზონის დაწყება მას მოუწევს, მაგრამ ჩვენ აქედანვე ვიზრუნეთ და დღეისთვის რეალურ კანდიდატზე შევაჩერეთ არჩევანი. გაბელაიას წასვლის შემთხვევაში, გუნდის მთავარ მწვრთნელად თემურ ჩხაიძე იმუშავებს. იგი „მერანში“ აქამდე მეორე მწვრთნელი იყო. ალბათ ასე აჯობებს, კლუბის სამზარეულოში უკეთაა ჩახედული, დარწმუნებული ვარ, არჩევანში არ შევმცდარვართ.

გიორგი ვაშაკიძე

მიხეილ ფოცხვერიამ ზაპოროჟიეში გაიბრწყინა

ფინეთის ათდღიანი შეკრება დონეცკის „შახტიორთან“ ერთად დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ქართველ ლეგიონერ მიხეილ ფოცხვერიას ერთობ წაადგა. 29-ე ტურში „დნეპრში“ განათხოვრებულმა ქართველმა „ფანტასტიკურად ითამაშა“ (უკრაინული მედიის სიტყვებია) ზაპოროჟიეში, ქალაქში სადაც ფოცხვერიას საფეხბურთო კარიერა დაიწყო.

ადგილობრივ „მეტალურგთან“ მატჩი სტუმრებმა მთლიანად დონეცკიდან არენდით გადმოყვანილ შელაევსა და ფოცხვერიაზე ააგეს. არც შემცდარან. ჯერ შელაევის პასით კალინიჩენკომ გაუქვითა წინ გასულ „მეტალურგს“ ანგარიში, შემდეგ კი ფოცხვერიამ დაწვინა მცველი და მშვენიერი დარტყმით მე-60 წუთზე მეორედ დაამწუხრა გახარებული ზაპოროჟელები (ამ დროისთვის ისინი 2:1-ს იგებდნენ).

ქართველს გოლამდეც მრავალი მომენტი ჰქონდა, რის გამოც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. როგორც ჩანს, ფოცხვერია აშკარად კარგ ფორმაშია, წინააღმდეგ შემთხვევაში, დონეცკში დაბრუნებული ბიშოვეცის ყურადღებას არ მიიქცევდა და არც მედიის დითირამბებს დიამსახურებდა. ურიგო არ იქნება, ბოსკამპმა ნაკრებში მას შანსი მისცეს. ფოცხვერიასგან განსხვავებით, მისი ახლანდელი კლუბისთვის ისტორიაში ყველაზე ცუდი სეზონია. „დნეპრი“ მე-12 ადგილზე დაეშვა.

სიმონ მენაბდე

ვინ იქნება №1?

ქუთაისის „ტორპედოსა“ და წყალტუბოს „სამგურალის“ ყოფილი მეკარე დავით ასლანაძე მომავალ სეზონში, სავარაუდოდ, თბილისის „ლოკომოტივის“ ღირსებას დაიცავს.

ასლანაძემ რკინიგზელებს მეორე წრეში მოაწონა თავი. გუნდის ყოფილმა მწვრთნელმა თემურ მახარაძეც მისი „ლოკომოტივში“ მოწვევა განიზრახა და მიზნის მისაღწევად მეკარეს შეხვდა. ასლანაძემ მწვრთნელის წინადადება მიიღო. „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობა ამის შემდეგ „ტორპედოს“ უფროსობას დაუკავშირდა, ქუთაისელთა პრეზიდენტ მიხეილ ქორქიასაც ამ ტრანსფერზე უარი არ უთქვამს. ასლანაძე თითქმის უკვე რკინიგზელია.

ორი დღის წინ მეკარემ „ლოკომოტივში“ პირველი ვარჯიშიც ჩაატარა, თუმცა კლუბთან ოფიციალური კონტრაქტის გაფორმებამდე დიდი შრომა მოუწევს. გუნდის მთავარი მწვრთნელის, მურთაზ ხურცილავას თქმით, იგი თითოეულ ახალწვეულს, მათ შორის ასლანაძესაც, მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში გულდასმით დააკვირდება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ისე მიიღებს.

ასლანაძის ამჟამინდელ სათამაშო ფორმას თუ გავითვალისწინებთ, ძნელი დასაჯერებელია, ხურცილავამ მასზე უარი თქვას. დათო, მოგეხსენებათ, „ტორპედოს“ მთელი მეორე წრის განმავლობაში „სამგურალში“ ჰყავდა განათხოვრებული.

მასაც თავი არ შეურცხვენია, წყალტუბოელთა ქვეყნის თასის ფინალში გასვლაში დიდი წვლილი შეიტანა. თუმც „ლოკომოტივში“ მეკარეს შეიძლება ერთი დიდი პრობლემა შეექმნას კონკურენტ დავით ჯანელიძის სახით, რომელიც წლეულს რკინიგზელთა რიგებში ასევე საიმედო თამაშით გამოირჩეოდა. ასე რომ ხურცილავა მომავალ სეზონში ძნელი არჩევნის წინაშე დადგება.

ვანო ოქროპირიძე

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

დავით ასლანაძე

საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი
25 ივნისს გიწვევთ მინი-ფეხბურთის ტურნირის

საქართველოს ახალგაზრდობის თასის

ფინალზე. ერთმანეთს ხვდებიან საბურთალოს სმაკ-ი და თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის „აჭარის“ გუნდი. მატჩი შედგება სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“.

დასაწყისი 20.30 საათზე

ოქროყანაში

ნაძვებში ჩამჯდარი ეს სტადიონი ერთდროს კარგი სანახავი ყოფილა, პეწი და სიკოხტავე არ ჰკლებია. იქაურების თქმით, ადრე აქ დიდი ღონისძიებებიც იმართებოდა და მეტიც — ოქროყანის სტადიონს საერთაშორისო შეჯიბრებისთვისაც უმასპინძლია. დღეს — ამ ადგილს ძველი სიკეთიდან მხოლოდ სიმწვანე (ისიც ხელდატყობილი) და სუფთა ჰაერი შერჩენია. მოედანს მიბჯენილი ნახევრად დანგრეულ შენობაში კი ძროხებს უპოვიათ თავშესაფარი. ასე გამოიყურება დღეს ოქროყანის სტადიონი. მაგრამ ზღვის დონიდან 600 მეტრზე მდებარე ოქროყანა მართლაც მისწრებაა თბილისურ ხვატს გამოქცეული კაცისთვის. ქართულ ფეხბურთში ფულით მოტრიალეთ და მისი სიკეთის მოსურნეთ კი გავბედავ და ერთ რჩევას მივცემ — ასეთი ადგილები უქმად არ უნდა ცდებოდეს. ერთი მადლიანი ხელის მოსმა და მშვენიერი ბაზაც სახეზე გვექნება... სიტყვა გამიგრძელდა, დროა, მთავარზეც ვთქვათ. თბილისის „ვიტ ჯორჯია" მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. ვეტერინარები საწვრთნელი ციკლის პირველ ეტაპს სწორედ ოქროყანაში გაივლიან.

21 ივნისს კი სერგო კოტრიკაძის შეგირდები „დინამოზე" მაღლა ავიდნენ (გეხსომებათ, ბოსკამპმა პირველ დღეს ფეხბურთელები ვაკის პარკში არბენინა) და კუს ტბის მიდამოებს შეესივნენ. გუშინწინ გუნდის 23 ფეხბურთელი (სწორედ ამდენი ირიცხება დღეისთვის „ვიტ ჯორჯიაში") ოქროყანის შელახულ (ძირითადად ძროხებისგან) მინდორზე გამწკრივებულიყო.

„ახალგაზრდული გუნდი" „მომავლის გუნდი", „უცოლოთა კრებული" — უეჭველად ხშირად მოგისმენიათ ეს ეპითეტები „ვიტ ჯორჯიას" მისამართით. ჩათვალეთ, რომ ეს ეპითეტები დღესაც ძალაშია. ვეტერინართაგან არავინ დაოჯახებულა და გუნდის წევრების საშუალო ასაკიც 21 წელს არ აღემატება.

ვარჯიშის წინ სერგო კოტრიკაძე, გუნდის მთავარი მწვრთნელი, ჩინებულ ხასიათზე იყო. — შევხვდით გუნდის პრეზიდენტს და მომავალი მუშაობის გეგმაც დავისახეთ. გუნდში ჩინებული სიტუაციაა. ჩვენი მიზანია, სწორი, ლამაზი ფეხბურთი ვითამაშოთ. თანამედროვე ევროპულ სტილზე პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ გარწმუნებთ, თანამედროვე ქართულ ფეხბურთს ნამდვილად ვითამაშებთ.

შემდეგ მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძეს მიუბრუნდა და ვარჯიშის დაწყება სთხოვა... ხაჩიძე ახალი კაცია გუნდში. ამიერიდან იგი მეორე მწვრთნელის მოვალეობას შეასრულებს და ძირითადად ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადებით იქნება დაკავებული. სხვათაშორის თავის დროზე ვლადიმერ ხაჩიძეს მოსკოვის „სპარტაკის" დუბლშემადგენლობაშიც უთამაშია, ჩვენში კი ხაშურის „ივერიაში" ნაყოფიერი სამწვრთნელო მოღვაწეობით არის ცნობილი.

... სიჩუმეს შორიახლოს მობალახე ძროხის კუდის ტყლაშუნი არღვევდა. ხაჩიძემ ფეხბურთელებს ვარჯიშის დროს მაქსიმალური ყურადღება მოსთხოვა, შემდეგ ორიოდე წუთი თეორიული მეცადინეობაც ჩაუტარა შეგირდებს და როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ამ მცირე პერიოდმა მომავალდებლად იმოქმედა ფეხბურთელებზე. მოგვიანებით მეორე მწვრთნელმა გახურებულ-შემზადებული გუნდი შუაზე გაყო და მოედნის ნახევარზე ორი კარი ათამაშა. „ვიტ ჯორჯიას" შემხედვარე ვერაფრით იტყვი, ეს გუნდი ორიოდე დღის წინ შეიკრიბაო — ფეხბურთელები ქარივით დარბოდნენ, ბურთიანად თუ უბურთოდ, მახვილგონივრულად ეხსნებოდნენ ერთმანეთს, დროული ზუსტი გადაცემებიც თვალშისაცემი იყო და მოედნის ნახევარზე თქვენი მოწონებული ბურთაობაც გაჩაღდა. ყოველივე ეს დაახლოებით ათ წუთს გაგრძელდა, შემდეგ კი ხაჩიძემ ფეხბურთელებს იგივეს გაკეთება სთხოვა უხმოდ, შეძახილის უფლება მარტო მეკარეებს დაუტოვა. ხმის ამომღებ მინდვრის მოთამაშეს კი დაჯარიმებას დაპირდა — მომდევნო ხუთ წუთში მხოლოდ ერთი ჯარიმა დაინიშნა...

არა, „ვიტ ჯორჯია" საოცრად მოწესრიგებული და დისციპლინური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. სერგო კოტრიკაძის ხელი აშკარა დასტყობია ახალგაზრდებს. ერთიც იყო თვალშისაცემი — თითოეულ ვარჯიშს ყველა ფეხბურთელი დიდი გულისყურით და მონდომებით ეკიდებოდა.

ახლა კი გუნდის მეორე ახალ კაცზეც ვთქვათ, ესაა ... სერგო კოტრიკაძეს ვლადიმერ ხაჩიძის მსგავსად [illegible] ... ჩვენში ცნობილი და აწ უკვე აქტიურ სპორტს ჩამოშორებული მეკარე „ვიტ ჯორჯიას" კარის დარაჯებს მოამზადებს. რაც შეეხება ცვლილებებს ფეხბურთელებს შორის, ამ მხრივ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ვეტერინარებმა გასული სეზონის შემადგენლობა შეინარჩუნეს, გუნდში პირველი ახალწვეულებიც გამოჩნდნენ. მეათე ეროვნულ ჩემპიონატში გორის „დილაში" მოთამაშე ბექა ჩიტაია ახალი სეზონიდან თბილისური გუნდის ღირსებას დაიცავს. სხვათა შორის, ეს ფეხბურთელი ამას წინათ უკრაინაშიაც იმყოფებოდა გასინჯვაზე, მაგრამ ვეტერინართა რიგებში აღმოჩნდა. ამ გუნდში გააგრძელებს კარიერას აკადემიელი გურამ მეტრეველიც. ვიტელები ორი შენაძენით დაკმაყოფილებას არ აპირებენ. 7-8 მოთამაშე შეგულებული გვყავს და ვაკვირდებითო. გვითხრა გუშინწინ ოქროყანაში გურამ რუხაძემ. ასეა, კლუბის ვარჯიშს პრეზიდენტიც ადევნებდა თვალყურს.

წესით და რიგით „ვიტ ჯორჯიას" მზადება მცხეთაში უნდა დაეწყო, მაგრამ ვინაიდან „არმაზზე" რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, ალტერნატივად მხოლოდ მუშტაიდის ბაღში მდებარე სტადიონი რჩებოდა, მაგრამ კოტრიკაძემ იქაურ მტვერს და სიცხეს სუფთა ჰაერზე ვარჯიში ამჯობინა, თანაც 600 მეტრ სიმაღლეზე გუნდი ერთგვარ აკლიმატიზაციასაც გაივლის, რადგან 30 ივნისიდან 11 ივლისამდე ბაკურიანში აპირებს საწვრთნელი ციკლის გაგრძელებას. მანამდე კი, 27 ივნისს, „ვიტ ჯორჯია" საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს გორში, იქაურ „დილასთან". ბაკურიანიდან ჩამოსვლის შემდეგ (სწორედ მაშინ გაირკვევა იმ 7-8 კაციდან გუნდში დამრჩენთა ვინაობაც) გუნდი მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ფაზაში გადავა. გურამ რუხაძის თქმით, ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე „ვიტ ჯორჯია" დასავლეთ საქართველოში მოემზადება, რადგან ახალი ჩემპიონატის პირველ ტურის შეხვედრაში წყალტუბოში უწევს თამაში „სამგურალთან".

თუ გახსოვთ, გასული საიუბილეო ჩემპიონატის დაწყების წინ ვიტელები ბათუმში ემზადებოდნენ, რადგან პირველი შეხვედრა მათთან უწევდათ. ალბათ ისიც გემახსოვრებათ, ჩემპიონატის სტარტზე პირველი სენსაციაც რომ გამოცხვა — „ბათუმი" შინაურ კედლებში 0:1 დამარცდა ახალგაზრდულ გუნდთან.

პაატა კვანტალიანი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ვიტელები შესვენებისას მოდუნებულ კუნთებს აღვიძებენ

ბადრი კეთილაძის ფოტო

სერგო კოტრიკაძე და მიხეილ მაზიაშვილი კობიაშვილის მაისურაში

ვლადიმერ ხაჩიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ოქროყანაში: თბილისის „ვიტ ჯორჯია" მეთერთმეტე ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგა

იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის

სინიორ მარკო!

რამდენიმე კვირის წინათ იტალიურ კოვერჩანოს ქართველი სპეციალისტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად სტუმრობდნენ. ფეხბურთის ფედერაციამ ჯიბეზე ხელი გაიკრა და თოთხმეტი მწვრთნელი დასაფრთიანებლად პენინებზე მიავლინა.

შინდაბრუნებულებმა პრესკონფერენცია გამართეს და იქაურ შთაბეჭდილებებზე ისაუბრეს. ეგაა, იმ სპეციალისტის სახელი ვერ გაიხსენეს, ერთი კვირის განმავლობაში რომ უკითხავდა ლექციებს. ფერარი იყო გვარადაო, გვითხრეს. აბა, ფერარის დამახსოვრებას რა უნდოდა. ამ სახელს ხომ ერთობ ცნობილი ავტომანქანების იტალიური ფირმა ატარებს. იმავე კოვერჩანოში გასამგზავრებლად გამზადებულ გაიოზ დარსაძეს როცა შეკვხვდით, ვკითხეთ, რა ჰქვია ასეთი იმ იტალიელი ფერარების გვარის გამგრძელებელს, ჩვენებურებს რომ ვერ დაუმახსოვრებიათო. მარკოო — გვიპასუხა დარსაძემ. მარკოს მშობლებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით შვილის დაბადება არც ისე გახარებიათო. სახელიც ნორმალური დაურქმევიათ ვაჟისთვის, მაგრამ მარკებთან და ფილატელისტებთან ეტყობა, არაფერი აქვთ საერთო ქართველ მწვრთნელებს. სამაგიეროდ, „ფერარის“ სიჩქარეთა კოლოფსა და მრავალცილინდრიანი ძრავის შესახებ ზედმიწევნით კარგად უწყიან.

ჩანს, მარკო ფერარი ამომწურავად და გასაგებად მოძღვრავდა მოსწავლეებს და სახელით არავის მიუმართავს მისთვის — სინიორ მარკო, ეს ვერ გავიგეთო...

ყველა გზა იღბალთან მიდის...

მწვრთნელის პროფესია უმადურობისთვის განწირული პროფესიაა. გუნდის წარუმატებლობა უმრავლეს შემთხვევაში სწორედ თავკაცს ბრალდება. მაშინ ყველა პროფესორი ხდება სხვის საქმეში. ის შეცვლა ვერ გამოიცნო, არასწორი ტაქტიკური განლაგება აირჩია, ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად ვერ განაწყო, მეტოქეზე არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდაო — ამდაგვარი ბრალდებებით „ამკობენ“ ხოლმე წაგებული მატჩის შემდეგ. უცხოელი სპეციალისტები შეძლებისდაგვარად თავს იმართლებენ, მარტო ჩვენ როდი ვართ დამნაშავენიო და არგუმენტირებულად ცდილობენ თავიანთი ნამოქმედარის გამართლებას. არ ერიდებიან ფეხბურთელების მიმართ კრიტიკულ შენიშვნებს, პირდაპირ ასახელებენ იმ მოთამაშეთა სახელებს, რომელთა უხეშმა შეცდომებმაც გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი.

ქართველი მწვრთნელები კი მეტწილად თავის მართლებისას ერთადერთ წინადადებას აშველიებენ — იღბალმა გვიმტყუნაო, აცხადებენ ხმამაღლა.

— „იღბლის იმედად არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ახლა სხვა გზა არ არის“ — თქვა ერთხელ „მანჩესტერ სიტის“ ყოფილმა მენეჯერმა ალან ბოლმა. ეჰ, ქართველ მწვრთნელებთან შედარებით ბედნიერი კაცი ყოფილა ალანი, მხოლოდ ერთხელ და თანაც იძულებით რომ მიუმართავს ფორტუნასთვის. ჩვენებურებისთვის კი ყველა გზა იღბალთან მიდიოდა და მიდის, თითქმის ყოველთვის.

მორჩილნი

ქართველი მწვრთნელის ბედს შეგუებული მენტალიტეტი. ხშირ შემთხვევაში იგი დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას და აშკარად ფრთხილობს, თავისუფლად ვერ მოქმედებს. ჩვენში თითზე ჩამოსათვლელნი არიან ისეთი მწვრთნელები, რომლებიც უპირობო მოთხოვნებს უყენებენ კლუბთა პრეზიდენტებს — საწვრთნელი ბაზა შეგვიკეთე, სავარჯიშო მოედანი არ მაკმაყოფილებს, ამ შეხვედრაში ფეხბურთელებს სოლიდურ ფულად ჯილდოს შეჰპირდი და ასე შემდეგ. წარუმატებლობის შემთხვევაში კი თავდაღუნული უსმენენ გუნდების მესვეურთა განრისხებულ „შენიშვნებს“. ერთხელაც არ იტყვიან ფეხბურთელების აუგს და ტოვებენ თანამდებობებს, უხმაუროდ მიდიან შინ ზოგჯერ საკუთარი ნებით, ზოგჯერაც



ბადრი ქეთილაძის ფოტო

იოჰან ბოსკამპს მოღუშულს იშვიათად ნახავთ

მწვრთნელთა მიგრაცია

შუა სეზონში

	წავიდა	მივიდა
დინამო	ხურცილავა	ბოსკამპი
ტორპედო	ფრუიძე	ხერხაძე
კოლხეთი	ფილია	ტყეებუჩავა
ვიტ ჯორჯია	არჩვაძე	მახარაშვილი
	მახარაშვილი	კოტრიკაძე
იბერია	ქორიძე	ფრუიძე
არსენალი	კორღალიძე	გეგეჭკორი
	გეგეჭკორი	ჩახავა
სამგურალი	დარსაძე	გენძეხაძე
	გენძეხაძე	ბურკაძე
სიონი	დუდაური	არჩვაძე
	არჩვაძე	რეხვიაშვილი
ოდიში	ქომეთიანი	ჭედია
გურია	ჯანელიძე	ნარიაშვილი

ახალი სეზონის წინ

	წავიდა	მივიდა
ტორპედო	ხერხაძე	ყიფიანი
ლოკომოტივი	მახარაძე	ხურცილავა
დილა	თაყაძე	ხუციშვილი
ბათუმი	ჭეიშვილი	?

ახალი სეზონის წინ

მერანი	გაბელაია
გორდა	ალადაშვილი
თსუ	გაბელია

მოხსნილის იარლიყით...

მეათე ეროვნული ჩვეულებრივად თექვსმეტმა გუნდმა დაიწყო ამდენივე მთავარი მწვრთნელით. სეზონის განმავლობაში კი რაც მოხდა, ამაზე მწვრთნელთა მიგრაციის ქვემოთ ნაჩვენები ცხრილი ნათლად მეტყველებს. მხოლოდ ექვსი გუნდის თავკაცს ხვდა წილად ბედნიერება, ბოლომდე მიეყვანა წამოწყებული საქმე.

„დინამოს“ თავკაცი მურთაზ ხურცილავა ცუდი შედეგისთვის არ გაუთავისუფლებიათ. ჩემპიონებს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა სერიოზულად გადაუწყვეტიათ და საამსაქმოდ ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი უფრო წაგადგებაო, ჩათვალეს. არადა, შარშანდელ ზაფხულში ხურცილავაც ახლოს იდგა ამ მიზანთან.

სოსო ფრუიძეს ინტერტოტოზე „ლომელთან“ შინაური მარცხი არ აპატიეს „ტორპედოს“ მესვეურებმა და მის მოსახსნელად მეათე ეროვნულში კაცნაკლულ „ბათუმთან“ ნათამაშევი ფრე გამოიყენეს. მიუხედავად მრავალი კრიტიკული შენიშვნებისა, ჯემალ ხერხაძეს წარმატებულად უნდა ჩაეთვალოს მოღვაწეობა.

ფოთელთა გუნდის თავკაცი სოსო ფილია ევროპაზე სამარცხვინო შედეგს უფრო შეეწირა, ვიდრე ჩემპიონატის სუსტ სტარტს. „კოლხეთი“ ორი შეხვედრის ჯამში 0:11 დამარცხდა „ცრვენა ზვეზდასგან“. ამან ფილიას რვაწლიან ერას დასასრული დაუჩქარა. მისმა მემკვიდრემ, გამოუცდელმა გია ტყეებუჩავამ, იმდენი მაინც მოახერხა, ფოთელებს წლეულსაც რომ ეთამაშათ ევროსარბიელზე.

„ვიტ ჯორჯიას“, „არსენალის“, „იბერიას“ და „სიონის“ თავკაცობა წმინდა საჩემპიონატო ბატალიებს შეეწირა. თუმცა ვიტელთა მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე დიდხანს არ მჯდარა უსაქმოდ. მას ბორის დუდაურის მუშაობით უკმაყოფილო ბოლნისელთა გუნდის ხელმძღვანელებმა უხმეს საშველად. არჩვაძემ მართლაც უშველა „სიონს“ და დიდი წილი დაიდო კლუბის პირველ ჯგუფში დარჩენაში. თუმცა დამსახურება არც ფირუზ რეხვიაშვილს უნდა დაეკარგოს. ფინანსური სიდუხჭირის გამო ბოლნისიდან წამოსული არჩვაძის საქმე სწორედ მან მიიყვანა ბოლომდე.

ჯემალ მახარაშვილს „ვიტ ჯორჯიაში“ მოღვაწეობისას მართლაც სუსტი შედეგები ჰქონდა და ისიც არჩვაძის გზას გაუყენეს. სერგო კოტრიკაძემ კი ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ოთარ კორღალიძე საკუთარი ნებით წავიდა „არსენალიდან“. მისმა მემკვიდრემ, მამუკა გეგეჭკორმა, კი ვერანაირად მიაღწია უკეთეს შედეგს. თანაც გუნდს ფინანსური კრიზისი ედგა. დავით ჩახავამ სამიოდ შეხვედრაში უთავკაცა არმიელებს.

გაიოზ დარსაძემ წყალტუბოში პატარა სასწაული მოახდინა. მიზერული ფულადი დანახარჯებით საკმაოდ სოლიდური გუნდის ჩამოყალიბება შეძლო. შემდეგ კი „სამგურალის“ მესვეურების უამბიციო განწყობას ველარ შეეგუა და იმერეთიდან წამოვიდა. დავით გენძეხაძეს და რევაზ ბურკაძეს დარსაძის დაფრთიანებულ ფეხბურთელებთან ბევრი მუშაობა არ დასჭირვებიათ...

სამტრედიაში „სიონთან“ მარცხმა იმსხვერპლა „იბერიას“ დამრიგებელი ბადრი ქორიძე. იმერლებმა სოსო ფრუიძეს ჩააბარეს მწვრთნელგადამდგარი გუნდის საჭე. ფრუიძემ არც ისე ძლიერი შემადგენლობით მოახერხა კლუბის რვა უძლიერესთა შორის მოხვედრა.

ცხრილის ბოლო ექვსმა გუნდმა შეინარჩუნა მთელი სეზონის განმავლობაში მთავარი მწვრთნელი, თუმცა „ლოკომოტივისა“ და „დილას“ ხელმძღვანელობამ შედეგი წარუმატებლად შეუფასეს თავკაცებს და თანამდებობები დაატოვებინეს.

იგივე ბედი ეწია „ბათუმის“ დამრიგებელ შოთა ჭეიშვილსაც, თუმცა ზღვისპირელებმა ჯერჯერობით ვერ და ვერ ჩაიყვანეს აჭარაში იტალიელი სპეციალისტი, ვინმე მარჩელო მანჩინი.

შენი ჩამოსვლის მადლითა

წლის მთავარი მოვლენა საქართველოში იოჰან ბოსკამპის ჩამოყვანა იყო. ეს ფაქტი მხოლოდ დადებითად უნდა შეფასდეს.

ჰოლანდიელმა მიძინებული ამბიცია გაუღვივა ქართველ მწვრთნელებს და გარკვეულ ეგოიზმშიც ჩაგდო. შური ჩვენებურ სპეციალისტებს ასეთ კარგი პრესა რომ აქვს, უცხოტომელს, დიდსა თუ ტატარან მაინ ქება ეკერა პირზე. ჯერჯერობით არავის გამოუთქვამს ამ კაცზე აუგი, მიუხედავად არაშთამბეჭდავი შედეგებისა.

ბოსკამპმა საქმით დაამტკიცა, რომ მართლაც კარგად ფლობს თანამედროვე საფეხბურთო დოქტრინას. სულ მოკლე ხანში შეძლო ახალბედა ნიჭიერი ტალანტების აღმოჩენა. მისთვის არ არსებობენ ავტორიტეტი ფეხბურთელები, ყველას ერთი კუთხით უდგება. ჰოლანდიელი ყურადღებას არ ამახვილებს მოთამაშის ასაკზე. იგი რისკიანია. ეროვნულ ნაკრებში პირტიტველა ბიჭები მიიწვია და საპასუხისმგებლო შეხვედრებში მოედანზეც გაუშვა. სულ ორჯერ ნახა ბადრი ახვლედიანის თამაში და ზუსტი ადგილი მოუძებნა მინდორზე. მიხვდა გამოცდილი მწვრთნელი, რომ ახვლედიანს ფიზიკური კონდიციები არ ჰყოფნიდა უშეცდომოდ ეკონტროლებინა მთელი მარჯვენა ფლანგი, რასაც მას ავალებდნენ „ტორპედოში“. ადგა და მარჯვენა ნახევარმცველად გაამწესა საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ. სამოქმედო არიალი შეუმცირა და ახვლედიანმაც შეძლო მოვალეობის პირნათლად შესრულება. შეტევასაც აქტიურად ახორციელებდა და უკანაც ასწრებდა ჩასვლას.

სავარჯიშო პროცესიც განსაკუთრებული აქვს ბოსკამპს. დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ისეთ რამეებს ნახავთ, ზოგიერთ ჩვენებურ მწვრთნელს სიზმრადაც რომ არ უნახავს.

ჰოლანდიელს უსაზღვრო თავისუფლება ახასიათებს. თამაშის დროს სულ არ ფიქრობს იმაზე, მის საქციელს როგორ შეაფასებენ მაყურებელ-ჟურნალისტები. განაწყენებულს შეუძლია, წიხლი ამოჰკრას სკამს, კმაყოფილს ძალუძს ყველას დასანახად მოეფეროს ფეხბურთელს და ერთხელაც არ გახედოს ტრიბუნებს. მას არ აინტერესებს, რა რეაქცია აქვთ მის მოქმედებაზე. ბოსკამპს შეგნებული აქვს, რას ნიშნავს დისციპლინა ფეხბურთში. იგი თავის ცხოვრებით ცხოვრობს, აკეთებს იმას, რაც სურს და რასაც გონება და გული უკარნახებს. თავისი საქმის ბატონ-პატრონია და არავის აძლევს უფლებას, ჩაერიოს მასში.

იოჰან ბოსკამპს გაარნია ყველა ის თვისება, რაც ასე აკლიათ ქართველ მწვრთნელებს, მისი ჩამოსვლის მერე საგონებელში ჩავარდნილ ქართველ სპეციალისტებს. ბოსკამპი კონკურენციაა, გამოწვევაა, ინტრიგაა, ამბიციაა, ეგოიზმია მათთვის. სპორტში კი ყველა ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამბიციის, ინტრიგისა და გინდაც ეგოიზმის გარეშე ვერასდროს მიაღწევ საწადელს. პირველ რიგში შენთვის უნდა გინდოდეს გამარჯვება. სპორტული ეგოიზმი დადებითი მოვლენაა მწვრთნელისთვის და არამარტო მისთვის. ადამიანის ბუნებაც მასია მოწყობილი. თუ შენი თავი არ გიყვარს, თუ შენს თავს არ სცემ პატივს, ვერც სხვას შეიყვარებდა, იმ საქმეშიც ვერაფერს მიაღწევ რასაც ემსახურები. იქნები ყოველთვის რიგითი და ივლი ყოველთვის ბედსშეგუებულის სახელით.

ამ ბოსკამპის გადამკიდე სულ გადაირივნენ ჩვენი მწვრთნელები — აცხადებენ არადინამოელები. ვარჯიშებზე ისეთ რაღაცეებს გვაკეთებინებენ, სული გვეხუთება, ქანცგაწყვეტილები მანქანებს ველარ ვმართავთო...

დიდებულია! ნეტა, ადრე ჩამოეყვანათ იოჰან მრისხანე. ჰოლანდიელმა სარკეში ჩაახედა ქართველი კოლეგები. უპრინციპო სახეები დაანახვა ბევრ მათგანს და ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო — გააფიქრებინა.

ასე გაგრძელება მართლაც დანაშაულია. გამოჩნდა კაცი, თანაც უცხოტომელი, რომელიც ერთი თავით მაღლა დგას ბევრ თქვენგანზე. ჩამოვიდა ჰოლანდიელი სიცილით. იგი დასცინის ქართველი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მენტალიტეტს, მათი მომზადების დონეს. ადექით და საქმით დაუმტკიცეთ, რომ არაფრით ხართ მასზე ნაკლები არც ნიჭით, არც ცოდნით და არც მონდომებით. დაუტკიცეთ, რომ არასოდეს ხართ იღბლის იმედად. მერე... მერე კი ნიშნის მოგებით უთხარით მომღიმარ ჰოლანდიელს — იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის...

ხვიჩა სანიკიძე



ნიკოლა ანელკა

ნიკოლა ანელკას ფიქრები: მალე რეალში ვიქნები

— ჰმ, რა უნდა მაგ ბიჭს? — კითხულობენ ლონდონში — ჩვენ ის კარიბეთში დასასვენებლად გავუშვით და არა ახალი კლუბის საძებნელად.

ამ დროს ნიკოლა ანელკას რაც უნდა, ლამისაა, მთელმა მსოფლიომ გაიგო. ახალგაზრდა ფრანგს „რეალში“ სურს თამაში, მაგრამ ამის ნებართვას „არსენალის“ ხელმძღვანელობას სულაც არ ეკითხება, არადა, მეოფეებთან კონტრაქტის ვადა ჯერ კიდევ არ გასულა.

რაც შეეხება „რეალს“, რა თქმა უნდა, ანელკასნაირი ძლიერი, ახალგაზრდა და, რაც მთავარია, პერსპექტიული თავდამსხმელის გადაბირება ნებისმიერი კლუბისთვის სასურველია, მაგრამ მადრიდელები ნიკოლასთან დაკავშირებით ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებენ. „არსენალი“ კი კატეგორიულად ადანაშაულებს სამეფო კლუბს. საქმე იქამდეც მისულა, რომ ლონდონელები სასამართლოში აპირებენ ჩივილს, აქაოდა, „რეალის“ სელექციონერები ანელკასთან ჩვენი ნებართვის გარეშე აწარმოებენ მოლაპარაკებასო.

ვინ იცის, რატომ მაინცდამაინც „რეალი“, თორემ ანელკას სხვა წინადადებებიც აქვს. ახალგაზრდა ფრანგით იტალიური „ლაციოც“ არის დაინტერესებული და „არსენალს“ მის სანაცვლოდ გვარიან თანხას სთავაზობს.

ვინჩენცო მორაბიტო, სელექციონერი, რომელიც რომაულმა კლუბმა განგებად ანელკას შესაძენად გამოყო, დღესაც აგრძელებს ფეხბურთელთან მოლაპარაკებას. როგორ გაართმევს იგი თავს დაკისრებულ მოვალეობას, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

— აქ გადასაწყვეტი და სადაო არაფერია. ანელკას „არსენალიდან“ წასვლა სურს, ჩვენ კი მისი გადაბირება. ვიცით, ნიკოლას „რეალში“ უნდა თამაში, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გინდა. „ლაციო“ ერთადერთი კლუბია, რომელსაც მისი შეძენა ხელეწიფება — თქვა რომაელთა პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ.

როგორ მოახერხებს „ლაციო“ ანელკას ყიდვას, ერთი საკითხია, ხოლო მოისურვებს თუ არა თავად ფრანგი იტალიაში თამაშს, მეორე.

ანელკას მოსალოდნელი ტრანსფერის შესაძებ მსჯელობა უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს და მთელ საფეხბურთო ევროპას მობეზრდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ გუშინ „არსენალის“ მიერ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე მეოფეთა წარმომადგენელმა განაცხადა: ჩვენ ნიკოლას გაყიდვას არ ვაპირებთ, ხოლო დარჩება თუ არა იგი „ჰაიბერიზე“, მისი არდადეგებიდან დაბრუნებისთანავე გავარკვევთო.

მოკლედ აღდგომა და ხვალეო.

კოტა ჩკადუა

ჰოლ ინსის ფრანგული ვარიანტი

დიდიე დეშამპი

დიდიე დეშამპს ალბერ უკარნახა, რომ მისი მომავალი ლონდონშია და არა ტურინში, წერენ ინგლისელი მიმომხილველები და მათი წერილების ტონიდან კარგად ჩანს, რომ მსოფლიოს ჩემპიონის და საფრანგეთის ნაკრების კაპიტნის „ჩელსიში“ გადასვლა ერთობ ახარებთ. მოგეხსენებათ, 30 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა ჯანლუკა ვიალის გუნდთან, კონტრაქტი გააფორმა. „ჩელსიმ“ მის ყოფილ გუნდს, „იუვენტუსს“ 4,7 მილიონი დოლარი გადაუხადა.

დეშამპის ბედი, ამიერიდან, „სტემფორდ ბრიჯთან“ სამი წლითაა დაკავშირებული. ტურინში გატარებული ხუთი წლის შემდეგ ფეხბურთელი ახალ გარემოში ცდის ბედს, ხოლო ლონდონელთა მწვრთნელი, ვიალი, იმედოვნებს, რომ შეიძინა ისეთი ფეხბურთელი, რომლის როლი „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „არსენალის“ ჰეგემონიის დამხობაში დიდი იქნება.

უცნაური ის გახლავთ, რომ „იუვენტუსთან“ ერთად ევროპის ჩემპიონთა თასის ზედიზედ სამ ფინალში ყოფნის შემდეგ, დეშამპი თვლის, რომ მისი ახალი გუნდი კონტინენტურ ფეხბურთში ტურინელებზე ღრმა კვალს დატოვებს.

„ჩემთვის და ჩემი კარიერისთვის, „ჩელსი“ სჯობს“ — ამბობს ფრანგი — „ახალ სეზონში ლონდონელები ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, ტურინელები კი არა. თანაც, „ჩელსის“ მიზანი პრემიერლიგაში გამარჯვებაა. დღეს ეს კლუბი ევროპული მასშტაბით ძალიან დიდია, მე კი ლონდონში ახალი სამყაროსა და ახალი ფეხბურთის აღმოჩენას ვაპირებ. მოკლედ, ძალიან განსხვავებული ცხოვრება მელის“.

გარდა ამისა, დეშამპმა აღიარა, რომ არჩევანის გაკეთებაში მნიშვნელოვანი როლი „სტემფორდ ბრიჯზე“ უცხოელ მოთამაშეთა რაოდენობის ზრდამ ითამაშა. თავად იქნება მესამე ფრანგი, რომელსაც „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში საკვანძო ფუნქცია დაეკისრება. გასულ სეზონში ლურჯი მაისურებით მარსელ დესაი და ფრანკ ლებეფი თამაშობდნენ.

„მაისში, როდესაც ტურინელებს წასვლის სურვილი განვუცხადე, ყოფილ თანაგუნდელსა და მეგობარს, ვიალისაც ველაპარაკე. მან მყისვე მკითხა, ინგლისში ახლებური ცხოვრების დაწყება თუ გიზიდავსო. ვიცი, რომ ჯანლუკასთან ამიერიდან სხვა ურთიერთობები მექნება, რადგან ის მწვრთნელია, მე კი ფეხბურთელი, მაგრამ ეგ არაფერი. ძალიან მახარებს ის გარემოება, რომ მარსელი და ფრანკი მხარში ამომიდგებიან. მარსელთან ერთად სიჭაბუკეში, „ნანტში“ ვთამაშობდი, მერე კი „მარსელში“ ტიტულებს ვიგებდით. მსიამოვნებს, რომ კარიერას მასთან ერთად დავასრულებ. თანაც, „ჩელსიში“ უამრავი ევროპელი მოთამაშეა და ამდენად ადაპტაცია არ უნდა გამიჭირდეს. ხალხსაც უკვე ვიცნობ. მაგალითად ფიზიკური მომზადების მწვრთნელს ანტონიო პინტუსს“ — დასძენს მსოფლიოს ჩემპიონი.

ინგლისელი ჟურნალისტები კი ბჭობენ, ვინ შეიძინა „ჩელსიმ“, ჰოლ ინსის ფრანგული ვარიანტი? ან, იქნებ დეშამპს მათ მდიდარ ქვეყანაში მხოლოდ ხელფასი აინტერესებს? და ბოლოს, შეძლებს ლონდონის კლუბი „არსენალთან“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გაჯიბრებას?

პაპუნა კედია

რა დროს მგ იყო

მადრიდი „რეალთან“ დაკავშირებულმა სკანდალმა მოიცვა. სამეფო კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, ხუან ონიევა ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს.

ამის გამო „რეალის“ პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმ, მყისვე მიიწვია დირექტორთა საბჭო, სადაც ცამეტიდან რვამ ონიევას თანამდებობიდან გადაყენებას დაუჭირა მხარი.

მილიონერი ხუან ონიევა ესპანეთის კვების მრეწველობის ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმის მფლობელია. „რეალის“ ვიცე-პრეზიდენტი ის 1995 წელს, სამეფო კლუბის წინა პრეზიდენტ რამონ მენდოსასთან დაკავშირებული ფინანსური სკანდალის დასრულებისთანავე გახდა.

ახლა ონიევას გასულ სეზონში „რეალის“ თამაშებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვით აღებული ფულის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებაში ადანაშაულებენ.

აღსანიშნავია, რომ ონიევა თავს დამნაშავედ არ თვლის და ყველაფერს სანს აბრალებს.

— მის ჩვენებას არავითარი არგუმენტაცია არ გააჩნია. „მომხდარი ამბით შოკირებული ვარ. მე და ხუანი ძველი მეგობრები ვიყავით, დღემდე არ მჯერა, რომ მან ეს ყველაფერი ჩაიდინა — განაცხადა ლორენსო სანსმა.

ამ ფაქტის გახმაურებასთან ერთად ხუან ონიევა ესპანურმა მასმედიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია. ესპანელი ჟურნალისტების აზრით, მაშინ, როცა „რეალმა“ მთელი წარუმატებელი სეზონის შემდეგ, როგორც იქნა, მონახა თავისი თამაში, ონიევას საქციელის გამართლება უბრალოდ, შეუძლებელია.

უჩივლებს თუ არა სასამართლოში ონიევას „რეალის“ ხელმძღვანელობა, ჯერჯერობით უცნობია. ერთი კი ცხადია, ამიერიდან ხუან ონიევა სამეფო კლუბის ვიცე-პრეზიდენტის სავარძელს სამუდამოდ გამოემშვიდობება.

39th. Copa América Paraguay '99

რონალდო დაშავდა

სარბიელის არქივიდან

რონალდომ შეიძლება სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში ვერ ითამაშოს.

ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე, მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი თანაგუნდელს დაჯახებია და თავი გაუტეხია. შეტაკების შემდეგ რონალდოს ზურგის ტკივილებიც დასწყებია და ნაკრების ექიმებს მისთვის დასვენება ურჩევიათ.

— რონალდო ნამდვილად დაშავდა და ახლა აუცილებლად უნდა დასვენება. რამდენად მძიმეა შემთხვევა, ორიოდ დღეში გაირკვევა — განაცხადა ბრაზილიის ნაკრების ექიმმა ჟოაკიმ გრავამ.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილია, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი, წლევანდელ გათამაშებაში ოთხშაბათს ჩაერთვება და ტიტულის დაცვას ვენესუელასთან მატჩით შეუდგება.

ირაკლი ილაზვილი

რუსეთი

XII ტური

სპარტაკი 4:0 ულმეჩუინა
1:0 ტიხონოვი (11), 2:0 ბარანოვი (42), 3:0 იურანი (58), 4:0 კეზინოვი (75)

ცსკა 1:0 სატურნი
1:0 ფილიპენკოვი (41)

შინიკი 3:1 დინამო
1:0 ენინი (17), 2:0 ლობანევი (46), 2:1 გუსევი (76), 3:1 ბიჩკოვი (87)

ურალანი 2:1 კრილია
1:0 დანჩენკო (52), 1:1 საფრონოვი (55პ), 2:1 ივანოვი (84პ)

ჩერნომორეცი 1:0 ალანია
1:0 სპანდერაშვილი (78)

როსტსელმაში 0:0 ტორპედო

როტორი 2:3 ნ. ნოვგოროდი
1:0 ვერეტენიკოვი (39), 1:1, 1:2 კუზნეცოვი (43პ, 55), 2:2 ოსინოვი (65), 2:3 ავაქოვი (78)

ზენიტი 1:2 ლოკომოტივი
1:0 ბაბი (19პ), 1:1 სმერტინი (66), 1:2 ბულიკინი (71)

შავადაა სოჭის „ჟემჩუჟინას“ საქმე. მხოლოდ სასწაული თუ უშველის ზღვისპირელთა „მარგალიტს“ რუსეთის უმაღლეს დივიზიონში დასარჩენად. გუშინ მერვე შეხვედრა წააგეს ვიქტორ ანტიხოვიჩის შეგირდებმა. „სპარტაკმა“ ნახევარი ძალითა და საშუალო ტემპით გაანადგურა სტუმრები.

შეხვედრა „ლუჟნიკებზე“ გაიმართა. 82 ათასიანი ტევადობით თავმომწონე სტადიონის ტრიბუნებზე მხოლოდ ორმოციოდე ჟურნალისტი იჯდა. წინა ტურში ჩემპიონის ფანებმა რამენსკოეში სიგიჟეები რომ ჩაატარეს, რუსული ფეხბურთის მამების რისხვა დაიმსახურეს. ცხენოსანი პოლიციელებით შემორაგულ სტადიონზე ვერანაირი სულიერი ვერ შეაღწევდა. „სპარტაკმაც“ უქმადგოდ უმასპინძლა სოჭელებს. ჩვენებურთაგან გიზო ჯელაძემ ითამაშა სრულად. წყალწაღებული „ჟემჩუჟინას“ შემადგენლობაში ივი ყველასგან გამრჩეულად ირჯებოდა. გოჩა გოგრიჭიანი 64-ე წუთზე შეუშვეს მოედანზე. ვეტერანმა გოგრიჭიანმა ერთხელ პირისპირაც ამოჰყო თავი, მაგრამ დარტყმა დააგვიანა და სოჭელთა პრესტიჟის გოლიც არ შედგა.

სენსაციური შედეგი დაფიქსირდა „როტორი“ — „ნიჟნი ნოვგოროდის“ შეხვედრაში. ნიჟნინოვგოროდელებმა კარგად ისარგებლეს ვოლგოგრადელთა კრიზისული მდგომარეობით და ზედიზედ მეორე შინაური მარცხი აგემეს.

ზედიზედ მეცხრე შეხვედრა მოიგო ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“. დაკარგული ქულების მიხედვით რკინიგზელები კვლავ პირველები არიან.

ქართველთა სიმრავლით გამორჩეული „ალანია“ ნოვოროსიისკში „ჩერნომორეცთან“ დამარცხდა. მასპინძელი ბადრი სპანდერაშვილის გოლი ერთადერთი გამოდგა ამ შეხვედრაში.

	ხვიჩა	სანიკიძე				
სპარტაკი	15	11	3	1	30:9	36
ლოკომოტივი	12	9	2	1	28:10	29
ცსკა	12	7	4	1	22:8	25
ტორპედო	13	5	7	1	10:6	22
ალანია	12	6	2	4	23:14	20
დინამო	12	6	2	4	23:20	20
როსტსელმაში	12	6	2	4	14:14	20
ნ. ნოვგოროდი	12	4	3	5	15:17	15
როტორი	12	4	2	6	18:21	14
ზენიტი	12	3	5	4	14:13	14
ჩერნომორეცი	12	3	3	6	14:22	12
ურალანი	12	3	2	7	8:14	11
შინიკი	12	2	5	5	6:15	11
კრილია	13	2	3	8	13:23	9
სატურნი	13	2	3	8	10:21	9
ჟემჩუჟინა	12	0	4	8	5:26	4

ბომბარდირები

ტიხონოვი (სპარტაკი)	9
ვერეტენიკოვი (როტორი)	9
დემეტრაძე (ალანია)	7
ტერიოხინი (დინამო)	7

უვედეთი

მე-12 ტური. ჰელსინგბორგი — ჰალმსტადი 1:0, ჰამარბიუ — კალმარი 2:2

ჰელსინგბორგი	12	8	1	3	20:11	25
ორგრიტე	11	6	4	1	21:8	22
ჰალმსტადი	12	6	2	4	21:12	20
კალმარი	12	6	2	4	17:18	20
აიკი	11	5	3	3	18:10	18
ტრელებორგი	11	5	2	4	23:18	17
ერებრუ	11	5	1	5	12:15	16
ფრიოლუნდა	11	4	3	4	12:15	15
ელფსბორგი	11	3	3	5	16:18	12
მალმიო	11	3	3	5	14:17	12
ნორჩეპინგი	11	2	5	4	11:16	11
გოტებორგი	11	2	3	4	11:17	11
დურგარდენი	11	2	3	6	11:22	9
ჰამარბიუ	12	1	5	6	11:21	8

ქირავდება
ერთოთახიანი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
Tel: 93 15 72

რა უცნაური ჩემპიონატი იყო

ბარსელონა

ესპანეთის ჩემპიონი: 1929, 1945, 1948, 1949, 1952, 1953, 1959, 1960, 1974, 1985, 1991, 1992, 1993, 1994, 1998, 1999
ესპანეთის თასი: 1910, 1912, 1913, 1920, 1922, 1925, 1926, 1928, 1942, 1951, 1952, 1953, 1957, 1959, 1963, 1968, 1971, 1978, 1981, 1983, 1988, 1990, 1997, 1998
ესპანეთის სუპერთასი: 1983, 1985, 1991, 1992, 1996
ჩემპიონთა თასი: 1991
თასების თასი: 1979, 1982, 1989, 1997
უეფას (ბაზრობათა) თასი: 1958, 1960, 1966
ევროპის სუპერთასი: 1992, 1997
პრეზიდენტი: ხოსე ლუის ნუნიესი

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
მეკარეები: რუდ ჰესი (ჰოლანდია, 31.10.65), ფრანსესკ არნაუ გრავალოსა (23.03.75), კარლოს ბუსკეტსი (19.07.67)
მცველები: სერხი ბარხუან ესკულსა (28.12.71), მიგელ ანხელ ნადალ ომარი (28.07.66), ჰიხაელ რაიციგერი (ჰოლანდია, 03.05.73), გბენგა სამუელ ოუნოკო (ნიგერია, 29.08.77), უინსტონ ლოიდ ბოგარდი (ჰოლანდია, 22.10.70), აბელარდო ფერნანდეს ანტუნია (19.03.70), ფრანკ დე ბური (ჰოლანდია, 15.05.70), მაურისიო პელეგრინი (არგენტინა, 19.03.75), დრაგან ჩირაჩი (ხორვატია, 15.04.76), ხორდი ფერონ ფორნეი (17.09.74), იაენ ხავიერ კუარდარო ალონსი (05.05.78)
ნახევარმცველები: ფილიპ კოკუ (ჰოლანდია, 29.10.70), ალბერტ სელადეს ლოპესი (29.09.75), ხავი ფერნანდეს კრეუსი (25.01.80), ოფერეი მატეუ გონსალესი (24.01.80), ლუიშ ფელიპე მადეირა ფიგუ (პორტუგალია, 04.11.72), ხოსეპ გვარდიოლა სალა (18.01.71), ოსკარ გარსია ხინენეტი (26.04.73), როხერ გარსია ხინენეტი (15.12.76), ჰარიო ალბერტო როხას მონტერო (22.05.80), რონალდ დე ბური (ჰოლანდია, 15.05.70), გაბრიელ გარსია დე ლა ტორე (17.07.79)
თავდამსხმელები: პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია, 01.07.76), რიკარდო ბარბოსა ფერეირა (ბრაზილია, 19.04.72), სონი ანდერსონ და სილვა (ბრაზილია, 19.09.70), ჯოვანი სილვა დე ოლივეირა (ბრაზილია, 04.02.72), ბუდეკონ ზენდუნი (ჰოლანდია, 15.08.76), ლუის ენრიკე მარტინეს გარსია (08.05.70)

უცნაური ჩემპიონატი იყო, ძალიან, ძალიან უცნაური.

უცნაურადაც დასრულდა და ამავდროულად ლოგიკურადაც. პირველი ის გუნდი გახდა, რომელიც თითქმის მთელი პირველი წრე კრიზისიდან თავის დაღწევას ცდილობდა და ამავე დროს ყველაზე ძლიერი იყო.

„ბარსელონას“ ჩემპიონობა მოსალოდნელიც იყო და მოულოდნელიც.

წლევანდელი სეზონი დაძაბულიც გახლდათ — თუ ჩემპიონი პირველობის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაირკვა, პრიზიორობისთვის ბრძოლა ბოლო ტურის ჩათვლით მიმდინარეობდა. ჩემპიონთა ლიგის ახალმა ვერსიამ ესპანეთში სიტუაცია ძალიან დაძაბა და ამიტომ რამდენიმე თანაბარძალოვან კლუბს შორის ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდა.

20 ივნისის საღამომდე ბევრი რამ გაურკვეველი იყო — რამდენიმე საათში სიტუაციას ნათელი მოეფინა. გუნდებმა ადგილები დაინაწილეს და მომავალ სეზონამდე კუთვნილ არადეგებზე წავიდნენ. ისინი ხომ თითქმის წელიწადი შეუსვენებლად თამაშობდნენ.

ესპანური ფეხბურთის ოქრო, შარშანდელის დარად, წლეულსაც ბარსელონაში დარჩა — ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა „ბარსელონაში“ მოღვაწეობის მეორე წელსაც გუნდი პირველ ადგილზე გაიყვანა, თუმცა გასული წლისგან განსხვავებით, კატალონიელებმა ამჯერად თასი ვერ მოიგეს. მაგრამ ეს დიდად არავის განუცდია — ჩემპიონები ხომ გახდნენ!

ჩემპიონატი ხომ თავისთავად უცნაური იყო, მაგრამ ორჯერ მეტად უცნაური გახლდათ იგი „ბარსელონასთვის“. გუნდმა პირველი წრე, საღღაც შუაგულში, მისთვის შეუფერებელ ადგილზე გაატარა, დეკემბრის ბოლოდან კი ისეთი თამაში გააჩაღა, საბოლოო ჯამში ოქროს შესწვდა.

„ბარსელონა“ ესპანეთის ჩემპიონი მეთექვსმეტედ გახდა. ერთი მადრიდის „რეალის“ ჩამორჩება ამ მხრივ, თორემ სხვა რა? ყველაფერი რიგზეა.

რამ განაპირობა ის, რომ „ბარსელონა“ ახალ წლამდე მეათე ადგილზე იყო, ჩემპიონის ტიტული კი პირველობის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე მოიპოვა?

სეზონი კატალონიელებმა მაინცდამაინც კარგად ვერ დაიწყეს — სათანადოდ ვერ თამაშობდნენ, ამასთანავე, აშკარად ეშჩნეოდათ ხარვეზები. მთლიანობაში „ბარსელონა“ დაბზარული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, იარების მოსარჩენად კი აუცილებელი იყო ახალი მოთამაშეები შეეძინა. თავდაპირველად ვან გაალი გუნდის შეკვრას ვერ ახერხებდა — კლუბიც ხან აგებდა, ხან იგებდა. ერთი სიტყვით, არასტაბილურად თამაშობდა. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა „ბარსელონას“ წარუმატებელი თამაში ჩემპიონთა ლიგაში, სიკვდილის ჯგუფად მონათლულ ჯგუფში. კრიზისში მყოფი „ბარსელონა“ ვერ გაუმკლავდა „მანჩესტერს“, „ბაიერნს“ და ზედიზედ მეორე სეზონის მანძილზე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირს ვერ გასცდა.

ის პერიოდი ვან გაალის კარიერის მანძილზე, ალბათ, ერთ-ერთი უარესი გახლდათ. გულშემატკივრები, პრესა ჰოლანდიელს სასტიკად აკრიტიკებდნენ, მისი „ბარსელონადან“ წასვლას მოითხოვდნენ, ის კი, ვინც უშუალოდ უფლებამოსილი იყო, ვან გაალი გაეშვა, თავს იკავებდა. კლუბის მხცოვან პრეზიდენტ ხოსე ლუის ნუნიესს არჩევნის ღრმად სწამდა და ვან გაალს გვერდში ედგა. კრიტიკა კი არ ცხრებოდა, გულშემატკივრები უკვე შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ...

22 ნოემბერს „ბარსელონა“ სტუმრად მარცხდება „მალიორკასთან“. ერთი შეხედვით მოულოდნელი არაფერია — იმ პერიოდში „მალიორკა“ ნამდვილად ძლიერი იყო მეტოქეზე, მაგრამ უბედურებანი სწორედ ამ წაგების შემდეგ დაიწყო — ერთი კვირის შემდეგ „ბარსელონა“ უკვე შინ აგებს მადრიდის „ატლეტიკოსთან“, შემდეგ მარცხდება ლა კორუნიაში, მომდევნო ტურში სულაც შინ აგებს „ვილიარეალთან“... ოთხი წაგება ზედიზედ! „ბარსელონა“ ცხრილის ფსკერისკენ ეშვება. გუნდს საშვილიშვილოდ თავის მოჭრის საფრთხე ემუქრება...

„ბარსელონასთვის“ სეზონი დასრულდა, გუნდის ხელმძღვანელობა კი არაფერს ცვლის. კლუბში რაღაც ხდება“ — წერდა გაზეთი „მარკა“. კიდევ ერთი სოლიდური გაზეთი AS მკაცრად აკრიტიკებდა ლუის ვან გაალს, კლუბის პრეზიდენტ ხოსე ლუის ნუნიესს კი თანამდებობისთვის აშკარად გადაბერებულად მიიჩნევდა.

კრიტიკამ გაჭრა — ვერ გეტყვით, რა მოიმოქმედეს „ბარსელონაში“ ასეთი, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდის თამაშს დეკემბრის მიწურულიდან უკეთესობა დაეტყო. ზამთრის შესვენებაც კლუბმა კარგად გამოიყენა, ამასთანავე სწორედ ამ პერიოდში მოხერხდა ამსტერდამის „აიაქსიდან“ ძმები დე ბურების გადაბირება. შედეგი? მოსალოდნელზე გაცილებით უკეთესი — რვა გამარჯვება ზედიზედ! კლუბი პირველ ადგილზე აღზევდა — საქმისაა, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე ბილურობით ვერ დაკუნდნენ. ბოლოს კატალონიელებმა მაინც მიაღწიეს თავისას — 90-იანი წლების ესპანეთის უძლიერესმა კლუბმა — „ბარსელონამ“ დაამტკიცა, რომ იგი წლეულსაც ძლიერია მეტოქეებზე.

სეზონი „ბარსელონამ“ ჩემპიონატის დასრულებამდე თითქმის ერთი თვით ადრე დაამთავრა, რადგან მეტოქეთათვის მიუღწეველი შეიქნა. მდევრები კი...

ესპანეთის ჩემპიონატის პირველი წრე უცნაური იყო — „მალიორკა“, „სელტა“, „ვალენსია“, „რეალი“ მონაცვლეობით ლიდერობდნენ პირველობას, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ორ ტურზე დიდხანს პირველ ადგილზე ვერავინ ჩერდებოდა.

ლიდერთა მონაცვლეობა იმაზე მიუთითებდა, რომ ესპანეთის აწ უკვე დასრულებულ ჩემპიონატში გამოჩნდნენ თანაბარძალოვანი კლუბები, რომელთაც ინტრიგა შემატეს ჩემპიონატს. მათ პირველობისთვის ბოლომდე ბრძოლა ძალუძდათ. თუ „რეალის“ ლიდერთა შორის ყოფნას გულშემატკივრები შეჩვეულნი იყვნენ, „ვალენსიას“, იმავე „სელტას“ და „მალიორკას“ დაწინაურება ერთგვარი მოულოდნელობა გახლდათ.

სეზონის დასაწყისს სპეციალისტები გუნდების გასაცნობად იყენებენ, მერე კი იწყება გაუთავებელი ბჭობა და პროგნოზები, რომლებიც, როგორც წესი, იშვიათად მართლდება. მაგალითად, „მალიორკას“ და „სელტას“ დროებით, ეგრეთ წოდებული ორ-სამთვიან გუნდებად მიიჩნევდნენ, გუს ჰიდინკის „რეალი“ ჩემპიონატის უპირველეს კანდიდატად ესახებოდათ, „ვალენსიას“ კი ლიდერთა შორის აღარც იხსენიებდნენ.

საბოლოოდ რა ვნახეთ? ხმები, თითქოსდა „მალიორკას“ და „სელტას“ ძლიერი სტარტები მათ დროებითობას მოასწავებდა, არ გამართლდა. „ვალენსია“, ბევრისთვის მოულოდნელად, ძლიერად ათამაშდა, ჩემპიონად დაგულებულმა „რეალმა“ კი ბევრს იმედები გაუცრუა.

არგენტინელმა ექტორ რაულ კუპერმა — „მალიორკას“ მწვრთნელმა, იტალიელმა კლაუდიო რანიერიმ — „ვალენსიას“ თავკაცმა და ვიქტორ ფერნანდეს ბრაულიომ — „სელტას“ ხელმძღვანელმა უდავოდ კარგი გუნდები ჩამოაყალიბეს. სწორედ ამ სამმა კლუბმა შემატა ესპანეთის ბოლო ჩემპიონატს ინტრიგა, რომელიც ფეხბურთის გულშემატკივრებს უეჭველად მოხიბლავდა.

რა გუნდია „მალიორკა“? ერთი ჩვეულებრივი კლუბია, დიდი არაფერი წარსულით, მაგრამ შესანიშნავი აწმყოთი. „სელტაზეც“ ზუსტად იგივე ითქმის. „ვალენსია“ მეტოქეებთან შედარებით გამარჯვებებით დაიკვეხნის, მაგრამ ბოლო წლებში არც იგი წყვეტდა ვარსკვლავებს. და სწორედ ამ სამმა კლუბმა გაალამაზა პირველობა.

საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო — „ბარსელონა“ აშკარად ძლიერი იყო, „რეალმა“ კი ბოლო ორ თვეში გაიუმჯობესა მდგომარეობა. „მალიორკას“ ესპანეთის სუპერთასის მფლობელს, გაზაფხულზე ერთბაშად ორ გათამაშებაში მოუწია ბრძოლამ — ჩემპიონობის შანსებს კარგა ხანს ინარჩუნებდა, თან უკანასკნელი თასების მფლობელთა თასისთვისაც იბრძოდა. საბოლოოდ მიზანს მიაღწია — ჩემპიონთა თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. „ვალენსიას“ რამდენიმე შეხვედრაში მეტოქეთათვის ქულები რომ არ დაეთმო, ეგებ ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრილიყო, მაგრამ არც ახლაა ძალიან შორს ლიგისგან. „სელტა“ კი... ალბათ, ძალიან გადაიღალა.

მართლაც და უცნაური ჩემპიონატი იყო, დაძაბული, ლამაზი...

ლაშა გოდუაძე

სარგებლის არქივიდან

„ბარსელონა“ — ესპანეთის 1998-1999 წლების ჩემპიონატის გამარჯვებული

№	გუნდი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	შინ					სტუმრად				
1.	ბარსელონა (1)		3:0	2:1	2:4	2:2	4:0	3:0	4:2	3:1	4:1	4:1	1:1	0:1	3:1	3:2	7:1	1:0	1:3	4:1	1:1	38	24	7	7	87:43	79	13	3	3	52:23	42	11	4	4	35:20	37
2.	რეალი (4)	2:2		2:1	3:1	1:2	3:1	2:0	0:1	3:2	3:2	0:1	3:2	4:2	2:1	2:2	3:2	2:0	4:1	4:0	3:1	38	21	5	12	77:62	68	14	2	3	46:23	44	7	3	9	31:38	24
3.	მალიორკა (5)	1:0	2:1		0:1	2:0	1:2	2:0	6:1	1:0	1:0	1:0	1:0	4:0	0:0	1:1	2:1	2:0	1:0	1:1	1:0	38	20	6	12	.48:31	66	14	3	2	30:8	45	6	3	10	18:23	21
4.	ვალენსია (9)	1:3	3:1	3:0		2:2	0:0	1:2	4:1	1:1	2:0	5:1	0:1	1:0	3:0	3:0	5:0	1:1	1:0	1:1	1:0	38	19	8	11	63:39	65	11	5	3	38:14	38	8	3	8	25:25	27
5.	სელტა (7)	0:0	5:1	4:2	2:2		0:0	2:0	3:2	2:0	2:2	4:0	0:0	0:1	5:2	3:0	1:1	5:1	4:1	2:0	1:0	38	17	13	8	69:41	64	12	6	1	46:15	44	5	7	7	23:26	22
6.	დეპორტივო (12)	2:1	4:0	1:1	1:0	2:1		1:0	1:1	2:1	0:1	2:2	3:0	1:1	4:0	1:2	2:2	1:1	2:1	2:0	1:0	38	17	12	9	55:43	63	11	6	2	33:15	39	6	6	7	22:28	24
7.	ესპანიოლი (10)	1:2	0:0	1:0	2:1	3:0	2:2		1:1	2:1	0:0	1:0	0:2	1:1	2:1	1:1	3:0	0:0	1:1	2:1	4:0	38	16	13	9	49:38	61	9	8	2	27:14	35	7	5	7	22:24	26
8.	ბილბაო (2)	1:3	2:3	1:0	2:0	0:0	2:1	2:2		2:0	0:0	0:0	2:1	1:2	3:5	2:0	5:0	0:0	2:0	2:0	1:0	38	17	9	12	53:47	60	10	5	4	30:17	35	7	4	8	23:30	25
9.	სარაგოსა (13)	2:0	3:4	0:1	1:4	0:1	3:1	0:3	2:0		1:1	2:2	2:0	2:0	1:0	3:1	1:1	3:1	4:0	3:1	2:0	38	16	9	13	57:46	57	11	3	5	35:21	36	5	6	8	22:25	21
10.	სოსიედადი (3)	0:2	3:2	0:1	1:1	2:0	2:0	1:2	3:1	0:0		1:0	1:0	3:2	3:3	2:0	2:1	2:0	1:1	1:1	4:0	38	14	12	12	47:43	54	11	5	3	32:17	38	3	7	9	15:26	16
11.	ბეტისი (8)	0:3	3:2	1:3	0:1	0:3	0:3	0:1	1:4	1:3	1:0		2:0	0:0	5:0	1:1	1:0	1:1	4:1	1:0	1:0	38	14	7	17	47:58	49	8	3	8	23:26	27	6	4	9	24:32	19
12.	ვალადოლიდი (11)	0:1	0:1	1:0	3:1	2:1	0:1	2:1	0:3	1:1	0:0	2:1		1:0	2:1	2:0	3:0	0:0	1:0	2:1	4:1	38	13	9	16	35:44	48	10	4	5	22:16	34	3	5	11	13:28	19
13.	ატლეტიკო (6)	1:1	3:1	1:2	1:2	2:1	1:1	1:2	0:0	0:0	4:1	2:3	6:1		0:0	1:1	3:0	5:0	2:2	2:0	2:0	38	12	10	16	54:50	46	8	7	4	37:18	31	4	3	12	17:32	15
14.	ოვიედო (17)	2:1	1:0	1:3	2:2	1:3	1:2	1:1	0:0	1:2	2:0	0:1	0:0	3:1		1:0	1:0	1:0	0:0	0:1	3:2	38	11	12	15	41:57	45	8	5	6	21:20	29	3	7	9	20:37	16
15.	რასინგი (15)	0:0	1:3	1:0	0:1	2:2	1:1	0:2	2:0	2:4	0:1	1:0	0:2	2:3	0:0		2:0	3:1	1:2	0:0	4:1	38	10	12	16	41:53	42	6	5	8	22:23	23	4	7	8	19:30	19
16.	ალავესი (-)	1:4	1:1	2:0	0:1	2:0	2:1	1:1	1:2	1:0	2:1	0:0	2:0	2:0	2:2	0:1		0:1	2:1	3:1	1:0	38	11	7	20	36:63	40	10	4	5	25:17	34	1	3	15	11:46	6
17.	ესტრემადურა (-)	1:2	1:5	1:0	2:1	1:1	1:2	1:0	0:1	0:2	1:0	2:1	0:0	2:1	0:1	0:3	1:0		2:2	1:0	1:1	38	9	12	17	27:53	39	8	4	7	17:22	28	1	8	10	10:31	11
18.	ვილიარეალი (-)	2:3	0:2	0:2	1:0	1:1	1:2	2:2	0:1	1:1	1:1	3:4	2:1	2:1	0:0	3:0	2:0	1:1		2:5	5:0	38	8	12	18	47:63	36	6	6	7	29:27	24	2	6	11	18:36	12
19.	ტენერიფე (16)	2:3	2:3	1:1	3:2	0:2	1:1	0:0	0:1	1:1	2:2	3:2	2:2	1:0	0:2	2:2	1:2	1:1	2:2		1:0	38	7	13	18	41:63	34	4	9	6	25:29	21	3	4	12	16:34	13
20.	სალამანკა (14)	1:4	1:1	0:0	0:1	1:1	3:1	2:3	2:1	1:2	0:1	1:3	1:0	2:1	1:1	1:2	1:0	2:1	1:0	1:2		38	7	6	25	29:66	27	7	4	8	22:25	25	0	2	17	7:40	2

ბომბარდირები

რაული (რეალი)	25
რივალდო (ბარსელონა)	24
კ. ლოპესი (ვალენსია)	21

თასის ფინალი

26 ივნისი

ატლეტიკო — ვალენსია

ერთჯილდოიანი ლეში

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავდამსხმელი, ლეს ფერდინანდი ცნობილი ფეხბურთელია. მან 1996 წელს, თბილისში, ეროვნულ სტადიონზე ქართველ გულშემატკივარს მწარედ და, ალბათ, კარგა ხნით დაამახსოვრა თავი, ახლა კი „ფერარიში“ ჩამჯდარა და ლონდონის ქუჩებში დასეირნობს.

ლეს ფერდინანდი

— თქვენ იმ ინგლისელ მოთამაშეთა ჯგუფს განეკუთვნებით, ეროვნულ გუნდში წლობით რომ იწვევდნენ, მაგრამ საკლუბო ფეხბურთში „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ ბატონობის გამო თითზე ჩამოსათვლელი ტიტულები გაქვთ მოგებული...

— მართლაც, არაფერი მომიგია. ჩემი პირველი ჯილდო ლიგის თასი გახლდათ. ინდივიდუალურად უამრავჯერ დავუსაჩუქრებივართ, მაგრამ ფეხბურთი გუნდური თამაშია და ამიტომაც არასოდეს განმიცდია ის გრძნობა, „უემბლის“ კვარცხლბეკზე ასვლისას რომ დამეუფლა. შემდეგ, მოედანს საპატიო წრეც შემოვურბინეთ. ნებისმიერი ბიჭუნას ოცნება ახლა ამიხდა.

— ლიგის თასის მოპოვება, ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

— ჩემთვის მართლაც ასეა. ხალხი ამბობს, რომ ყინულის დაძვრაა ძნელი, თორემ მერე საქმე კარგად მიდის. საბედნიეროდ, ვგრძნობ, რომ ახალ სეზონში პრემიერლიგაში გაცილებით უკეთ ვითამაშებთ და იქაც უეფას თასის მატჩებია...

— რა იფიქრეთ, როდესაც ნიუკასლელებმა ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში ზედიზედ მეორედ წააგეს?

— საშინელება იყო. ზედიზედ ორ გათამაშებაში ფინალში გასვლა და ორივეჯერ დამარცხება როგორია? წარმომიდგენია, რა განწყობაზე დადგებოდნენ გულშემატკივრები და ის ბიჭები, რომლებთან ერთადაც მითამაშია: ალან შირერი, რობერტ ლი, უორენ ბარტონი. მე რომ „ნიუკასლში“ ვიყავი, ისინი მაშინაც იქ „გამოდიოდნენ. გუნდში უამრავი მოთამაშე შეიცვალა, მაგრამ ქომაგები ქომაგებად დარჩნენ და მათ უდიდეს პატივს ვცემ. „ნიუკასლის“ წარმატება მათ გასახარებლად მინდა.

— „ტოტენჰემი“ თქვენი მისვლის დღესთან შედარებით, ალბათ, ძალიან შეიცვალა.

— ძველი „ტოტენჰემის“ ჩრდილიც კი არ არის დარჩენილი. მე რომ მივედი, გუნდი, თითქოს, სპირალს მიჰყვებოდა ქვევითკენ, მაგრამ მას მერე შეიცვალა მწვრთნელი, შედეგები და ყველაფერი. დღეს გუნდს სწორი მიმართულება აქვს.

— თუ ასე ქვევით მიექანებოდა, რად გადახვედით ამ გუნდში?

— „ნიუკასლიდან“ წასვლის ერთადერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ კლუბმა ჩემი გაყიდვა გადაწყვიტა. როგორც გამოჩნდა, ცვლილება სასიკეთო ყოფილა, რაღაც ახალი მოვიგეუცნაური კია, რომ ჩემი ფეხბურთელობის დაღმავალმა პერიოდმა ჯილდო მარგუნა, რადგან ადრე გოლი გოლზე გამქონდა, მაგრამ ჯიუტად უჯილდოოდ ვრჩებოდი. ბედის ირონიაა, არა? როდესაც გადავწყვიტე, კარიერას ნელ-ნელა დავასრულებ-მეთქი, თასი აღვმართე. არადა, მთელი სეზონის განმავლობაში გოლების გატანა მიჭირდა. გამაწამა ტრავმებმა და აღმასვლა-ჩავარდნებმა, მაგრამ ბოლო ჩინებული გამოდგა.

— კეთილი, მაგრამ მომავალ სეზონშიც ხომ „ტოტენჰემში“ აპირებთ დარჩენას.

— ამბობენ, რომ ჩემს შესახებ ბევრი უჭორავიათ, მაგრამ არაფერი მსმენია. მე მხოლოდ გაზეთებში დაწერილი ვიცი, ეს კი ყველასთვის ცნობილია. დავიცდი, ვნახოთ, რა მოხდება. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელს ჩემი სადმე გაშვების შესახებ არაფერი უთქვამს.

— დეკემბერში 33 წელი შეგისრულდებათ. დიდ-დიდი კიდევ სამი სეზონი გაძლოთ. რის მიღწევას აპირებთ?

— მომავალზე საუბარი ძალიან ძნელია, მაგრამ ერთი ვიცი, სადაც ვიქნები, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ. კარიერის მანძილზე ბევრ კარგ მწვრთნელთან მიმუშავია. მათ განსხვავებული იდეები ჰქონდათ და ამ იდეებიდან საუკეთესო რაც იყო, ამოვკრიბე. მოკლედ, თუ ფეხბურთში დარჩენას გადავწყვეტ, ვგონებ, მწვრთნელობას შევუდგები, მაგრამ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია.

— ინტერვიუმდე, მთელი დღის განმავლობაში, „ფორდ ფოკუსით“ დაქროდით ავტორბოლის ტრასაზე. კმაყოფილი ჩანხართ...

— დიდი სიამოვნებაა. კმაყოფილი ვარ ტრასაზე რომ ვიყავი და მანქანას ვაგელვებდი. ძალიან მიყვარს მანქანის მართვა და არა მხოლოდ ტრასაზე. სულ მანქანაში ვზივარ. როდესაც მეგობრებთან ერთად სადმე გავდივარ, ყველაფერი, აუცილებლად, მანქანის მართვით მთავრდება, იმიტომ, რომ ეს ძალიან სმიამოვნებს.

— რა მანქანა გყავთ?

— „ფოკუსი“. მასში რომ ვზივარ, დავფრინავ. ჩემი პირველი მანქანა, პატარა 1275 Mini GT გახლდათ. ის დიდხანს არ მიტარებია, რადგან ერთ კვირაში ძმაკაცმა დამიმტვრია. მერე, როდესაც „ჭუინზ პარკ რეინჯერსში“ გადავედი, „რენო“ ვიყიდე. მას დაახლოებით ექვსი თვე დავაქროლებდი. შემდეგ კი „რენო ტურბო“ ვიყიდე.

— დიდი, მოსული კაცი ბრძანდებით, პატარა მანქანები კი გყვარებიათ...

— არა, რატომ. „ფერარი მარანელოც“ მყავს. მას ყოველდღიური საჭიროებისთვის ვიყენებ. მყოლია „პორშეც“. ზოგადად, სწრაფ მანქანებს ვარჩევ ხოლმე, მაგრამ, როდესაც ტრასაზე დაქრიხარ, ხვდები, რომ მათ პატივი უნდა სცე და ფრთხილად მოეპყრო.

— „ფერარის“ ტოტენჰემის (უბანია ლონდონში) ქუჩებში ტარება არ გაშინებთ?

— არა. ის ხომ სამართავად შევიძინე. სამწუხაროდ, ისე მდიდარი არ გახლავართ, მანქანების შეგროვება რომ დავიწყო, მაგრამ ერთი ვიცი: თუ გეშინია, რომ მანქანა დაიმტვრევა, სჯობს არ იყიდო.

— ინგლისის ნაკრებში აღარ გიწვევენ და ამიტომ, ალბათ, ეს ზაფხული დაუსრულებლად გეჩვენებათ.

— მართლაც, ამდენი წლის მერე პირველი წყნარი ზაფხული დამიდგა. ახლა შვებულებაში გავალ და რამდენიმე კვირით დავისვენებ. ჩინებულია, რასაც გინდა, იმას რომ გააკეთებ. რამდენი წელიწადია, ჩემს გემოზე ყოფნა მეწადა, მაგრამ დრო არ მქონდა.

365-დან თარგმნა
მიხეილ სურგულაძემ

რა არის ჰეთ თრიქი?

აუტი, ოფსაიდი, პოკერი, დუბლი, პენალტი, ჰეთ თრიქი...

საფეხბურთო ტერმინოლოგია ბევრ ასეთ, ლათინურფუძიან სიტყვას ითვლის, რომლის მნიშვნელობაც გულშემატკივართათვის კარგადაა ცნობილი, მისი წარმომავლობა კი, ალბათ, ბევრმა არც იცის.

ასეთ ტერმინებს განეკუთვნება „ჰეთ თრიქი“. პატარა ქომაგებმაც კი იციან, რას აღნიშნავს ეს სიტყვა — რაღა თქმა უნდა, ერთი ფეხბურთელის მიერ სამ გატანილ გოლს.

ბევრს ჰგონია, რომ ჰეთ თრიქი საფეხბურთო ტერმინია, ეს კი ასე სულაც არაა. იგი გაცილებით ძველია, ვიდრე თავად ფეხბურთი. მეტიც — იგი ისეთი თამაშიდან მომდინარეობს, რომელსაც ფეხბურთთან არანაირი „ნათესაური“ კავშირი არ აქვს. არადა, ეს, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია.

ტერმინი ჰეთ თრიქი, როგორც ასეთი, დღესდღეობით იმაზე მიუთითებს, რომ ფეხბურთელმა მეტოქეს ერთ შეხვედრაში სამი გოლი გაუტანა. ჰეთ თრიქი კი ფეხბურთზე ადრე არსებული თამაშიდან, კრიკეტიდან მომდინარეობს.

კრიკეტი ბრიტანეთსა და ავსტრალიაში ძალიან პოპულარული თამაშია. ტერმინი ჰეთ თრიქი კი ამ თამაშში ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუაწელიდან იხმარება:

კრიკეტის ის მოთამაშე, რომელიც ბურთით ზედიზედ სამ ბჭეს წააქცევდა იღებდა საგანგებოდ ასეთი შედეგისთვის განკუთვნილ ქუდს. მოგეხსენებათ, „ჰეთ“ (hat) ინგლისურ ენაზე ქუდს ნიშნავს. იმისათვის, რომ თამაშში მონაწილე ამა თუ იმ მოკრიკეტეზე ეთქვათ, ჰეთ თრიქი შეასრულო, ერთი აუცილებელი პირობა იყო საჭირო — მოთამაშეს სამი ბჭე ზედიზედ უნდა წაექცია, ბუნებრივია, მხოლოდ სამი ცდით.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ტერმინი ჰეთ თრიქი ფეხბურთშიც დამკვიდრდა, თუმცაღა პირველ ხანებში დღევანდელისგან განსხვავებით, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმარებოდა, თუ ფეხბურთელი მეტოქეს ზედიზედ სამ გოლს გაუტანდა და მხოლოდ ამ სამი გოლით გაამარჯვებდა მისი გუნდი. დროთა განმავლობაში ჰეთ თრიქის გამოყენება დაიწყო იმ შემთხვევაშიც, თუ ფეხბურთელი სამ გოლს გაიტანდა, მისი გუნდი კი მეტოქეს დაუშვათ 5:0 მოუგებდა, ანუ ერთი რომელიმე კონკრეტული მოთამაშის მიერ გატანილი ბურთების გარდა, მოწინააღმდეგის კარს კიდევ სხვა ან სხვები დალაშქრავდნენ.

დღესდღეობით ტერმინში — ჰეთ თრიქი მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ იგულისხმება — ფეხბურთელის მიერ გატანილი სამი გოლით. არ აქვს მნიშვნელობა რა ანგარიშით დასრულდა შეხვედრა, ან ზედიზედ გავიდა თუ არა სამი გოლი. მხოლოდ სამი გოლი და მორჩა, მეტი არაფერი.

ჰეთ თრიქი... არადა, ბევრმა არც კი იცოდა, რომ ეს ტერმინი კრიკეტიდან მოდისა.

ლაშა გოდუაძე

ფეხბურთის რუკასთან

ნიგერიის ეროვნული ნაკრების მცველი გბენგა ოკუნოვო პორტუგალიურმა „ბენფიკამ“ „ბარსელონისგან“ ერთი სეზონით ითხოვა.

ესპანურ „ბეტისს“ მომავალ სეზონში არგენტინელი ფეხბურთის სპეციალისტი კარლოს ტიმოთეო გრიგუოლი გაწვრთნის. მას შემდეგ, რაც სევილიური კლუბის პრეზიდენტმა, მანუელ რუის დელოპერამ, გასული სეზონის ბოლოს ესპანეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი ხავიერ კლემენტე თანამდებობიდან გაათავისუფლა, „ბეტისის“ მომავალ მწვრთნელთა რანგში მრავალი კანდიდატურა იხილებოდა, მათ შორის 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, არგენტინელი ამერიგო გალიეგო, რომელსაც ესპანეთის საფეხბურთო ასოციაციამ მწვრთნელის სათანადო ლიცენზიის არქონის გამო პირნეიზე მუშაობის უფლება არ მისცა, ბრაზილიური — „პალმეირასის“ თავკაცი ლუის ფილიპე სკოლარი და იტალიური „რომას“ აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი, ჩეხი ზდენეკ ზემანი. საბოლოოდ არჩევანი მაინც გამოცდილ გრიგუოლზე შეჩერდა. 64 წლის გრიგუოლი, რომელმაც „ბეტისთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ამჟამად ყველაზე ხანდაზმულია იმ მწვრთნელთა შორის, რომლებიც გაისად პრიმერა დივიზიონის კლუბებს უთავკაცებენ.

გერმანული ბრემენის „ვერდერის“ მენეჯერი ვილი ლემკე ქვეყნის განათლების მინისტრად დაინიშნა. 52 წლის ლემკე წარსულში თავად იყო „ვერდერის“ ფეხბურთელი და ბრემენელთა შემადგენლობაში ორჯერ ქვეყნის თასიც მოიპოვა. „მიუხედავად იმისა, რომ ბრემენში აღარ ვიცხოვრებ, „ვერდერი“ არასდროს დამავიწყდება. ჩემი საუკეთესო წლები ხომ სწორედ იქ გავატარე“ — განაცხადა ახალმა მინისტრმა.

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „ვულვერჰემპტონის“ ირლანდიელ ნახევარმცველ რობი კინს „მიდლსბრო“ ეპატიჟება. კინი ამ დღეებში შეხვდება „ვულვერჰემპტონის“ პრეზიდენტ კოლინ ლის და მისი კლუბში დარჩენა-არდარჩენის საკითხი გადაწყდება. „პრემიერლიგაში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი, ოღონდ არა „მიდლსბროს“, არამედ „ვულვერჰემპტონის“ რიგებში. კლუბის დატოვება არ მინდა და ამისთვის ყველაფერს ვიღონებ“ — განაცხადა ირლანდიელმა ფეხბურთელმა.

ესპანურ პრიმერადივიზიონში ახლახან აღზევებულ „ნუმანსიას“ გაისად ესპანეთის ნაკრების ყოფილი წევრი ანდონი გიოკოეჩეა გაწვრთნის. გიოკოეჩეა გასულ სეზონში მეორე დივიზიონში მოასპარეზე „კომპოსტელას“ ედგა სათავეში, „ნუმანსია“ კი მისთვის პირველი კლუბია, რომელსაც პირნეის ნახევარკუნძულის უმაღლეს დივიზიონში უთავკაცებს. გიოკოეჩეას თქმით, იგი გააგრძელებს „ნუმანსიას“ ტრადიციას, ანუ მხოლოდ ესპანელებით დაკომპლექტებულ კლუბში უცხოელებს არ მიიწვევს. რაც შეეხება „ნუმანსიას“ ყოფილ თავკაც მიგელ ანხელ ლოტინას, მან მეორე დივიზიონელი „ოსასუნას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე გრეგორიო მანზანო შეცვალა. ეს უკანასკნელი კი „ვალიადოლიდს“ ჩაუდგა სათავეში.**

ინგლისური „ქოვენთრის“ ღირსებას მომავალ სეზონში ორი იტალიელი ფეხბურთელი — 26 წლის მეკარე რაფაელე ნუცო და 19 წლის ცენტრალური მცველი ანტონიო კარუზო დაიცავს. ორივე მათგანი პრემიერლიგურმა კლუბმა მილანის „ინტერიდან“ გადაიყვანა. ანტონიო კარუზო, რომელიც „ინტერის“ მეორე გუნდში ასპარეზობდა, ინგლისელებმა ერთი წლით ითხოვეს, ხოლო რაფაელე ნუცოს სანაცვლოდ 300 ათასი გირვანქა გადაიხადეს.

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო, 30-ე ტურის 5 შეხვედრა გაიმართა. ნივა — დინამო 1:5, შახტიორი — ტავრია 2:0, მეტალისტი — კარპატი 3:1, ზორკა — კრივბასი 2:3, მეტალურგი (ზაპოროჟიე) — დნეპრი 2:2. უკრაინის ჩემპიონის ტიტული კიევის „დინამომ“ მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ მას ერთი თამაში კიდევ გასამართი აქვთ. კიეველებმა 29 თამაშში 74 ქულის მოპოვება მოახერხეს. მეორეზე დონეცკის „შახტიორია“ 65 ქულით, მესამეზე — „კრივბასი“.

კოტდივუარელი **თავდამსხმელი იბრაჰიმ ბაკაიოკო ლივერპულის „ევერტონიდან“ მარსელის „ოლიმპიკში“ გადავიდა. შეიძლება ითქვას, რომ ბაკაიოკო საფრანგეთში დაბრუნდა, რადგან „ევერტონს“ იგი გასულ ოქტომბერს „მონპელიეიდან“ შეუერთდა. „ოცნება ამიხდა, ამიერიდან „ოლიმპიკის“ წევრი ვარ, სულ ცოტა ხნის წინ ამაზე ოცნებაც არ შემეძლო“ — განაცხადა 22 წლის აფრიკელმა ფეხბურთელმა.**

ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ეროვნული ასოციაციის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ფორტუნა“ თავის ფარმ-კლუბად აქცია, რომელიც ინგლისური გრანდისთვის აფრიკაში ნიჭიერი მოთამაშეების გამოძებნა-მიწოდება ევალება. „ნამდვილად კარგი გარიგება მოხდა. ეს ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელის ოცნების ახდენას შეუწყობს ხელს“ — განაცხადა აფრიკული გუნდის წარმომადგენელმა. „იუნაიტედის“ თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა ამ ფაქტს შემდეგი კომენტარი გაუკეთა: ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, თავად ნახავთ, რამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდება, არა მარტო „მანჩესტერისთვის“, არამედ მსოფლიოს ფეხბურთისთვის სასარგებლოდ.

ბრაზილიის ლეგენდარული ნაკრების წევრმა ტოსტაომ, გუშინ რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ყველაზე ლამაზი ბრაზილიური ფეხბურთი თანდათანობით გაუხუნდა. „ამაში „კორინთიანს“ — „პალმეირასის“ შეხვედრის შემდეგ, საბოლოოდ დავრწმუნდი. ფეხბურთელები მოედანზე სათამაშოდ კი არა, საომრად უფრო გამოდიან“ — თქვა ტოსტაომ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ სან პაულუს თასის ფინალში, სწორედ ზემოხსენებული კლუბები წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. შეხვედრა მართლაც სასტიკი უხეშობით გამოირჩეოდა.

გერმანული ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ — ლოთარ მათეუსმა განაცხადა, რომ მიუნხენის „ბაიერნში“ მომავალი სეზონის შუამდე დარჩება. მათეუსს, რომელსაც გერმანიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 136-ჯერ უთამაშია, ამერიკული მეიჯორსოკერ ლიგის „ნიუ ჯერსი მეტროსტარზი“ ეპატიჟება. „მიუნხენში ზამთრამდე ვითამაშებ, შემდეგ კი ამერიკაში ჩავალ. იქ ახალი სეზონი მარტში დაიწყება“ — თქვა 38 წლის ვეტერანმა და დაამატა, ნაკრებში თამაშს ჯერ კიდევ ვაპირებ და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ვიცი, ერიხ რიბეკს სჯერა ჩემი.

საქართველოს საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ ალუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

დიდი ჩვიდმეტი

ფეხბურთს სულ ჩვიდმეტი წესი აქვს, რომელიც სპორიტს ამ სახეობის მესაჭეებს მათ დაქვემდებარებაში მყოფ ეროვნულ ასოციაციებთან შეთანხმებით შეუდგენიათ და მის მოდიფიკაციებს მხოლოდ 16 წლამდელთა, ქალთა და ვეტერანთა ანუ 35 წელზე უფროსთა შეჯიბრებებში უშვებენ.

მოდიფიკაციათაგან ნებადართულია: მოედნის ზომების, ბურთის წონის, ზომის და მასალის, კარის სიგრძე-სიმაღლის, თამაშის თუ ტაიმების ხანგრძლივობისა და ცვლილებათა რაოდენობის მომატება-დაკლება.

აღსანიშნავია, რომ ამ მოდიფიკაციათაგან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებია როგორც ერთის, ასევე ერთბაშად ყველას გამოყენება. რაც შეეხება სხვა ცვლილებებს, მათი შემოღების უფლება მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საგანგებო კომიტეტს აქვს.

ამრიგად, პროფესიული ფეხბურთის ჩვიდმეტი კანონი საყოველთაოა და უცვლელი, ამიტომაც მათი გაცნობა თუ გახსენება უინტერესო არ უნდა იყოს.



კანონი 1

ფეხბურთის მოედანი

ფეხბურთის მოედანი მართხკუთხა ფორმისა უნდა იყოს: აუტის ხაზის კარისაზე მეტობა სავალდებულოა. მოედნის სიგრძე 90-დან 120 მეტრამდე შეიძლება იცვლებოდეს, ხოლო სიგანე 45-დან 90-მდე.

ოდნავ განსხვავებული მოთხოვნებია იმ მოედნების მიმართ, რომლებზეც სანაკრებო შეხვედრები იმართება. მათი სიგრძე 100-დან 110 მეტრამდეა, სიგანე კი 64-დან 75 მეტრამდე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზომა, რომელიც შეიძლება უცნაურად გეჩვენოთ (მაგალითად 64 მეტრი), მეტრებში სიგრძის ინგლისური ერთეულიდან, იარდებიდანაა „ნათარგმნი", თორემ იარდებში უცნაური არაფერია (64 მეტრი იგივეა, რაც 70 იარდი).

მოედანზე გავლებულია ხაზები, რომლებიც სხვადასხვა ზონებს საზღვრავენ. ორი, განაპირა, ყველაზე გრძელი ხაზი აუტისა გახლავთ (ინგლისურად თაჩ ლაინ), შედარებით მოკლე, აუტის ხაზთა პერპენდიკულარულ ორ ხაზს კი კარისა ჰქვია. თავად ხაზთა სიგანე 12 სანტიმეტრზე მეტი არ უნდა იყოს.

სათამაშო მოედანს ცენტრალური ხაზი ორ ნახევრად უნდა ჰყოფდეს. ცენტრალური ხაზის შუაში კი მოედნის ცენტრი უნდა იყოს აღნიშნული. ცენტრის შემოშაზღვრელი წრის რადიუსი 9,15 მეტრია.

მოედნის როგორც ერთ, ასევე მეორე ბოლოში შემოფარგლულია ეგრეთ წოდებული მეკარის ბაქანი. მის საზღვრებს კარის ძელთაგან 5,5 მეტრის მოშორებით მოედნის სიღრმისკენ გავლებული იმავე სიგრძის ორი პარალელური და მათი შემაერთებელი ხაზები მიუთითებს.

მეკარის ბაქანი მდებარეობს საჯარიმო მოედანში. საჯარიმო მოედანი კი ეწოდება ზონას კარის ძელთაგან 16,5 მეტრის სიშორიდან გავლილი ორი პარალელური, ამავე სიგრძის ხაზით და მათი შემაერთებლით რომ არის შემოსაზღვრული.

ორივე საჯარიმო მოედანში აღნიშნულია პენალტის დასარტყმელი ადგილი, რომელიც ძელთა შორის, ზუსტად შუიდან, 11 მეტრის მოშორებით უნდა მოიხაზოს.

საჯარიმოს გარეთ პენალტის ნიშნულიდან 9,15 მეტრის რადიუსით შემოხაზულია ნახევარწრე.

მოედანზე სავალდებულოა ოთხი დროშის დაყენება. თითოეული მათგანი მოედნის თითო კუთხეში უნდა იდგეს. გარდა ამისა, დასაშვებია ცენტრისა და აუტის ხაზების გადაკვეთაზე ასეთივე დროშების აღმართვა. ისინი აუტის ხაზიდან 1 მეტრზე შორს არ უნდა დაყენონ.

ხსენებულ ალამთა სიმაღლე 1,5 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს და არ უნდა ჰქონდეს წვეტები. კუთხურის თითოეულ ალამთან, მოედანში, შემოხაზული უნდა იყოს მეოთხედი წრე, რომლის რადიუსიც 1 მეტრია.

მოედნის ორივე ბოლოში, კარის ხაზზე, შუაში, უნდა იდგეს კარი. კარი შედგება კუთხურის ალმებიდან თანაბარი დაშორებით აღმართული ორი ძელისგან, რომელიც ხარიხითაა შეერთებული. ძელთა შორის მანძილი 7,32 მეტრია, ხოლო ხარიხის გრუნტიდან დაშორება — 2,44 მეტრი.

ძელთა და ხარიხის სისქე ტოლი უნდა იყოს, არაუმეტეს 12 სანტიმეტრისა ანუ მათი სისქე კარის ხაზის სიგანის ტოლია. ბადე შეიძლება დაამაგრონ ძელებსა და ხარიხაზე, მაგრამ აუცილებლად კარს უკან უნდა გადაჭიმონ, რათა მეკარეს არ შეუშალოს ხელი.

ძელები და ხარიხა თეთრად უნდა იყოს შეღებილი.

ახლა მოვიყვანოთ პირველი კანონის თანმხლები რამდენიმე პირობა:

1. თუ ხარიხა მოძვრება ან გატყდება, თამაში უნდა შეწყდეს მის გასწორებამდე. თუ დაზიანებული ხარიხის ან ძელის შეცვლა შეუძლებელია, თამაში უნდა ჩაიშალოს. ხარიხის სანაცვლოდ - ოიკის გაბმა აკრძალულია. როდესაც ახალ ხარიხას დააყენებენ, მატჩი სადავო ბურთის ჩაგდებით გრძელდება. სადავო მსაჯმა თამაშის შეწყვეტის ადგილას უნდა ჩააგდოს.
2. ხარიხა და ძელები უნდა დამზადდეს ხისგან, მეტალისგან ან სხვა შემოწმებული მასალისგან. მათი ზედაპირი შეიძლება იყოს მრგვალი, კვადრატული, ელიფსური ან მართხკუთხა და რაც მთავარია, ფეხბურთელები არ უნდა დააშავოს.
3. მოედანზე აკრძალულია რეალური ან ვირტუალური რეკლამების მოწყობა. ეს აკრძალულია კარის ბადეებსა და მის ახლომახლო ადგილებშიც, ასევე ყველაფერზე, რასაც მოედნის აღჭურვილობა ეწოდება. რეკლამების მოწყობა ნებადართულია მხოლოდ შესვენების დროს. იმავე ტერიტორიაზე აკრძალულია კამერების, მიკროფონების და სხვა აპარატურის დაყენებაც.
4. მესამე პუნქტში აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება ფიფას, უეფას, ეროვნული ასოციაციების, კლუბების და სხვა ორგანიზაციების სიმბოლიკაზეც.
5. კუთხურის მეოთხედწრიდან 9,15 მეტრის მოშორებით, კარის ხაზიდან მოედნის გარეთ, შეიძლება მოინიშნოს ადგილი, რათა მსაჯი დარწმუნდეს, რომ უკთხურის ჩაწოდების დროს მეტოქეები ჩამწოდებელს ხელს არ უშლიან ანუ 9,15-მეტრიანი დისტანცია დაცულია.

კანონი 2

ბურთი

ბურთი უნდა იყოს სფერული. მისი დამზადება მართებთ ტყავისგან ან სხვა შესაფერისი მასალისგან. გარშემოწერილობა 70 სანტიმეტრზე ნაკლებია და 68 სანტიმეტრზე მეტი. წონა მატჩის დაწყების წინ უნდა იყოს 410-450 გრამი.

თუ თამაშის მსვლელობის დროს ბურთი გასკდება ან დეფორმაციას განიცდის, მატჩი უნდა შეწყდეს და ახალი ბურთით განახლდეს იმ ადგილიდან, სადაც ის გასკდა ან დეფორმირდა. განახლების დროს ჩააგდებენ სადავოს.

თუ ბურთი დაზიანდა, როდესაც იგი მოედნიდან გადავარდნილი იყო (აუტში, კუთხურზე, კარში იყო შესული) ან იმ დროს თამში შეჩერებული გახლდათ, მატჩი ახალი ბურთით შესაბამისად გაგრძელდება.

მატჩის მსვლელობის დროს მსაჯის განკარგულების გარეშე ბურთის გამოცვლა არ შეიძლება.

მოვიყვანოთ მეორე კანონის თანმხლები რამდენიმე პირობა:

1. ოფიციალურ შეხვედრებში ნებადართულია მხოლოდ ისეთი ბურთით თამაში, რომელიც მეორე კანონში აღნიშნულ მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ფიფას ან კონტინენტურ კონფედერაციათა ეგიდით მიმდინარე თამაშებში გამოყენებულ ბურთზე აღნიშნული უნდა იყოს სამიდან ერთი:

ა) ლოგო **FIFA APPROVED** (ფიფას მიერ დამტკიცებულია);
ბ) ლოგო **FIFA INSPECTED** (ფიფას მიერ შემოწმებულია);
გ) წარწერა **International Matchboll Standard** (ბურთის საერთაშორისო სტანდარტი).

ჩამოთვლილი აღინიშვნები იმის გარანტიაა, რომ ბურთი მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. დამატებითი მოთხოვნების შემოღების უფლება მხოლოდ ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საგანგებო კომიტეტს აქვს.

ეროვნულ ფედერაციათა ეგიდით მიმდინარე შეჯიბრებებში გამოყენებულ ბურთს სამი აღნიშვნიდან რომელიმე უნდა ჰქონდეს.

სხვა მატჩებში ბურთი უნდა აკმაყოფილებდეს მეორე კანონში ჩამოთვლილ მოთხოვნებს.

2. ფიფასა და კონტინენტური კონფედერაციების ეგიდით მიმდინარე შეჯიბრებებში ბურთზე რაიმე კომერციული რეკლამის გამოხატვა აკრძალულია. ნებადართულია მხოლოდ შეჯიბრების ემბლემისა და ბურთის გამომშვები ფირმის ლოგოს აღნიშვნა.

კანონი 3

ფეხბურთელთა რაოდენობა

მატჩში მონაწილეობს ორი გუნდი. თითოეული უნდა შედგებოდეს არაუმეტეს თერთმეტი ფეხბურთელისგან, რომელთაგან ერთი მეკარეა. თუ რომელიმე გუნდი შვიდზე ნაკლები ფეხბურთელისგან შედგება, შეხვედრა არ ჩატარდება.

ფიფას, კონტინენტური კონფედერაციების ან ეროვნული ასოციაციების ეგიდით მიმდინარე შეხვედრებში შეიძლება მაქსიმუმ სამი ფეხბურთელის შეცვლა.

თუ რამდენი სათადარიგო მოთამაშე (სამიდან შვიდამდე) შეიძლება იყოლიონ გუნდებმა, თავად შეჯიბრების დებულება განსაზღვრავს.

სხვა მატჩებში კი მაქსიმუმ ხუთი მოთამაშის შეცვლაა ნებადართული. ეს დამოკიდებულია გუნდებს შორის შეთანხმებაზე, რომლის შესახებაც მსაჯს შეხვედრის დაწყების წინ უნდა ეცნობოს. თუ მსაჯს არაფერი აცნობეს ან გუნდები არაფერზე შეთანხმებულან, მაშინ მაქსიმუმ სამი ცვლილებაა ნებადართული.

ნებისმიერ შეხვედრაში სათადარიგო ფეხბურთელთა ვინაობა მსაჯს მატჩის დაწყების წინ უნდა გადაეცეს. ის სათადარიგოები, რომელთა ვინაობაც მსაჯს წინასწარ არ ეცნობა, შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ფეხბურთელის შეცვლისთვის აუცილებელია:

ა) ცვლილებების გამზრახვა მსაჯს შეატყობინონ;
ბ) სათადარიგო მოთამაშე მოედანზე მხოლოდ მას მერე შევიდეს, რაც ფეხბურთელი, რომელსაც ცვლიან, მოედანს დატოვებს, ხოლო მსაჯი შევცლის ნებას დართავს;
გ) სათადარიგო მოთამაშე მოედანზე აუცილებლად ცენტრიდან შევიდეს. ამ დროს მატჩი შეჩერებულია;
დ) შეცვლა შესრულებულია, როდესაც სათადარიგო ფეხბურთელი მოედანზე შევა;
ე) ამ მომენტიდან სათადარიგო ფეხბურთელი მოთამაშე ხდება, ხოლო შეცვლილი თამაშს წყვეტს;
ვ) შეცვლილი მოთამაშე შეხვედრას ველარ დაუბრუნდება;
ზ) ყველა სათადარიგო მსაჯის იურისდიქციის ქვეშაა, მიუხედავად იმისა, მოედანზე შეჰყავთ თუ არა.

რაც შეეხება მეკარის შეცვლას, აღსანიშნავია, რომ გოლკიპერის ადგილის დაკავება ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია, ოღონდ:

ა) ამის შესახებ მსაჯს წინასწარ უნდა ეცნობოს;
ბ) ცვლილება მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც შეხვედრა შეჩერებულია.

თუ მოთამაშე მოედანზე მსაჯის ნებართვის გარეშე შევიდა:

ა) შეხვედრა შეჩერდება;
ბ) შემცვლელს ყვითელ ბარათს აჩვენებენ და მოედნის დატოვებას მოსთხოვენ;
გ) თამაში სადავოს ჩაგდებით განახლდება იმ ადგილიდან, სადაც ბურთი შეწყვეტის მომენტში იყო.

თუ მოთამაშემ მსაჯის გაფრთხილების გარეშე მეკარე შეცვალა:

ა) თამაში გრძელდება;
ბ) როგორც კი თამაში შეჩერდება, შემცვლელს ყვითელ ბარათს აჩვენებენ.

თუ მსაჯი ფეხბურთელის გაფრთხილების მიზნით თამაშს შეაჩერებს, შეხვედრა თავისუფალი საჯარიმო დარტყმით გაგრძელდება. თავისუფალ საჯარიმო დარტყმას, მატჩის შეჩერების ადგილიდან, გაფრთხილებული ფეხბურთელის მეტოქე გუნდი შეასრულებს.

ფეხბურთელი, რომელიც მატჩის დაწყების წინ გააძევეს, მხოლოდ ერთერთმა სათადარიგომ უნდა შეცვალოს.

სათადარიგოს გაძევების შემთხვევაში (სულ ერთია, იგი თამაშის დაწყების წინ გააძევეს თუ მსვლელობისას) მის მაგივრად სათადარიგოთა სკამზე ვერავინ დაჯდება.

მოვიყვანოთ მეორე კანონის თანხმლები რამდენიმე პირობა:

1. მესამე კანონის ის პუნქტი, რომელიც გუნდებში ფეხბურთელთა მინიმალურ რაოდენობას ეხება, ეროვნულ ასოციაციებს შეუძლიათ ინტერპრეტირებულად წაიკითხონ, მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის.საგანგებო კომიტეტი ითხოვს, რომ თუ რომელიმე გუნდს შვიდზე ნაკლები მოთამაშე ჰყავს (დარჩა), თამაში არ უნდა ჩატარდეს.
2. მწვრთნელს ნება ეძლევა, მოთამაშეებს მატჩის მსვლელობის დროს ტაქტიკური მითითებები მისცეს, მაგრამ ის (ან გუნდის სხვა ოფიციალური პირნი) შემოსაზღვრულ ტექნიკურ ზონაში უნდა დარჩნენ. გარდა ამისა, მათ ღირსეული ქცევა მოეთხოვებათ.

პაპუნა კედია

გაგრძელება იქნება

REUTERS ლონდონიდან

ბორის ბეკერი მეტოქეზე ხშირად ტრიბუნაზე მჯდომ ფეხმძიმე მეუღლე ბარბარას უყურებდა

როცა გეტყვი ი, მაშინ გამოდი!

ᲨᲕᲘᲓᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲑᲝᲠᲘᲡᲡ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ ბებერ რაინდ ბორის ბეკერს საყვარელ ტურნირზე „დაბადებიდან“ 15 წლის თავზე მასთან ღირსეულად გამოთხოვება აქვს გულში ამოჭრილი. სამგზის ჩემპიონი უიმბლდონზე ბოლო რანდევუს დასრულებას, ხმლით ხელში, ცენტრალურ კორტზე აპირებს, სადაც ორი წლის წინ ერთხელ უკვე დაემშვიდობა საბოლოოდ თავის ქომაგებს. დაემშვიდობა, მაგრამ გედის სიმღერის სათქმელად გულმა ისევ თავისი დიდი გმირობების ალაგს გამოუწია.

ორგანიზატორებმა ინგლისელ მაილს მაკლაგანთან შესახვედრად პირველ წრეში დიდი გერმანელი „ჩემპიონების სასაფლაოდ“ სახელდებულ მეორე კორტზე გაამწესეს და როგორც ამოჩნდა, ლამის სანეკროლოგადაც გაიმეტეს.

ბორისს ჩვეული რკინის აბჯრის ტარება თითქმის სამი სეტის მანძილზე მეტად უმძიმდა და ბადისკენ გზაც ვინძლო კამელოტზე შორად და ძნელად ეჩვენებოდა. მაკლაგენმა ორი სეტი დაძაბულ ბრძოლაში მოიგო, მესამეში 4:1 დაწინაურდა. ბევრმა ხელი ჩაიქნია, გერმანელს დიდი მერლინის ჯადოქრობაც ვეღარ უშველისო.

მაგრამ ბეკერს მკვდრეთით აღდგომა არ ესწავლება: კარიერაში მას ცხრაჯერ გადაურჩენია შეხვედრა ორი სეტის წაგების შემდეგ, თანაც მას ხომ თვალს მიჯნური, 7 თვის ფეხმძიმე მეუღლე ბარბარა ადევნებდა.

და ბორისმა კლასიფიკაციით თავისზე 221 ადგილით დაბლა მდგომ მეტოქეს უჩვენა, თუ რას ნიშნავს ნამდვილი ჩემპიონი — მან ჯერ ხუთი გეიმი მოიგო ზედიზედ, მერე მეოთხე სეტში 4:5-ზე სამი მატჩ-პოინტი გადაარჩინა და მაკლაგანმაც პირველი შენიშვნა მიიღო უწმაწური სიტყვისთვის.

მაგრამ მეტოქეზე უარეს დღეში ამავე დროს ბარბარა ბეკერი გახლდათ, რომელიც თვალზეხელაფარებული იჯდა გადამწყვეტ მომენტებში, თან თითებს კბენდა და მთელი კორტის გასაგონად გულშემატკივრობდა მეუღლეს.

„ისე აღელვებული ჩანდა, მივუბრუნდი და ვუთხარი, დაწყნარდი-მეთქი, რადგან შეიძლებოდა, მშობიარობა იქვე დაეწყო. იქამდე ბევრი კვირა არ არის დარჩენილი და რაც უფრო აღელდება, ჩემი მეორე ბავშვიც მით უფრო დაჩქარებს დაბადებას. იმედია, კიდევ ერთი ხუთსეტიანი მატჩი აღარ მექნება, თორემ ღმერთმა იცის...“ — გაიღიმა მოგვიანებით ბორისმა, ბარბარამ კი ამ ნელ ცეცხლზე წვას ბოლომდე ვეღარ გაუძლო და კორტი მალევე დატოვა.

ასე რომ, არ უნახავს, ბრძოლის დაწყებიდან 3 საათისა და 55 წუთის შემდეგ როგორ ასწია ხელები ბორისმა გამარჯვების ნიშნად და როგორ მიესალმა მოგებულს ფეხზე წამოდგომით თანამემამულის ნაცვლად გადამთიელის მოქომაგე ტრიბუნები — 5:7, 6:7 (7:9), 6:4, 7:5, 6:2.

„ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ ინგლისელ ქომაგებთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებს, ჩვენ ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ და ვალის დაბრუნება მათთვის იმით შემიძლია, რომ ყოველთვის ბოლომდე ვიბრძოლო... ასე რომ, ჯერაც აქა ვარ, როგორლაც.“

ლეგენდა გრძელდება, ბავშვი, საბედნიეროდ, ჯერაც არ დაბადებულა და უიმბლდონიც კიდევ ერთხელ მაინც იხილავს ბეკერს.

— ეს ცრემლები იყო, ბორის? — ჰკითხეს გერმანელს მატჩის შემდეგ.

— არა, თვალში მტვერი შემეყარა, ცრემლები არ ყოფილა — განაცხადა გერმანელმა. მტრებმა ხომ აბჯარში ხვრელი არ უნდა დაინახონ.

ᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲔᲑᲘ

ბეკერისგან განსხვავებით, კიდევ ერთ ყოფილ ჩემპიონს, ანდრე აგასის პირველ წრეში იოტისოდენადაც არ გასჭირვებია.

ხოტორა ამერიკელი ლონდონს კარიერის ყველაზე დიდი გამარჯვებიდან ორი კვირის შემდეგ ეწვია — როლან გაროსის მოგებით იგი იმ ოთხკაციან კლუბს შეუერთდა, რომლის წევრებსაც ოთხივე დიდი სლემის ტურნირის ტიტული აქვთ კოლექციაში.

„ასე არასოდეს მიგრძვნია თავი კორტზე და, ალბათ, აღარც ვიგრძნობ — აღნიშნა პრესკონფერენციაზე ანდრემ, რომელსაც პარიზში ცრემლები არავისგან დაუმალავს — საშინლად ემოციური იმიტომ ვიყავი, რომ ამ წარმატებას არ ველოდი. როდესაც ყველაფერი მორჩა, შევჩერდი და მსურდა, დავმტკბარიყავი მიღწეულით, მაგრამ უიმბლდონი ისე სწრაფად მოვიდა, ამის დრო აღარ დამრჩა.“

ცენტრალურ კორტზე ანდრემ ყველას დაუმტკიცა, რომ წითელი თიხნარის მსგავსად, მწვანე ბალახზეც ანგარშგასაწევი ძალა იქნება: გასულ კვირაში ჰაინეკენის ტურნირის ფინალისტ ანდრეი პაველს მან არანაირი შანსი არ დაუტოვა.

აგასიმ საკუთარი მოწოდება მატჩში ერთადერთხელ დაკარგა, თანაც მაშინ, როდესაც მესამე სეტში 5:2-ს იგებდა და დანაკარგი მაშინვე მორიგი ბრეიკით აანაზღაურა — 6:1, 6:2, 6:3 მის სასარგებლოდ.

დიდი ხნის ოცნების ასრულების მიუხედავად, ანდრეს ამბიციები ჯერაც არ დუკმაყოფილებია: „ვფიქრობ, ჩოგბურთში კიდევ ბევრს უნდა მივაღწიო. როლან გაროსის მოგება კარგი იყო, მაგრამ იმასაც მინდა გავუგო გემო, რომელიმე „მეიჯორის“ ორჯერ ჩემპიონობა რას ნიშნავს. სეზონი პირველ ჩოგნად არასოდეს დამისრულებია, ამის გაკეთებაც ძალიან მსურს და მჯერა, ძალაც შემწევს.“

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

პირველი წრე. კაცები: **პატრიკ რაფტერი** (2, აუსტრალია) — **კრისტიანო კარატი** (იტალია) 6:3, 6:2, 6:2; **რიჩარდ კრაიჩეკი** (5, ჰოლანდია) — **კრისტიან რუუდი** (ნორვეგია) 6:2, 6:3, 6:4; **ტოდ მარტინი** (8, აშშ) — **ჰენდრიკ დრეეკმანი** (გერმანია) 6:7 (6:8), 6:7 (5:7), 6:3, 6:2, 6:4; **გორან ივანიშევიჩი** (10, ხორვატია) — **მიქაელ ტილსტრომი** (შვედეთი) 6:4, 6:3, 6:4; **გუსტავო კუერტენი** (11, ბრაზილია) — **კრის უილკინსონი** (ინგლისი) 6:4, 6:4, 6:4; **ნიკოლას კიფერი** (15, გერმანია) — **კრისტიან ვინეი** (გერმანია) 2:6, 6:4, 6:3, 7:6 (7:4); **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — **მარჩელო ფილიპინი** (ურუგვაი) 6:2, 6:2, 6:1

ქალები: **იანა ნოვოტნა** (5, ჩეხეთი) — **ში-ტინგ ვანგი** (ტაილანდი) 6:2, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — **ალექსანდრა ფუზე** (საფრანგეთი) 6:0, 6:3; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (7, ესპანეთი) — **ანა მარია ფოლდენი** (უნგრეთი) 4:6, 6:3, 6:4; **მარი პირსი** (9, საფრანგეთი) — **ფაბიოლა ზულაგა** (კოლუმბია) 6:3, 6:2; **ჟული ალარი** (11, საფრანგეთი) — **სანდრა ნაჩუკი** (იუგოსლავია) 6:1, 6:0; **ნატაშა ზვერევა** (16, ბელარუსი) — **კიმბერლი პო** (აშშ) 5:7, 6:1, 6:3; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — **რიტა კუტი კისი** (უნგრეთი) 6:2, 6:1; **ნატალი დეზი** (საფრანგეთი) — **პატი შნიდერი** (შვეიცარია) 5:7, 6:3, 6:3.

მარტინამ მარტინა გაჭიცხა

ზოგიერთს ქვა მართლაც აღმართში დაეწევა:

ლეგენდარულმა მარტინა ნავრატილოვამ თავის სეხნია, პირველ წრეში დამარცხებული მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი როლან გაროსის ფინალში თავგასული საქციელისთვის კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

„თავდაპირველად მაყურებლები უსამართლოდ მოექცნენ, მაგრამ მერე მასაც ზედმეტი მოუვიდა. მარტინამ შტეფი გრაფის მიმართ დიდი უპატივცემულობა გამოიჩინა, მატჩ-პოინტზე დაწეული ხელით მოწოდებაც უფრო ქომაგებისთვის ნიშნის მოგებას ჰგავდა“ — განაცხადა ნავრატილოვამ BBC-თან ინტერვიუში.

„ვფიქრობ, ჰინგისს წაგების რცხვენოდა. რამდენიმე წლის მან თქვა, შტეფი ჩოგბურთისთვის ზედმეტად ბებერიაო, ფინალში კი მასთან თიხნარზე მარცხდებოდა“.

18 წლის სლოვაკეთში დაბადებული შვეიცარიელისთვის ეს კომენტარი მით უფრო საწყენი უნდა იყოს, რომ იგი სახელს სწორედ უიმბლდონის ცხრაგზის ჩემპიონს უნდა უმადლოდეს. ჰინგისის ჩოგბურთზე გაგიჟებული მშობლების კერპი სწორედ ჩეხი ნავრატილოვა იყო თავის დროზე.

თუმცა ამჟამად ამერიკაში მცხოვრები მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ერთადერთი სახელოვანი ჩოგბურთელი არ ყოფილა, ვინც ჰინგისს კბილი გაჰკრა: ყოფილ თანამემამულე არც ოთხი დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებულმა ჰანა მანდლიკოვამ დაინდო.

„ჰინგისის საქციელი სამარცხვინო იყო. მისთვის უიმბლდონზე ასპარეზობა უნდა აეკრძალათ, იქნებ მაშინ ძინც მიმხვდარიყო, თუ რამხელა პატივი და პასუხისმგებლობაა დიდი სლემის ტურნირის ფინალში თამაში“.

პარიზელი ქომაგები მაშინ ჰინგისმა იმით გააცოფა, რომ საჩოგბურთო ეტიკეტის დარღვევით ბურთის დავარდნის ადგილის შესამოწმებლად ბადის მეორე მხარეზე გადავიდა, ჩოგანი დაამტვრია, აშკარად თაღლითური შესვენება აიღო და დაჯილდოების ცერემონიალზეც კი არ სურდა დაბრუნება.

უიმბლდონის ორგზის დამარცხებული ფინალისტი, მანდლიკოვა ამჟამად იანა ნოვოტნას მწვრთნელია, რომელთანაც ჰინგისს არანაკლებ აქვს გაფუჭებული ურთიერთობა — ვეტერან ჩეხს მან „ბებერი და ნელი“ უწოდა.

„ამას იანასთან არანაირი კავშირი არა აქვს, იმიტომ ვსაუბრობ, რომ პარიზში ჰინგისის საქციელმა ძალიან გამაღიზიანა. ჩვენ ყველანი ბევრს ვშრომობთ „მეიჯორების“ ფინალში გასასვლელად და უნდა იცოდე, იქ როგორ მოიქცე“.

* * *

ელენა დოკიჩთან დამარცხების შემდეგ მარტინა ჰინგისმა წყვილებში თამაშზეც უარი თქვა და ანა კურნიკოვა მეწყვილის გარეშე დატოვა.

იძულებით ხუთკვირიან არდადეგებზე წასვლის წინ ორგანიზატორებს შვეიცარიელმა მოკლე და ბუნდოვანი მიზეზი შეატყობინა, ძველმა ტრავმამ შემახსენა თავიო.

შერეული და შორეული



ჯონ მაკინროი ამ სიბერეშიც ძველებურად დაუდგრომელია

საოცარია, მაგრამ დიდი სპორტიდან წასვლიდან თითქმის 7 წლის შემდეგ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჯონ მაკინროი წლევანდელ უიმბლდონზე იასპარეზებს, თანაც მეტად უჩვეულო დუეტში.

„კარგი, მერე რა, თუ შერეული წყვილები გაზეთების პირველ გვერდებზე ვერ ხვდებიან ხოლმე. ვფიქრობ, ჯონ მაკინროისა და შტეფი გრაფის პარტნიორობა ცოტა მეტ ინტერესს გამოიწვევს. აშკარაა, რომ გოგონას დახმარება სჭირდება, ვნახოთ, რისი გაკეთება შემიძლია“.

40 წლის ამერიკელი თურმე განსაკუთრებით ათასწლეულის უკანასკნელ უიმბლდონზე ასპარეზობის ხიბლმა მიიზიდა.

„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რაღაც საოცარი მოხდება. დასაწყისისთვის ისიც საკმარისია, რომ მე დავბრუნდი. ასე რომ, გირჩევთ, ფრთხილად იყოთ“ — ეს მუქარა მაკინროიმ, ალბათ, მსაჯებისა და ოფიციოზის მიმართ გამოთქვა, რომელთაც თავის დროზე გვარიანად აწიოკებდა.

უიმბლდონის სამგზის ჩემპიონს „ოლ ინგლენდ კლაბში“ უკანასკნელად 1992-ში უთამაშია, შერეულ წყვილებში კი სულაც შორეულ 1978-ში. ამჟამად იგი NBC-ის წამყვანი საჩოგბურთო კომენტატორია და დიდ პატივად მიაჩნია, რომ 30 წლის გრაფი ამ წამოწყებაზე დათანხმდა.

„შტეფის ერთეულებშიც ბევრი საქმე ექნება, ამიტომ მისი თანხმობა ორმაგად სასიამოვნოა. იგი თანამედროვე ჩოგბურთის ქალღმერთია, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი და მას ჩემთან ერთად თამაში სურს“.

იქნებ, გაიკვირვოთ, რა ესაქმება თავდაჭერილ გრაფს ამ ერთ დროს „სუპერნაბიჭვრად“ წოდებულ ავყიასა და შარისთავთან, მაგრამ მაკინროი თურმე შტეფის დიდი ხნის კერპი ყოფილა.

„არც კი ვიცი, რა ვთქვა, მაგრამ იმედია, მასთან თამაში ძალიან არ გამანერვიულებს. მე ჯონის დიდი თაყვანისმცემელი ვარ, მისი ყურება ყოველთვის ყველაზე მეტად მომწონდა. ჩვენ ერთად ასპარეზობაზე პარიზში შევთანხმდით, სადაც მან სიტყვა ჩამომართვა, რომ ამას სერიოზულად მივუდგებოდი“.

და რაც შეეხება „ქალღმერთს“? „ასეთი შედარება ჩემთვის არავის უძღვნია, ამას ძალიან ვაფასებ“ — აღნიშნა მოღიმარმა შტეფიმ და ოდნავ გაწითლდა.

პატრიოტიზმი და ფსონები

უდიდესი ინგლისური საბუკმეიკერო ფირმა „უილიამ ჰილი“ უიმბლდონზე გამარჯვების ფავორიტებად მსოფლიოს პირველ ჩოგნან პიტ სამპრასსა და შვიდგზის ჩემპიონ შტეფი გრაფს მიიჩნევს. თუმცა, ამჯერად პატრიოტული გრძნობებიდან გამომდინარე, ფირმა კლიენტებს ერთ სიახლესაც სთავაზობს: თუ ჩემპიონი გრეგ რუზეცკი ან ტიმ ჰენმანი გახდება, იგი ტურნირის დაწყებამდე დადებულ ყველა წაგებულ ფსონს აანაზღაურებს.

ოთხშაბათისთვის კი „უილიამ ჰილის“ ნუსხები ასე გამოიყურება:

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

5-4 პიტ სამპრასი; 7-1 ტიმ ჰენმანი; 8-1 ატრიკ რაფტერი, რიჩარდ კრაიჩეკი; 12-1 ანდრე აგასი, გრეგ რუზეცკი; 16-1 გორან ივანიშევიჩი; 20-1 მარკ ფილიპუსისი; 25-1 ტოდ მარტინი, ნიკოლას კიფერი; 33-1 ევგენი კაფელნიკოვი; 40-1 კაროლ კუჩერა, ლეიტონ ჰიუიტი

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

7-4 შტეფი გრაფი; 7-2 ვინუს უილიამსი; 8-1 იანა ნოვოტნა; 9-1 მონიკა სელეში, ლინდსი დევენპორტი; 20-1 ჟული ალარი; 25-1 ანა კურნიკოვა, ნატალი ტოზია, არანჩა სანჩეს-ვიკარიო; 33-1 მარი პირსი, ელენა დოკიჩი



REUTERS ლონდონიდან

ანდრე აგასი

წყალბურთი გვეხრჩობა!

საქართველოს ნაკრები ყველას ეცოდება. შინაურების გარდა

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ბუქარესტში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სამივე მატჩი რომ წააგო, უკვე გაუწყეთ. მიზეზთა გამო მაშინ ორი თამაშის შედეგი მთლად ზუსტად ვერ გაცნობეთ, თუმცა ნეტავი ჩვენებს მართლა ისე წაეგოთ... ნაკრების მწვრთნელთა თქმით, ჩვენებურებს უფრო დიდი სხვაობით წაუგიათ: პოლონელებთან 1:19, ხორვატებთან — 3:23, რუმინელებთან მატჩის შედეგი კი „არ შეცვლილა“ — 3:17.



გურამ დოლენჯავილის ფოტო

ვისი შესაცოდები გავხდით — გულდაწყვეტილია ზვიად დავითიანი

რუმინეთიდან დაბრუნების მერე მწვრთნელებს გავესაუბრეთ. იქნებ მათ სასაუბრო ბევრიც არაფერი ჰქონდათ (მით უფრო, რომ ბუქარესტში წასვლამდე ყველაფერზე ამომწურავად ისაუბრეს), მაგრამ ვფიქრობთ, მთავარი მწვრთნელის — **თენგიზ ივანიშვილის** მონოლოგი მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს.

— მოხდა ის, რასაც ველოდით. ამ გუნდით ახალგაზრდების ტურნირში რომ გამოვსულიყავით, წარმატება იქაც კი სათუო იქნებოდა. ეს უვარჯიშებელი ბიჭები ერთი-ორი გაცურვის მერე ისე დაიღალნენ, მოძრაობა უჭირდათ. წარმოუდგენლად ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ჩვენ ხომ არც ნავარჯიშევი ვიყავით და არც ლეგიონერები გვყავდა. უცხოეთში მოთამაშე ბიჭები რომ გეყოლება, მაშინ რუმინელებთანაც შეიძლება მოგება და პოლონელებთანაც. უძლეველი არც ერთი მათგანია. ჩვენ მხოლოდ ხორვატებს ვერ მოვუგებდით. მათ ჯგუფში გაიმარჯვეს და რუმინელებთან ერთად ფინალურ ეტაპზეც გავიდნენ. ვიმეორებ, ცოტა მეტი ხელშეწყობა რომ გვქონოდა, რუმინელების ადგილს ჩვენ დავიჭერდით.

დღესაც რომ შეგვიქმნან სათანადო პირობები, მოგვცენ წყალი დღეში ორჯერ — და არა შეჯიბრზე წასვლამდე ოცი დღით ადრე, ჩამოგვიყვანონ ლეგიონერები, 2001 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავალთ. თუ ქართული წყალბურთის კეთილდღეობა სურთ, ასე უნდა მოიქცნენ. ბურთები ხომ მაინც უნდა გვქონდეს სავარჯიშოდ. ბიჭებს ხომ ვერ დავავალებ, თქვენი ფულით იყიდეთ-მეთქი. აქამდეც ენთუზიაზმის ხარჯზე ვმუშაობდით, უხელფასოდ და მომავალშიც ასე გავაგრძელებთ, ოღონდ სავარჯიშო პირობები მოგვცენ. წყალბურთს ხომ სხვებზე მეტის მიღწევა შეუძლია. ფედერაციას თუ მე არ მოვწონვარ, კი, ბატონო, წავალ და მოიყვანონ, ვინც უნდათ, ოღონდ ამ ბიჭებს ნუ დაუკარგავენ წყალბურთს. ბუქარესტში პირდაპირ საცოდავ დღეში ჩავცვივდით. მეტოქეებმა აშკარად დაგვინდეს, თორემ უფრო დიდი სხვაობითაც დაგვამარცხებდნენ. აშკარად ეტყობოდათ, რომ ვეცოდებოდით. საამისო რატომ უნდა გვჭირდეს? თბილისში დაბრუნებულებს არც ფედერაციიდან, არც სპორტდეპარტამენტიდან არავინ შეგვხმიანებია, ჩვენით არავინ დაინტერესებულა...

ზვიად დავითიანი ბუქარესტში ნაკრებს მეორე მწვრთნელად ახლდა. ამჯერად ის ტრავმის გამო ვერ თამაშობდა.

— რუმინეთიდან გულდაწყვეტილი ჩამოვედი. ვნახეთ, რა დონის გუნდები გავიდნენ ფინალურ ეტაპზე. რომ გვქონოდა ხეირიანი მომზადების საშუალება, იქ გასვლა ჩვენც შეგვეძლო. მხოლოდ ხორვატებს ვერ მოვუგებდით, თორემ რუმინელების და პოლონელების დამარცხება შეიძლებოდა, ოღონდ არა ამ გუნდით. პოლონელები საძი-ოთხი წელია, რაც წამოიჩიტნენ, მაგრამ წყალბურთში მაინც დიდს არაფერს წარმოადგენენ. რუმინეთის ნაკრები რამდენიმე წლის წინანდელთან შედარებით აშკარად სუსტად გამოიყურება. ჩვენ კი მათთან დიდი ანგარიშით წავაგეთ. სირცხვილია, როცა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშობ და გამარჯვებული მეტოქე მატჩის მერე მხარზე ხელის დარტყმით განუგეშებს, არა უშავს, მალე ყველაფერი კარგად იქნებაო. ჩემი აზრით, ეს დამცირებაა.

წინ რა გველის, არც ის ვიცი. მე და თენგიზ ივანიშვილი ვაპირებთ, ამ დღეებში შევხვდეთ სპორტდეპარტამენტის თავმჯდომარეს, კახი ასათიანს. გვინდა, ვთხოვოთ, ერთი 15-კაციანი გუნდის შესანახი ფული მაინც მოგვცეს, რომ რუსეთის ჩემპიონატში ვიასპარეზოთ. ეს გუნდს კარგ სავარჯიშო პირობებს და დიდ საშეჯიბრო პრაქტიკას მისცემს. მას ნაკრების სახელით გამოსვლაც შეეძლება. თუ ცოტა ხელფასსაც გაიმეტებენ, მაშინ ზოგიერთი ლეგიონერიც დაბრუნდება. თუ ეს მოგვარდა, 2001 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის პირობასაც დავდებთ. თუ დეპარტამენტს წყალბურთის ბედი აინტერესებს, მაშინ მხარიც უნდა დაგვჭიროს. თუმცა, რა დაგიმალოთ, იმედი არ გვაქვს. არადა, დასაწყისში სახელმწიფოსგან ცოტა ხელშეწყობა ამ დანგრეულის აწყობას ნამდვილად სჭირდება.

— საკუთარ უთამაშებლობას, ალბათ, ძალიან განიცდიდით.

— რა თქმა უნდა. ძნელია, როცა უყურებ, როგორ აგებს შენი გუნდი დიდი ანგარიშით, მაგრამ უფრო ძნელი ასატანი და დამამცირებელია, როცა მოდიან, განუგეშებენ... თანაც ისინ[illegible] გუშინ თავისუფლად უგებ[illegible] დღეს მა[illegible] გეშებელნი რატომ უნდა [illegible]ოთ?

— ზვიად, როგორ გგონიათ, ამ წაგებით ქართული წყალბურთის განვითარების მხოლოდ ერთი ეტაპი დამთავრდა თუ მომავალსაც წერტილი დაესვა?

— ალბათ, უფრო ერთი ეტაპი დამთავრდა. მაგრამ ამიერიდან თუ მოგვხედეს, მომავალ ევროპის ჩემპიონატზეც გავალთ.

ესეც ასე. ქართულ წყალბურთში დაახლოებით ორწლიანი იძულებითი შესვენება გამოცხადდა. ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი გაისად, შემოდგომიდან დაიწყება. ოღონდ ჩვენი ნაკრები შესარჩევი ციკლის ორ ეტაპს გამოტოვებს და ფინალურისწინაზე ითამაშებს. იმ ეტაპზე, რომელიც ახლა წავაგეთ.

სავარაუდოდ ეს თამაშები 2001 წლის გაზაფხულზე გაიმართება. იმედია, მაშინ ისე მაინც მოემზადებიან ჩვენი წყალბურთელები, ფინალურ ეტაპზე თუ ვერ გავლენ, ამ ჯგუფიდან მაინც არ გავარდნენ. ასეთ შემთხვევაში ნაკრები ევროპის მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებას ერთი საფეხურით დაბალი ლიგიდან დაიწყებს. პრესტიჟს რომ თავი დავანებოთ, ეს ფედერაციისთვის დამატებითი ფინანსური ხარჯია. იმედია, ფედერაცია ამას გაითვალისწინებს. იმასაც მიხვდებიან, რომ მთავარი ეროვნული ნაკრებია და ყველას ინტერესი მას უნდა დაექვემდებაროს. მომავალზე ზრუნვა კარგია, მაგრამ უნაკრებოდ დარჩენილი წყალბურთი უსახურავო სახლს დაემსგავსება. ასეთ სახლში ცხოვრება კი შეუძლებელია, რაგინდ კარგი მოწყობილიც იყოს. არც პერსპექტიული მომავლის თაობაზე ვდავობთ, მაგრამ ვინ თქვა, რომ დღევანდელი თაობა უპერსპექტივოაო? ჩვენს ლეგიონერებს მართლაც ბევრის მიღწევა შეუძლიათ.

ირაკლი თავაძე

კობა გოგოლაძემ ინგლისში ჰერეფორდი შემხვედრ[illegible]

მეტოქე — ბრიტანელი ალან სმიტი, რომელსაც პროფესიულ კრივში შვიდი ბრძოლიდან ხუთჯერ უმარჯვია.

შეხვედრის დრო და ადგილი — 22 ივნისი, ინგლისური ქალაქი იფსვიჩი.

კარიერის პირველი პროფესიული ბრძოლა და პირველი წარმატება.

მიხვდით, ალბათ, ლაპარაკია კობა გოგოლაძეზე. ფოთელი მოკრივის დებიუტი პროფესიონალებში მართლაც ჩინებული გამოდგა — კობამ პირველივე რაუნდში ნოკაუტით დასცა მეტოქე და იფსვიჩის საკრივო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას თავიც დაამახსოვრა. მანამდე კი თავისი მეცხრე ბრძოლა გამართა გიორგი კანდელაკმა, რომელმაც არც ამჯერად შეირცხვინა თავი და კობას დარად მეტოქე — უკრაინელი იური ელისტრატოვი პირველივე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა.

გუშინ იფსვიჩიდან ლონდონში დაბრუნებულ ქართველ მოკრივეებს დავუკავშირდით, მხოლოდ კობა გოგოლაძეს ვესაუბრეთ, რადგან გიორგი კანდელაკი თბილისში წამოსულიყო. გიორგისთან საუბარი მერე იყოს. ახლა კი კობას მოვუსმინოთ.

— ვიდრე ჩემს შეხვედრაზე გეტყოდეთ, მანამდე გიორგის ბრძოლაზე გეტყვით. იმდენი ურტყა საწყალ ელისტრატოვს, რომ უკრაინელის მოსულიერებას საკმაო ხანი დასჭირდა. კანდელაკის წარმატებით გულმოცემული რინგზე თავდაჯერებული გავედი. მართალია, ცოტას კი ვღელავდი, მაგრამ მაჯეროდა, რომ ნაღდად გავიმარჯვებდი. ალან სმიტს თავი ყინჩად ეჭირა, აქაოდა, დებიუტანტია და ვერაფერს დამაკლებსო. თუმცა, როგორც იცით, პირველივე რაუნდში დავნოკაუტე.

ბრძოლას ფრენკ მელოუნიც ესწრებოდა. იგი და ჩემი ბულგარელი მწვრთნელი ტაკოვი კმაყოფილნი დარჩნენ და ქების სიტყვებიც არ დაიშურეს.

— კობა, კანდელაკი შინისკენ გამოემგზავრა და შენ რაღამ შეგაყოვნა ლონდონში?

— გიორგი ცოტა ხანს დაჰყოფს მანდ და მერე კვლავ ინგლისში დაბრუნდება. 15 ივლისს ისევ რინგზე უნდა გავიდეთ. ამიტომაც ვარჩიე ლონდონში დარჩენა, ტაკოვის ხელმძღვანელობით აქ განვაგრძობ ვარჯიშს.

— ადრე მითხარი, პროფებში 60 კილო წონა არ არის და სხვა უნდა ავირჩიოო...

— მწვრთნელისა და მენეჯერის რჩევით წონაში მოვიმატე და 61 კილოში ვიჩხუბებ.

— ისე გამოდის, მთელი ზაფხული ლონდონში უნდა გაატარო.

— 15 ივლისის შეხვედრის მერე, ალბათ, რამდენიმე დღით ჩამოვალთ. მანდაურობა და ოჯახი ძალიან მომენატრა.

სოსო კოტორეიშვილი

ხასაია ევროპის ორგზის ჩემპიონია

ჯერ სიზმარში, მერე ცხადში

ჩვენი ჭიდაობის ზღურბლთან გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომელთაც ძალუძთ, სპორტის ამ სახეობას ძველი დიდება დაუბრუნონ. ისინი დღეს ახალგაზრდულ მწვერვალებს იპყრობენ, მეტოქის და შიშის ძლევას სწავლობენ და მალიმალ თვალს ხვალ დასაპყრობი უფრო დიდი მწვერვალებისკენ აპარებენ.

ბადრი ხასაიაც ერთი მათგანია. ახლახან მან ბუდაპეშტში ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელთა“ ევროპის ჩემპიონატი მოიგო 76 კგ-ში. ჯერჯერობით ეს მისი უდიდესი წარმატებაა, მაგრამ არა ერთადერთი. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ის მესამე იყო. ნაკრების მწვრთნელ ვლადიმერ ადეიშვილს ყოველთვის სჯეროდა მისი. შარშანდელი ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა მწვრთნელმა (იქ ბადრი მეოთხე იყო) დარწმუნებიტ განაცხადა, ხასაია მსოფლიოზე აუცილებლად სამეულში შევაო და ბადრიმაც გაამართლა.

გურამ დოლენჯავილის ფოტო

დღეს ის ევროპის ჩემპიონია, მაგრამ, რომ არა განგება, იქნებ სპორტს არც გაყოლოდა...

— ბავშვობაში პატარა და სუსტი ვიყავი. არადა, მინდოდა, ძლიერი ვყოფილიყავი. მაშინ ქუთაისში ვცხოვრობდით. დაახლოებით ათი წლის ვიყავი, როცა ერთხელ სკოლაში, ფიზკულტურის გაკვეთილზე მოვიდა ჭიდაობის მწვრთნელი ვალერი ბოყოველი და გვთხოვა, თუ მოვისურვებდით, მასთან მივსულიყავით. ეს დედას ვუამბე, თან მისი აზრიც მაინტერესებდა. ოჯახში წინააღმდეგი არავინ იყო და მეც დავიწყე ვარჯიში.

1992 წლიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით. ქუთაისელმა მწვრთნელებმა მითხრეს, სავარჯიშოდ დავით დავითაიასთან მივსულიყავი და წერილიც გამომატანეს. მეც დავიწყე მასთან ვარჯიში. ერთწლიანი ვარჯიშის მერე საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ასე დაიწყო ყველაფერი.

— წლევანდელი ევროპა, ალბათ, არასოდეს დაგავიწყდებათ.

— რა თქმა უნდა, მე ხომ ჩემპიონი გავხდი. თანაც ახალგაზრდებში ტიტულოვან თურქს მოვუგე. ის მსოფლიოს ჩემპიონია. ფინალში კი მასპინძელი დავამარცხე. ეს ძალიან ძნელი იყო, დიდი დავიდარაბაც გადამხდა, მაგრამ მწვრთნელის სწორი დარიგებები დიდად დამეხმარა. ეს შედეგი დიდ ჭიდაობაში ზღვაში წვეთია, მაგრამ რომ არა დავით დავითაია, ამას ვერ მივაღწევდი.

— მწვრთნელები ჩემპიონობას გიწინასწარმეტყველებდნენ...

— პირველ-მეორე ადგილის იმედი ნამდვილად მქონდა.

— ასეთი ოპტიმიზმი საიდან?

— შარშანდელ მსოფლიოზე ცოტა დამაკლდა ფინალამდე. იქ მე ერთი წლით უფროსებთან ვჭიდაობდი. დასაწყისში რუსს მოვუგე, მაგრამ მათ შედეგი გააპროტესტეს. საბოლოოდ გამარჯვება მას მიანიჭეს. ამის შემდეგ მხოლოდ მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსი მრჩებოდა. მეც ხუთი შეხვედრა მოვიგე და მესამეზე გავედი. როცა გონებაში იმ ჩემპიონატს ვაანალიზებდი, ვფიქრობდი, რომ წლევანდელ ევროპაზე ჩემპიონობისთვის ბრძოლა შემეძლო.

— აბა, შარშანდელ ევროპაზე რამ შეგიშალათ ხელი?

— 1997 წელს საერთოდ არ მიჭიდავია, რადგან უკრაინაში ვიყავი. შარშანდელი ევროპის ჩემპიონატი ამ პაუზის მერე ჩემი პირველი უცხოური ტურნირი იყო. მაშინ ფსიქოლოგიურად ვერ განვეწყვე საჭიდაოდ, ნერვები ვერ მოვთოოკე. შედეგად პირველივე წრეში მომავალ ჩემპიონთან წავაგე დამატებით დროში, მაგრამ საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავედი. ის ჩემპიონატი მაინც კარგი სკოლა იყო. ვირწმუნე საკუთარი ძალებისა, დაძაბულობა საერთოდ მომეხსნა. ამან შედეგი სულ რაღაც ერთ თვეში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიღო.

— წლევანდელ ევროპაზე ყველაზე მეტად ვისთან გაგიჭირდათ?

— მეოთხედფინალში ბერძენ მეტოქესთან. ის „ჩაკეტილი“ მოჭიდავეა. არც შენ გაჭიდავებს და არც თითონ ჭიდაობს, თუმცა სულ წნეხში ყავხარ და შენს შეცდომას ელის. დამატებით დროში 2:1 მოვუგე. მერე უფრო ტიტულოვანებსაც შევხვდი, მაგრამ ასე არავისთან გამჭირვებია.

— საკუთარ სიძლიერედ ან სისუსტედ რას თვლით?

— ფიზიკურად მოვისუსტებ. ბუდაპეშტში ჩემს წონაში ყველაზე პატარა ვიყავი. შეხვედრებს ძირითადად ტექნიკით, გამძლეობითა და ჟინით ვიგებ. რომც ვაგებდე, მაინც ბოლომდე ვიბრძვი. ყურების ჩამოყრა და მეტოქის შიში არ მახასიათებს. არც ილეთების ამოჩემება მიყვარს. ვიყენებ იმას, რომელიც კონკრეტულ მომენტში მჭირდება.

— ჭიდაობა თქვენთვის მხოლოდ გატაცებაა თუ უფრო მეტი?

— ყოველთვის ჭიდაობაზე ვფიქრობ. ეს ჩემი უპირველესი საქმეა, ჩემთვის ყველაფერია.

აქვე ერთ უცნაურ შემთხვევასაც გიამბობთ. შარშანდელ მსოფლიოზე წასვლამდე შეკრებაზე მყოფს დამესიზმრა, ვითომ მესამე ადგილზე გავედი. ამ ამბავს ბიჭებს ხუმრობით ვუყვებოდი. არადა, იქ მართლაც მესამე ვიყავი. ბუდაპეშტში წასვლამდე, ჯერ კიდევ შეკრებამდე დიდი ხნით ადრე ევროპის ჩემპიონობა დამესიზმრა. ყველა — მწვრთნელიც, დედაც, თანაგუნდელებიც ამ სიზმრის ასრულებას საეჭვოდ თვლიდნენ. მე კი პირველ მაგალითს ვახსენებდი.

— ოლიმპიადაც ხომ არ გესიზმრებათ?

— ოლიმპიადაზე ჯერ მხოლოდ ვფიქრობ. ამჟამად ჩემს წონაში ნაკრებში დიდი კონკურენციაა და ამიტომ მეეჭვება, სიდნეისთვის ეს მოვახერხო. აი, 2004 წლის ოლიმპიადაზე კი მედალზეც ვფიქრობ.

საუბრის ბოლოს შეგირდზე ოსტატსაც გავესაუბრე.

— სრულყოფილებამდე ჯერ შორია, მაგრამ ეს ბიჭი სწორ გზაზე დგას, საქმეს პროფესიულად უდგება. ვარჯიშის დროს სხვებს რომ ვთხოვ, მოუმატონ, მას ვეუბნები, გეყოფა, დაისვენე-მეთქი.

ბადრიმ დღემდე ყველაფერს თავისი შრომით მიაღწია. ის ხელჩაკიდებული არავის უტარებია და ამიტომაც საუბრობს მომავალზე ასეთი იმედით.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვიმარჩიელოთ, რა სიზმარს ნახავს ხასაია საოლიმპიადოდ.

ირაკლი თავაძე

ᲛᲘᲜᲣᲡ ᲝᲗᲮᲘ: ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘ

„ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲡ“ სამშაბათის მეხუთე ეტაპი სპრინტის გერმანელი დიდოსტატის ერიკ ზაბელის (ტელეკოში) გამარჯვებით დასრულდა. 174,8 კილომეტრის გავლის შემდეგ მან ბანიოლესში, საფინიშო ხაზზე მცირედით აჯობა რუს სერგეი ივანოვსა და ამერიკელ ჯორჯ ჰინკაპის. ეს ამ ტურნირში ზაბელის ზედიზედ მეორე გამარჯვებაა. საერთო ჩათვლაში პირველი კი კვლავინდებურად ესპანელი ანხელ ლუის კასეროა (ვიტალიციო), რომელიც ლიდერობას პროლოგის შემდეგ ინარჩუნებს. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ აქამდე ეტაპებზე გამარჯვებულს საფინიშო სპრინტი ავლენდა და კასეროც ყოველთვის მთავარ ჯგუფთან ერთად ამთავრებდა რბოლას.

სამშაბათს სტარტზე გასულ პელოტონს რამდენიმე ცნობილი კაცი მოაკლდა. პირველი ორი ეტაპის მომგებმა იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ და მასსავით ჰეპელა ჰოლანდიელმა იერონ ბლიილევენსმა რომ შეჯიბრი მიატოვეს, წინა დღეს გაცხადდა. წლევანდელი „ჯიროს“ მეორეადგილოსანმა პაოლო სავოლდელიმ (იტალია) და შვეიცარიელმა ალექს ცულემ კი რბოლაზე უარი ეტაპის დაწყების წინ განაცხადეს. პირველმა ეს ძალების სრულ გამოცლას დაბრალა, მეორეს კი გადაუწყვეტია, ჩვეულ ფორმაში არყოფნის მიზეზი მედიცინის დახმარებით გაიგოს.

„შვეიცარიის ტურის“ მერვე ეტაპი წესით ჯგუფური სპრინტით არ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ საქმეში ბუნება ჩაერია და ორგანიზატორებს 163 კილომეტრიანი გზის (ლიხტენშტაინური მორანიდან ავსტრიულ ნაუდერსამდე) 45,7 კილომეტრამდე შემცირებამ მოუწიათ. სტარტი პატარა ავსტრიულ ქალაქ ლანდეკში დაინიშნა, ფინიშის ადგილი კი უცვლელი დარჩა. ამით მრბოლებს ბეილერჰოეჰეს მთაზე ზღვის დონიდან 2030 მეტრზე ასვლა-ჩამოსვლა ასცდათ, იქ კი თოვლი, ძლიერი ქარი და მინუს ოთხი გრადუსი ელოდათ, რაც მათ უსაფრთხოებას სერიოზულად ემუქრებოდა.

„როცა ვნახეთ, რომ „ონსეს“ მანქანებს ღამით თოვლი დასდებოდათ, მივხვდით, ბეილერჰოეს დაღმართზე საშინელი პირობები დაგვხვდებოდა. 40-კილომეტრიანი დაშვებისას ჩვენი უსაფრთხოება გარანტირებული აღარ იყო“ — განაცხადა ველომრბოლთა წარმომადგენელმა, იტალიელმა მაურო ჯიანეტიმ.

„ვამჯობინეთ, დისტანცია შეგვემოკლებინა, ვიდრე დღეს მთავარ მთაზე ასულ მრბოლებს გზის გაგრძელებაზე უარი ეთქვათ და ეტაპიც ჩაშლილიყო“ — უთხრა ჟურნალისტებს „შვეიცარიის ტურის“ დირექტორმა ჰუგო სტეინეგერმა.

ამ ტურნირის ეტაპის შემოკლება პირველად ახლა არ მომხდარა. მაგალითად, 1973 წელს მრბოლები 9 (!) კილომეტრიან გზაზეც კი გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

სპრინტში კი გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონ ოსკარ კამენზინდს (შვეიცარია, ლამპრე) დარჩა. საერთო ჩათვლაში პირველი ისევ ლორან ჟალაბერია, თუმცა მისი უპირატესობა ძლიან მცირეა.

ᲒᲐᲒᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

ᲛᲔ-8 ᲔᲢᲐᲞᲘ, ᲚᲐᲜᲓᲔᲙᲘ — ᲜᲐᲣᲓᲔᲠᲡᲘ, 45,7ᲙᲛ

1. ოსკარ კამენზინდი — 1სთ 00წთ 22წმ	(შვეიცარია)
2. მარკუს ზბერგი	(შვეიცარია)
3. ფრანჩესკო კასაგრანდე	(იტალია)
4. ჯილბერტო სიმონი	(იტალია)
5. მასიმოლიანო ლელი	(იტალია)
6. არმინ მეიერი	(შვეიცარია)
7. მატეო ტორატო	(იტალია)
8. ლორან დიუფო	(შვეიცარია)
9. ლორან ჟალაბერი	(საფრანგეთი)
10. კრისტიან გასპერონი — ყველას იგივე დრო	(იტალია)

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. ლორან ჟალაბერი — 25სთ 38წთ 39წმ
2. ჯილბერტო სიმონი — +2
3. ფრანჩესკო კასაგრანდე — +6
4. ოსკარ კამენზინდი — +25
5. ლორან დიუფო — +43
6. მიკაელ სარაბეიტა (ესპანეთი) — +15თ 51წმ
7. რობერტო სგამბელური (იტალია) — +25თ 26 წმ
8. სვენ მონტგომერი (შვეიცარია) — +2, 37
9. ჯუზეპე გერინი (იტალია) — +3, 36
10. პაველ ტონკოვი (რუსეთი) — +3, 40



თსუ — სტუ. მსგავსი მომენტები ამ მატჩში მრავლად იყო. ამჯერად ბურთისთვის სტუ-ელი გიორგი გაგნიძე და თსუ-ელი ირაკლი მშვილდაძე (უკან) შებმულან

ᲙᲐᲥᲩᲣᲡᲘ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ

«ᲛᲔᲮᲘᲜᲙᲚᲔ» ᲙᲔᲜᲛᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲔᲮᲐᲡᲘ ᲐᲥᲔᲘᲤᲐ

დალასელთა გუნდს „ვარსკვლავები“ კი ჰქვია, მაგრამ მარტო სახელი რა ბედენაა — „ჩემპიონი“ რომ დაირქვა, სტენლის თასს ხონჩით მოგართმევენ?! მცხუნვარე შტატის ყინულის გლადიატორებმა კი სახელიც გაამართლეს და ტეხასიც აზეიმეს. დალასურმა თანავარსკვლავედმა მართლაც ვარსკვლავურად ითამაშა, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, ჩემპიონებში გამორჩეულნი არ ყოფილიყვნენ — ისინი, ვინც გუნდურ მადლს დიდოსტატურ მარილს აყრიან და საჩემპიონო ზრახვას რეალობად აქცევენ

ჯო ნუინდაიკი



ედ ბელფორი



მაიკ მოდანო

7-8 ᲬᲚᲘᲡ წინ ედ ბელფორი და მაშინ ლიგის დებიუტანტი დომინიკ ჰაშეკი ერთ გუნდში, ჩიკაგოში ასპარეზობდნენ. ცხადია, ჰაშეკი მაშინ ედის, 1991 და 1993 წლების „ვეზინა ტროფის“ მფლობელის დუბლიორი იყო. შემდეგ მათი გზები გაიყარა.

ჰაშეკი მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ იქცა და ბუფალოც ახალ სიმაღლეზე აიყვანა, ხოლო ბელფორი თანდათან ჩრდილში ექცეოდა. აგერ უკვე მეორე სეზონია, ამბობენ, არიქა, ბელფორი გზას ულობავს უნიჭიერეს რომან ტურეკსო (სხვათა შორის, ჰაშეკის თანამემამულეს), მაგრამ „არწივმა“ (ბელფორის მეტსახელია) პლეი ოფში დაუმტკიცა ყველას ყველაფერი, ხოლო ფინალში „დომინატორზე“ უკეთ თუ არა, მის დონეზე მაინც ითამაშა. ექვს მატჩში უშეცდომოდ ითამაშა.

უაღრესად ნიჭიერმა მაიკ მოდანომ მთელი კარიერა კარგი ბიჭუნას იმიჯით გაატარა (ამას მისი გარეგნობაც უწყობდა ხელს), რაც მას ელიტაში დამკვიდრებაში ხელს უშლიდა. მაგრამ მოდანო, როგორც მოთამაშე, აშკარად იზრდებოდა. ოდესღაც წმინდა წყლის ბომბარდირისგან ჩინებულ ფორვარდად ჩამოყალიბდა, რომელმაც ჰიჩკოკის სისტემაშიც შეინარჩუნა თავისი საუკეთესო თვისებები. თასის ფინალი კი მისი კარიერის მწვერვალად იქცა — 6 მატჩში 7 პასი გააკეთა და ეს მაშინ, როცა მეორე შეხვედრიდან მოყოლებული ხელის ტრავმით თამაშობდა.

ახლა, ალბათ, ყველასთვის ცხადია, რა აკლდა დალასს შარშანდელ პლეი ოფში. რა თქმა უნდა, ჯო ნუინდაიკი. მაშინ ჯო დაშავებული გახლდათ. წლეულს მან ეს დანაკლისი დიდებულად აინაზღაურა. პირველ სამ სერიაში გუნდში აშკარად საუკეთესო იყო, ფინალში კი სწორედ მისმა ორმა გოლმა მოუხსნა დალასელებს ჰაშეკის კომპლექსი. ვფიქრობთ, ბუფალოს მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ორი სუპერგამთამაშებელი — მოდანო და ნუინდაიკი იყვნენ. 11 გოლით ნუინდაიკი თასის MVP და სნაიპერი გახდა. და ეს მაშინ, როცა სამი წლის წინ იგი კალგარიდან ყოველგვარი სინანულის გარეშე გაუშვეს, მყიფეა, ბროლივით იმსხვრევაო (ხშირად შავდებაო).

სურათი სრული არ იქნებოდა ორიოდ სიტყვა ბრეტ ჰალზეც რომ არ გვეთქვა. სენტ ლუისში მეფობის შემდეგ, როცა მისი სიტყვა მწვრთნელისთვისაც კი ლამის კანონი იყო, ჰალი ჰიჩკოკის ჯარში გადადის, სადაც თავკაცი უპირველეს ყოვლისა დისციპლინაზე ზრუნავს. ჰალიც ეგუება ამას. მარტო გოლების გატანაზე ფორვარდი 33 წლისა სწავლობს დაცვაში გარჯას. ცხადია, ამით იჩრდილება მისი ინდივიდუალური მონაცემები, მაგრამ ნაყოფიერება იზრდება. ფინალში კი, როცა გუნდს მისი საგოლე ალღო დასჭირდა, ჰალმა ისევ იმეფა — პირველ ორ მატჩში გოლები და ტრავმის შემდეგ ნაჩქარევი დაბრუნების შემდეგ (როგორც ჰიჩკოკი ამბობს, ჰალზე მომავალში საგანგებო ისტორია დაწერება) გადამწყვეტი შაიბა, რომელსაც დალასისთვის თასი მოაქვს.

აი, ასეთი მოთამაშეები ჰყავს თასის წლევანდელ მფლობელს, ხოლო ის, რომ დალასი დიდ გუნდად იქცა, რა თქმა უნდა, კენ ჰიჩკოკის დამსახურებაა. მიუხედავად გუნდის მრავალწლიანი კრიტიკისა ამ გარეგნულად მშვიდმა ადამიანმა, რომელიც ჩვენებურ მეხინკლეს უფრო ჰგავს, ვიდრე მწვრთნელს, გზიდან არ გადაუხვია, შეგირდებიც აიყოლია და ნჰლ-ის ისტორიაში ერთ-ერთ ხნიერ გუნდს (საშუალო ასაკი 30,6 წელი) თასი მოაპოვებინა. თანავარსკვლავედის მთავარ ვარსკვლავად ამიტომაც აღიარებენ.

ᲡᲐᲛᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

ᲛᲝᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲐᲦᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲢᲣ — ᲗᲡᲣ 2:1

ᲡᲐᲛ ᲛᲝᲜᲐᲒᲔᲑᲐᲛᲓᲔ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

ᲗᲡᲣ 97:98 ᲡᲢᲣ

I ტაიმი 50:59

ᲗᲡᲣ: ვეფხვაძე (7), ნონელია (24), მარკოიშვილი (13), ქარაბაკი (22), ხელაშვილი (19); არსიაშვილი (6), მშვილდაძე (2), მგალობლიშვილი (4), დიმიტრიადი

ᲡᲢᲣ: მიქაძე (5), მოისწრაფიშვილი (3), ჩხეიძე (32), გ. ნაცვლიშვილი (16), ოთიურიძე (12); ტუღუში, გაგნიძე (11), მინაშვილი (6), ცქიტიშვილი (4), ლოსაბერიძე (9)

ᲛᲡᲐᲯᲚᲔᲑᲘ: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ: როლანდ ხომერიკი

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲗᲐ მეორე დაპირისპირება ამ გუნდების უკანასკნელების — ზვიად მიქაძისა და ირაკლი მშვილდაძის დაბადების დღეს დაემთხვა. ასეთ შემთხვევაში იუბილარებს გული რომ არ დასწყვეტოდათ მაშინ შეხვედრა, ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ...

მატჩის დასრულებამდე 30 წამით ადრე ანგარიში მართლაც საყაიმო იყო — 97:97. შეტევისათვის დარჩენილი დრო სტუ-მ მაქსიმალურად გამოიყენა, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე რეზო ჩხეიძემ ბოლო წამებზე ისროლა კიდეც, მაგრამ ბურთმა კალათში ჩაშვება არ ისურვა და ფარის ქვეშ შეკრებილი კალათბურთელების დავის საგანი შეიქნა. აქ შეხვედრის არბიტრმა დავით ბერეკაშვილმა სახელმწიფო უნივერსიტეტელი გიორგი მარკოიშვილი მოისწრაფიშვილთან ორთაბრძოლისას იმ დროს დაჯარიმა, როცა რვა მეათედი წამიღა რჩებოდა. სტუ-მ წუთშესვენება მოითხოვა, რათა მოისწრაფიშვილი დაწყნარებულიყო. მართლაც მან პირველივე საჯარიმო მოათავსა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ თსუ გამარჯვებას ველარ შეძლებდა. ფორმალურად ქცეული მეორე საჯარიმო კი კალათის რგოლმა აისხლიტა და სანამ მოედანს დაუბრუნდებოდა, საფინალო სირენის ხმაც გაისმა...

მატჩის დასაწყისი კი თსუ-სთვის სულაც არ იყო საგანგაშო. გამოჩნდა არჩილ ხელაშვილი, რომელიც პირველ შეხვედრაში თანაგუნდელებს ვერ დაეხმარა. ზუსტად შესრულებული საჯარიმოებით სწორედ თამაშსმოწყურეულმა ხელაშვილმა გახსნა ანგარიში, სბრძოლველად შეშზადებული სტუ კი მდევრის როლში ყოფნას ვერ ეგუებოდა.

მეცხრე წუთზე მოისწრაფიშვილის ნასროლს ჩხეიძემ დაამატა და ანგარიში პირველად გაათანაბრა. მალე გიგი ნაცვლიშვილის ზუსტი სამიანით სტუ დაწინაურდა კიდეც. წინა შეხვედრის აჩრდილიღა იყო გოჩა არსიაშვილი. სამქულიანები კი წაუვიდა წოწელიას, მაგრამ ფარის ქვეშ გასაქანი არ მისცეს. ქარაბაკი ჩვეული ენერგიით თამაშობდა, თუმც მეტოქე მას ხისტად მეურვეობდა. ძირითადად რეზო ჩხეიძის კარგი თამაშის შედეგად სტუ შვიდ ქულით დაწინაურდა და ტაიმიც ასე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ბოლო წამებზე მარტივ სიტუაციაში დიმიტრიადი ეუხეშა ლოსაბერიძეს. მსაჯის გადაწყვეტილება კი ოდისეიმ პროტესტით გამოხატა, რასაც ტექნიკური შენიშვნაც დამატა — სტუ-მ ოთხი საჯარიმოდან ორი შეიშნოვა.

შეხვედრის მეორე ნახევარის დასაწყისში სტუ-მ ყურადღება მოადუნა და მეტოქემ ნელ-ნელა იწყო ანგარიშის შემცირება. მერვე წუთზე სულაც წამოეწია მეტოქეს და რამდენჯერმე წინ გასვლაც მოახერხა.

დარჩენილ დროში ორივე გუნდი უშეღავათოდ იბრძოდა. თსუ-ს ლიდერობა გოჩა წოწელიამ იტვირთა, ხოლო მის მეტოქეთა შორის, როგორც პირველ ტაიმში, ამჯერადაც საუკეთესო რეზო ჩხეიძე იყო. „ჩხიროს“ მოედნის ნებისმიერ ადგილზე შეაჩნევდით და ყველგან საუკეთესოდ ირჯებოდა.

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲚᲐᲒᲣᲩᲘᲫᲔ

2:0 დიდი შანსია 0:2 დასასრულს არ ნიშნავს

საქართველოს ჩემპიონატი

ფინალი

II მატჩი

აზოტი — ვითა 2:0

სამ მოგებამდე

23 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

ვითა 71:72 აზოტი

I ტაიმი 42:40

ვითა: უსტიაშვილი (3), აბრამიძე (11), დავითულიანი (10), ორმოცაძე (13), კორძაძე (8); ბაქრაძე, ტურაშვილი (5), ახალკაცი (2), კოკოლიშვილი (6), ჩუბინიძე (13)

აზოტი: ჟღენტი (12), გაბისონია (5), გოგობერიშვილი (11), ბაბიაშვილი (15), ჯაფარიძე (16), ბერუაშვილი (12), ჩაჩუა (1), გოგოლაძე

მსაჯები: მურმან ქურიძე, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

ვიცენ ფილიალიშვილის ფოტო

ვითა — აზოტი. სასროლად შემართულ ვითელ ალეკო დავითულიანს რუსთაველი რამაზ გოგობერიშვილი ეღობება

რას ნიშნავს ეს, ნუთუ დაემხო ვითელების ექვსწლიანი ჰეგემონია? არა, ჯერ მაინც ადრეა. ასე ხელაღებით ამის თქმა ჯერ არ ივარგებს, თუმცა რა... სინამდვილესაც თვალი გავუსწოროთ და ვღიაროთ: ქართული კალათბურთის ტახტზე გასაბატონებლად დაგეშილმა რუსთავის „აზოტმა“ გუშინ ვითელთა ზედიზედ მეშვიდე საჩემპიონო შანსს წყალი შეუყენა.

კვლავ მოიგეს რუსთაველებმა და აღარც სანუკვარი ოქრო ბზინავს მათთვის შორს, უფრო მეტიც, სულ რაღაც ერთი ხელის გაწვდენაც და... „აზოტი“ დაიდგამს საჩემპიონო გვირგვინს, რომლის ძალამაც ოთარ ხმელიძის შეგირდებს შეუძლებელი შეაძლებინა.

მხოლოდ სასწაული თუღა უშველის ახლა ექვსგზის ჩემპიონს. წარსული პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად „ვითას“ ერთი, ისიც გვარიანად გაცრეცილი შანსი შერჩენია: დარჩენილი სამი შეხვედრიდან სამივე უნდა მოიგოს, „აზოტს“ კი ერთი გამარჯვებაც ყოფნის საბოლოო მიზნის მისაღწევად.

ჟამთა სვლა ღირსებაშელახულ ქართულ კალათბურთში ერთ სასიამოვნო სიახლეს ამწიფებს. სასიამოვნოს თავად ქართული კალათბურთისთვის, რადგან მტკიცედ გვწამს, რომ მას სწორედ ჯანმრთელი, საღი კონკურენცია გადაარჩენს. სრულ გამოჯანმრთელებაზე საუბარი, რა თქმა უნდა, ნაადრევია, თუმცა ფაქტია საგულისხმო. ფაქტი, რომელიც რუსთავულ კლუბს ემყარება: „აზოტის“ სახით საქართველოში გამოჩნდა გუნდი, რომელიც ექვსგზის ჩემპიონს არამცთუ ტოლ-სწორად შეეტოქა, საქმე ისე წარმართა, მრისხანე მეტოქეს საჩემპიონო იმედები თითქმის გაუცრუა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მხოლოდ ყბადაღებული ენთუზიაზმი არ ყოფილა აზოტელთა აღმაფრენის საწინდარი — ეს ყოველივე კლუბის მეპატრონის ჯიბესაც საკმაოდ დაეტყო.

სიტყვა კი გაგვიგრძელდა, მაგრამ ყოველივე არც მავანის ცაში ასატყორცნად გვითქვამს და არც ვინმეს მიწაზე დასანარცხებლად. ალავერდს ვითელებთან გადავდივართ და უბრალოდ შევახსენებთ, რომ მოგება-წაგება სპორტის განუყოფელი ნაწილია. 0:2 ჯერ კიდევ არ ნიშნავს დასასრულს...

ეს მატჩი არაფრით წაგავდა ამ გუნდების წინა შეხვედრას. თუკი ორშაბათის თამაშში აზოტელთა უპირატესობა აშკარა იყო, გუშინ ამას ვერ იტყოდი. გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებზე გადაწყდა, მანამდე კი გულშემატკივარმა უშელავათო ბრძოლა იხილა ყოველივე ამის თანხლებით, რაც კალათბურთს ამშვენებს — დაწყებული მოთამაშეთა ოსტატობით, ემოციით, ვნებათაღელვით დამთავრებული. იყო შეხლა-შემოხლაც, მსაჯებთან დავა თუ ერთმანეთთან კამათი, მაგრამ ამ უმნიშვნელო ექსცესებმა მატჩის სანახაობრიობა მაინც ვერ გაახუნა.

შეხვედრის დებიუტი „აზოტის“ გახლდათ. რუსთაველებმა მეტოქის ხისტი დაცვა არად ჩააგდეს და თავიდანვე ძალუმად შეუტიეს. ცუდ დღეში აღმოჩნდა ირაკლი ჯაფარიძის მეურვე გოდერძი კორძაძე, ვიცე-ჩემპიონთა თითქმის ყველა პასი სწორედ მათი ცენტრისკენ იყო მიმართული და ირაკლიც უმართლებდა პარტნიორებს — ზედიზედ ორ გარღვევას ჯაფარიძეს სამიანიც მიაყოლა, მას რამაზ გოგობერიშვილიც შეეშველა და სხვაობა შვიდი ქულა გახდა — შუალედში ვითელთაგან ორმოცაძემ მოახერხა ჩაგდება.

ტომარაძემ კორძაძე გულიერ ახალკაცით შეცვალა. ეს უკანასკნელი ლანდივით აედევნა ჯაფარიძეს და რუსთაველთა ცენტრიც შედარებით დაცხრა. ის იყო თამაში გათანაბრდა, მაგრამ აღელვებულმა ვითელებმა ტექნიკური ჯარიმა დასტყუეს მსაჯ მაჩალაძეს და „აზოტი“ ისევ მოსწყდა მეტოქეს, თუმცა დროებით. მოულოდნელად რუსთაველებიც აღელდნენ, გამთამაშებელი აჩიკო ჟღენტი ბურთის „დაჭერის“ ნაცვლად სწრაფ შეტევებს მიეძალა. სიჩქარე თანაგუნდელებსაც გადაედოთ, ამასობაში კი ხარისხი დაეცა. „ვითამ“ რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო და შეტევაშიც უფრო გამართულად, ორგანიზებულად ქმედება იწყო. ფარზე ორმოცაძე გააქტიურდა, უკანა ხაზზე კი — ორი მამუკა, აბრამიძე და ტურაშვილი ირჯებოდნენ შეხმატკბილებულად. მოედანზე დაბრუნებულმა კორძაძემაც ფეხი აუწყო თანაგუნდელებს და მისი ზუსტი სამიანის წყალობით „ვითა“ პირველად დაწინაურდა — 18:17.

ორიოდ წუთის შემდეგ ტომარაძემ კოკოლიშვილი ჩართო თამაშში. ნუგზარმა არც აცია, არც აცხელა და უყურადღებობისთვის ოც წამში ორი სამიანით დასაჯა მოწინააღმდეგე. რვაქულიანი ჩამორჩენა „აზოტს“ კარგს არაფერს უქადდა, მით უფრო, რომ გუნდის ლიდერები ჯაფარიძე და გოგობერიშვილი მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ სათადარიგოებში გაიხმო. რუსთაველთათვის კრიტიკულ მომენტში ჟღენტმა გამოაჩინა ბრჭყალები — ორჯერ ზუსტად ისროლა შორიდან, რითიც ვითელთ უპირატესობა არ დაანება.

რიგ-რიგობით დაბრუნდნენ მოედანზე გოგობერიშვილი და ჯაფარიძე, ახლებური შემართებით ჩაებნენ თამაშში და თანაფარდობაც აღდგა. ტაიმის ბოლო კი მართლაც ჩინებული სანახავი გამოდგა: ოცდაათი წამით ადრე გოგობერიშვილმა სასწაულებრივი სამიანით ანგარიში გაათანაბრა, ვითელი ჩუბინიძის ნასროლი ბურთი კი სირენის თანხლებით ჩაეშვა კალათში.

ძნელი სათქმელია, რა დარიგებები მისცეს შესვენებაზე მწვრთნელებმა მოთამაშეებს, ალბათ, უფრო დაცვითი ჯერბირების გამაგრებისკენ მოუწოდეს, რადგან განახლდა შეხვედრა და თითოეული ქულის მოპოვებაც კი უაღრესად გაძნელდა. რაზეა ლაპარაკი, როცა მომდევნო ათ წუთში „აზოტმა“ მხოლოდ შვიდი ქულა შემატა პირველი ტაიმის მონაგარს. ამის მიზეზი ვითელთა ერთდროულად კარგი და უხეში თამაში გახლდათ.

ერთი სიტყვით, ჯარიმები გახშირდა, რამაც მატჩი სანახაობრივადაც წაახდინა, თუმცა აშკარა იყო, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა და ადრე თუ გვიან თამაში გაიხსნებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორივე გუნდიდან კალათბურთელთა დიდ ნაწილს ოთხ-ოთხი პერსონალური დაუგროვდა. ვითელთაგან დავი[illegible]ნი, ჩუბინიძე, ორმ[illegible]ძე და [illegible]ვილი დაჯარიმ[illegible] [illegible]ელთაგან კი გო[illegible]ილი და [illegible]ბიაშვილი.

მოედანი გამართლდა, თამაში გაიხსნა და მაყურებელიც ტკბობას მიეცა, თუმცა მსაჯობით განაწყენებული მხარეები რიგრიგობით გამოთქვამდნენ პრეტენზიებს, რამაც ისედაც ნერვებდაწყვეტილი გუნდები კიდევ უფრო დაძაბა.

მატჩის დამთავრებამ[illegible] შვიდი წუთით ადრე „ვითა“ 58:52 იგებდა და თითქოს საბოლოოდ უნდა გაეტეხა „აზოტი“, მაგრამ რუსთაველებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიფეს და ჯაფარიძის ჩატენვისა და ჟღენტის ზუსტი ჯარიმების შემდეგ ანგარიში 64:64-ია. ყველაფერი თავიდან იწყება.

ცხადი გახდა, გამარჯვება იმ გუნდს დარჩებოდა, რომელსაც საამისოდ ნერვები ეყოფოდა...

საფინალო სასტვენამდე ორი წუთიღა რჩებოდა, აჩიკო ჟღენტი რისკზე წავიდა, ტანმაღალ ვითელებში შეიჭრა და მოუხერხებელი პოზიციიდან ზუსტად ისროლა. „აზოტი“ ქულით წინ გავიდა. მეტოქის საპასუხო შეტევისას აბრამიძეს ნასროლი გაუცუდდა, თუმცა იქვე კორძაძემ დაამატა და ერთი ჯარიმის სროლის უფლებაც მოიპოვა. ეგ არის, კორძაძემ ხელი დაიშავა, შეხვედრა ვეღარ გააგრძელა და პერსონალური ხაზიდან უსტიაშვილმა იმარჯვა — 69:67 — წინ „ვითაა“. რამდენიმე წამში ჯაფარიძემ ერთი ქულა გაქვითა, შემდეგ კი დავითულიანმა და ბერუაშვილმა გაცვალეს შეტევები.

დარჩენილია ოცდაათეული წამი. ბურთს „ვითა“ ფლობს და ხანგრძლივად ათამაშებს. ბოლოს და ბოლოს გუნდმა შეუტია, მაგრამ ფაქვეშ შეჭრილ აბრამიძეს რუსთაველები გადაედობნენ და მამუკამაც უკან, ტურაშვილს დაუბრუნა. მას კი ბურთი გაუვარდა, ფეხზე მოხვდა და თავის მოედანზე გაექცა. დაირღვა ზონის წესი.

„აზოტმა“ ბურთი გვერდიდან შემოიტანა. ჟღენტმა თავის თავზე აიღო და ისროლა, კალათიდან ასხლეტილ ბურთთან პირველი მიხეილ ბერუაშვილი გაჩნდა და... გამარჯვების მომტანი ორქულიანიც ჩაგდო.

დარჩენილ ექვს წამში ვითელმა კოკოლიშვილმა სროლა კი მოასწრო, მაგრამ...

გიორგი ჩიკაფვილი

ვიცენ ფილიალიშვილის ფოტო

არცთუ იშვიათმა ლამის ხელჩართულმა ბრძოლებმა მსაჯ ზაზა მაჩალაძესაც გვარიანი ოფლი ადინა

მატჩის შემდეგ

„აზოტის“ მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე ამჯერადაც გამარჯვებული გამოვიდა, ოღონდ პირველი შეხვედრისაგან განსხვავებით, გარდამავალი ტაიმებიც მიიღო. ნარე მატჩის ბედი მხოლოდ მეორე ტაიმის ბოლო წუთის უკანასკნელ წამებზე გაირკვა, მიხეილ ბერუაშვილის ზუსტი სროლის შემდეგ. რუსთაველმა კალათბურთელებმა კი ისე გაიხარეს, თითქოს ოქროს მედლები უკვე ჯიბეში ჰქონდეთ.

— ბატონო ოთარ, არა მგონია, შანსები ამჯერადაც ორმოცდაათი ორმოცდაათზე იყოს...

— ფაქტია, რომ დაეწინაურდით და ჩემპიონობის მოპოვების უკეთესი შანსი მოგვეცა.

— პირველი მატჩისგან განსხვავებით, თქვენი მეტოქე ამყარად უკეთ გამოიყურებოდა. ამის გამო პრობლემებიც უამრავი გქონდათ. განმეორებით შეხვედრამი „აზოტის“ შედარებით სუსტ თამაშს რითი ახსნით?

— ჩვენ ცუდად არ გვითამაშია, მეტოქე გამოიყურებოდა ბევრად უკეთ.

— შეხვედრის დროს ორივე გუნდის მხრიდან უამრავი პრეტენზიები იყო მსაჯების მიმართ. თქვენ რას იტყვით, კონკრეტულად რაში ადანაშაულებთ მსაჯებს?

— მსაჯების მხრიდან შეცდომები იყო. ერთ-ერთ მომენტში ქურიძემ კოკოლიშვილს მისცა ჯარიმა, რომელსაც მანამდე ოთხი პერსონალური ჰქონდა მიღებული, შემდეგ გაირკვა, რომ კოკოლიშვილი საერთოდ არ იმყოფებოდა მოედანზე და არბიტრი ზურაბ ჩუბინიძეს გულისხმობდა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო შეცდომაა, მაგრამ კოკოლიშვილი რომ მოედანზე ყოფილიყო, ფაქტია, მსაჯის გადაწყვეტილება დიდი კამათის მიზეზი გახდებოდა.

— ამჯერად თქვენ ერთი დღეც არ გრჩებათ მომდევნო მატჩისათვის ენერგიის მოსაკრებად. მესამე შეხვედრის წინ ბიჭები გადაღლილები ხომ არ იქნებიან?

— მართალია, ჩვენ „ვითაზე“ მოკლე სკამი გვაქვს, მაგრამ ამ მხრივ ორივე გუნდი მაინც თანაბარ პირობებში ვიმყოფებით.

ძალიან დაძაბული და ამჯერადაც წაგებული მატჩის შემდეგ „ვითას“ მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძესს ჟურნალისტებისათვის თავი არ აურიდებია.

— ბატონო ზურაბ, პირველი თამაშის შემდეგ „სარბიელთან“ საუბრის დროს აღნიშნეთ, რომ ვიდეოკასეტაზე ჩაწერილ თამაშს გაანალიზებდით და შესაბამის დასკვნებს გამოიტანდით. „ვითა“ მართლაც უკეთ გამოიყურებოდა. კონკრეტულად რა დავალებები მიეცით კალათბურთელებს?

— ეს ჩვენი შიდა სამზარეულოა და მაგ თემაზე საუბრისაგან თავს შევიკავებ.

— როგორ ფიქრობთ, მატჩის შედეგი ლოგიკური იყო?

— გამარჯვებას ორივე გუნდი იმსახურებდა.

— მოსაპარეზე გუნდებიდან ვისაც არ დაეზარა, ყველამ გაიმეტა მსაჯების მიმართ თითო-ოროლა „ტაბილი“ სიტყვა. თქვენ როგორ შეაფასებდით დღევანდელ მსაჯობას?

— თამაშის შემდეგ მსაჯების მიმართ პრეტენზიების გამოთქმა არ მიყვარს, მაგრამ ფაქტია, რომ რატომღაც მხოლოდ ჩვენს მიმართ იყო განზრახული და ტექნიკური ჯარიმები. კიდევ კარგი, ახლა მაინც აღარ იტყვიან, მსაჯები და ფედერაცია „ვითას“ მხარეზე იყვნენო.

— ამჯერად კმაყოფილი ხართ თქვენი კალათბურთელებით?

— მიუხედავად წაგებისა, ყველამ კარგად ითამაშა.

— ბოლო შვიდი წლის განმავლობაში „ვითას“ პირველად ემუქრება ოქროს მედლების დაკარგვის საფრთხე. თქვენ როგორ გესახებათ მომავალი. რამდენად რეალურია „აზოტთან“ ზედიზედ სამი გამარჯვების მოპოვება?

— ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთ რამეში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული: იოლად არაფერს დავთმობთ.

როლანდ ლაბუჩიძე

სლოვენიაში ჰატარები დიდებს ასწავლიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპი. 11 ტური. 22 ივნისი

ტულუზი

A ჯგუფი

საფრანგეთი 77:66 ისრაელი

(I ტაიმი 37:34)

საფრანგეთი: აბდულ-ვაჰადი (19), რიგოდო (16), ბილბა (14), სკიარა (9), სონკო (8), ფუარე (6), რისაშე (3), გადუ (2), ჟულიენი, სმიტი

ისრაელი: შტეინჰაუერი (19), შეფერი (17), კატაში (12), ჰენფელდი (10), შელეფი (3), თორჯემანი (3), გუდესი (2), დანიელი

ტულუზის „პალე დე სპორი" მასპინძელთა მეორე თამაშისას მთლიანად გადაიჭედა. ტრიბუნებზე ნემსიც არ ჩავარდებოდა. თავისიანების სანახავად და მხარდასაჭერად ტულუზში თვით ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, სოციალისტური პარტიის ლიდერი ლიონელ ჟოსპენიც კი ჩამოვიდა. ფრანგებმა მთავრობის ხელმძღვანელის თვალწინ თავი არ შეირცხვინეს და ისრაელის ძლევით შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება გაინაღდეს, ისევე, როგორც მანამდე იუგოსლავიელებმა.

ებრაელებთან თამაში ფრანგებს ტრადიციულად უჭირთ. ისინი წინა ევროპის ჩემპიონატზე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორჯერვე ისრაელმა იმარჯვა. ამჯერად კი საკუთარი კედლებისა და აბდულ-ვაჰად — ბილბა — რიგოდოს მშვენივრად მოთამაშე ტრიოს მეოხებით მოგება საფრანგეთმა შეძლო.

მასპინძლებმა თამაში თავიდან შორეულ სროლებზე ააგეს და 7-დან 4 სამქულიანიც მიითვალეს პირველ ტაიმში, თუმცა სნაიპერებს მხარი ცენტრებმა — ჟულიანმა და სმიტმა ვერ აუბეს, ამიტომაც მეტოქემ მათ ანგარიშში დიდად დაწინაურების საშუალება არ მისცა. ისრაელის ცენტრი ტომერ შტეინჰაუერი მშვენივრად ირჯებოდა და პირველ ნახევარში თავისიანებს 13 ქულა მოუტანა. ტაიმი მაინც მასპინძელთა მცირედი უპირატესობით დასრულდა.

თამაშის განახლებისთანავე ჯერ ბილბამ, შემდეგ კი სკიარამ (სამქულიანი) ზუსტად ისროლეს და თავისიანები 8 ქულით დაწინაურეს. ამან ისრაელის ნაკრები ვერ გატეხა. მისმა წევრებმა საკუთარ თავში საჭირო ძალები იპოვეს და 14:4 მოგებული მონაკვეთის შემდეგ წინაც გავიდნენ — 48:46. 30-ე წუთზე წინ კვლავ ისინი იყვნენ (51:49). აქ კი „საკრამენტო კინგზის" თავდამსხმელის, ტარიკ აბდულ-ვაჰადის, ჯერიც დადგა. მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობით ფრანგებმა ორწუთიანი მონაკვეთი 13:0 მოიგეს და მოწინააღმდეგეც საბოლოოდ დაჩოქეს — 62:51. მასპინძელთა ზემოთ აღნიშნულმა ტრიომ კი ჯამში 49 ქულის მოხვეჭა შეძლო და პრემიერ-მინისტრის აღტაცებაც დიმსახურა.

„ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალიან ძლიერად გამოვიყურებოდით. მოგებაში ეჭვი არასდროს შეგვპარვია. ორ წუთში გადამწყვეტი უპირატესობა მოვიპოვეთ და მისი ბოლომდე შენარჩუნებაც შევძელით, ამას კი აღრე ძალიან იშვიათად ვახერხებდით. ისე ვითამაშეთ, როგორც ტურნირის ფავორიტს შეშვენის. ძირითადად სისწრაფის ხარჯზე გავიმარჯვეთ, ეს თვისება კი დაცვაში ძლიერად მოთამაშე გუნდებთან ძალიან გამოგვადგება" — უთხრა ჟურნალისტებს საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელმა ანტუან რიგოდომ, რომელიც იმ დღეს მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

AFP ტულუზიდან

საფრანგეთი — ისრაელი. ფრანგი ანტუან რიგოდო (ბურთით) ებრაელ დორონ შეფერს (№11) გაექცა

იუგოსლავია 83:68 მაკედონია

(I ტაიმი 51:40)

იუგოსლავია: ბოდიროგა (19), დანილოვიჩი (11), დივაცი (11), გუროვიჩი, ლონჩარი (8), ლუკოვსკი (5), შჩეპანოვიჩი (3), ტარლაკი (12), ტომაშევიჩი (14), ტოპიჩი

მაკედონია: ბლაჟევსკი (8), ბოჩევსკი (6), ჩეკოვსკი, გეჩევსკი, ილიევსკი (7), იოვანოვსკი (9), კურტოვიკი (5), სრბინოვსკი (4), სტანკოვიკი (6), სტეფანოვი (23)

კლერმონ-ფერანი

B ჯგუფი

ესპანეთი 75:85 სლოვენია

(I ტაიმი 43:50)

ესპანეთი: ერეროსი (29), დე მიგელი (10), კორალესი (9), დე ლა ფუენტე (8), დუენიასი (6), რომერო (6), როდრიგესი (3), ესტელერი (2), რეიესი (2)

სლოვენია: სმოდისი (27), დანეუ (13), ნესტეროვიჩი (12), ბეჩიროვიჩი (11), მილიჩი (10), ზდოვეი (8), კრალევიჩი (4), იეკლინი, იაგოდნიკი

მატჩის დაწყებიდან ორიოდ წუთი გავიდა და სლოვენია რვა უპასუხო ქულით აგებდა. საქმეს იმისთანა პირი უჩანდა, რომ რუსეთთან წინა ტურში საარაკო მარცხი განმეორდებოდა, მაგრამ სლოვენიელთა მწვრთნელს შეცდომებიდან თავისთვის სასიკეთო დასკვნების გამოტანის უნარი ჰქონია. ბორის ზრინსკიმ აღარ მიმართა დაცვაში უაზრო ექსპერიმენტებს და არც მოთამაშეთა იძულებით ცვლას მოჰყვა.

მისი გუნდი მალე მოწესრიგდა, დაცვა გაამკაცრა და კრალევიჩმა ოთხი ქულით დაასრულა სლოვენიელთათვის „მშრალი" მონაკვეთი. შესანიშნავად ათამაშდა 19 წლის მატიას სმოდისი, ვინც შესვენებამდე 13 ქულა და 3 მოხსნა (სულ — 8) გააკეთა. სლოვენიელთაგან ტაიმის შვიდი ქულით მოგება, დიახაც, ლოგიკური იყო, მაგრამ სხვაობა გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა ესპანელი ალბერტო ერეროსი. მადრიდის „რეალის" ფრთამ თავის ოსტატობა ტაიმის ბოლო წუთზეც დამტკიცა, როცა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო.

ესპანეთმა მეორე ტაიმი აგრესიულად დაიწყო. სლოვენიამაც ასევე უპასუხა, მაგრამ შეცდომებს მოუხშირა. ესპანელებს ეს გამოეპარათ და ერეროსი და კორალესი სამქულიანის სროლისა და ჩაგდების შანსს ხელიდან არ უშვებდნენ. ზუსტად ტაიმის შუაწელისთვის სლოვენიელთა უპირატესობა გაქრა და ერთი ქულით წინ უკვე ესპანეთი იყო.

ესპანელთა მძვინვარე პრესინგის დროს სლოვენიელთა რიგებში აღმოჩნდა მოთამაშე, რომელმაც მყარი ნერვებით ყველა გააოცა. ეს რომ ასაკოვანი, გამოცდილი კალათბურთელი ყოფილიყო, რა გასაკვირი იქნებოდა, მაგრამ 17 წლის სანი ბეჩიროვიჩისგან ამგვარ საქციელს არავინ ელოდა. ბეჩიროვიჩმა სიმშვიდე დათესა თავისიანთა რიგებში. მის შემხედვარე სმოდისს რწმენა შეემატა და ავტომატიც აამუშავა: ერეროსის ყოველ სამქულიანს ნორჩი სლოვენიელი ანალოგიურად ეხმაურებოდა (ერეროსმა და სმოდისმა ხუთ-ხუთი სამქულიანი ჩააგდეს).

ერეროსი მალე გაჩერდა, უფრო სწორად, იაკა დანეუმ იმდენი სდია, რომ დაღალა. სიქა გასძვრა კორალესსაც, რომელმაც ვეღარ გაუძლო პრესინგს. ესპანელებმა გადაწყვიტეს, სლოვენიელებისთვის თამაშიდან სროლის საშუალება მოესპოთ და დაჯარიმება დაიწყეს. არც ამან გაჭრა: ექსიუგოსლავიელები საჯარიმოს ხაზიდან შეუდარებელნი იყვნენ — 12 ნასროლიდან ყველა ჩააგდეს.

მატჩის მიწურულს ორივე გუნდმა მოაღო დაცვის კარი, რის გამოც ზუსტი სროლების რაოდენობამ იმატა. სლოვენიელთა სათადარიგოები, უწვერული ლიდერების მაგალითს აყოლილნი, მეტად ინდომებდნენ. ესპანელთა იმედები კი მაშინ დასამარდა, როცა ცენტრმა დუენიასმა ფარქვეშ გავლენა დაკარგა და გასავთებულ ერეროსს დაუწყო ცქერა შეტევებისას.

რუსეთი 73:72 უნგრეთი

(I ტაიმი 35:30)

რუსეთი: ავლეევი (5), ბაბკოვი (4), კარასიოვი (15), კისურინი (10), კუდელინი (21), კურაშოვი, ნოსოვი (5), ზ. პაშუტინი, ე. პაშუტინი (6), პანოვი (5), ტიხონენკო (2)

უნგრეთი: ბენცე (3), ბოროში, ციგლერი (3), დავიდი (17), გულიაში (17), კალმანი (14), მესაროში (15), ოროსი, პანკარი, შიტკუ (3)

ანტიბი

C ჯგუფი

იტალია 64:59 ბოსნია

(I ტაიმი 36:30)

იტალია: მაიერსი (22), მენეგინი (12), გალანდა (7), ფუჩკა (6), მარკონატო (6), დე პოლი (6), კიაჩიგი (4), ბაზილე (1)

ბოსნია: მარკოვიჩი (23), ფირიჩი (17), ლერიჩი (7), ალიპოჯიჩი (4), ბეჩირაგიჩი (3), მირკოვიჩი (3), მუეძინოვიჩი (2)

იტალიამ მოიგო და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებიც შეინარჩუნა. არადა, კინაღამ ხორვატებთან მატჩის სცენარი განმეორდა. მთელი შეხვედრის მანძილზე იტალია იგებდა, ბოლოს კი ბოსნიამ გადაასწრო და კინაღამ მეორე მარცხიც აგემა, მაგრამ კალათბურთში, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, „კინაღამ" არ ითვლება.

თავიანთ აქტივში თითო-თითო წაგების მქონე გუნდები მოედანზე უცილობელი გამარჯვების მოსაპოვებლად გავიდნენ. დამარცხების შემთხვევაში ორივე ფაქტობრივად კარგავდა ჯგუფიდან გასვლის ყოველნაირ შანსს. 4 ათასი ანტიბელი მაყურებელიც ჩინებული თამაშის მომსწრე გახდა.

შეხვედრის დასაწყისი, ისევე როგორც მთლიანად პირველი ტაიმი, იტალიელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. მათ მოწინააღმდეგეს სალმის თქმაც კი არ აცალეს, ისე ეკვეთნენ და მე-4 წუთისთვის ათქულიანი მარაგიც შეიქმნეს (11:1). აპენინელებმა თამაში მშვენივრად ააწყეს, მათ რიგებში ყველაზე გამორჩეული ფიგურა მაიერსი იყო, რომელიც ქულას ქულაზე აგროვებდა და ბოსნიელთ ათასი თავსატეხიც გაუჩინა.

საპირისპირო ბანაკში მასზე არანაკლებ ბრწყინვალედ მობურთალი მარკოვიჩი რომ არა, თამაშის ბედი მალევე გადაწყდებოდა. ტაიმი მაინც იტალიამ მოიგო ექვსი ქულით.

შესვენების შემდეგ ფირიჩის დახმარებით მარკოვიჩმა მეტოქის დაცვის რბევა დაიწყო. თავიდან მაიერსის თანაგუნდელები ბოსნიელთა დუეტს მედგრად დაუდგნენ, მაგრამ თანდათანობით ექსიუგოსლავიელებმა იძალეს და ანგარიშში სხვაობაც თვალსა და ხელს შუა დადნა. 38-ე წუთზე კი წინ სულაც ბალკანელები გავიდნენ — 59:58. ალბათ, ყველას იტალია-ხორვატიის თამაში გაახსენდა, თუმცა იტალიელებმა წინა დღის შეცდომები აღარ გაიმეორეს და საბოლოო გამარჯვება მაინც გამოჰგლეჯეს მეტოქეს ხელიდან.

ამაში უდიდესი წვლილი თანაგუნდელებთან შედარებით გამოცდილმა ანდრეა მენეგინმა დიდო, რომელიც ბოლო წუთებზე მარკოვიჩს დაუდგა პერსონალურად და გასაქანი არ მისცა. სხვა ბოსნიელებმა კი ქულის გაკეთებაც ვერ მოახერხეს და ზედიზედ მეორე მარცხიც იწვნიეს.

თურქეთი 70:63 ხორვატია

(I ტაიმი 27:34)

თურქეთი: ბეშოქი (10), ქონუქი (5), ქუთლუა (9), ფარსი (4), სარიჯა, თუნჩერი (7), თურქჯანი (15), თურქოღლუ (18), ილდირიმი (2)

ხორვატია: გირიჩეკი (9), კრსტიჩი, კუკოჩი (17), მრშიჩი (18), მულაომერვიჩი (6), პრკაჩინი (5), რუჟიჩი (3), ვუიჩიჩი (2), ზადრავეცი (3)

დიჟონი

D ჯგუფი

საბერძნეთი 72:83 ჩეხეთი

(I ტაიმი 33:34)

საბერძნეთი: ბალოიანისი, ბუდურისი (9), იანულისი (19), კალაიცისი, კარაგუტისი, კორონიოსი (16), პაპანიკოლაუ (21), სიგალასი (4), სულისი (3), ცაკალიდისი

ჩეხეთი: ბარტონი (26), ბეჩკა (23), ჩუდეკი, იდესი, კლაპეტეკი (3), ნოვაკი (6), ოკაჩი (2), ტრეგლი (5), ვაშალა (5), ი. ველში (13)

ამ თამაშს პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე — პირველ ტურში ჩეხეთმა ლიტვას შემთხვევით მოუგო და მეტს ვეღარაფერს შეძლებდა, თუ მისი გამარჯვება მეტ-ნაკლებად კანონზომიერი იყო. ევროპის შესარჩევ ჯგუფში ქართველთა ორჯერ მძლეველმა (თუმცა ჩვენს ნაკრებს ვისაც არ ეზარება, ყველა უგებს) ჩეხეთმა დაამტკიცა, რომ საკმაოდ ძლიერი გუნდია და ისეთი კალათბურთელებიც ჰყავს, გადამწყვეტ მომენტებში წინამძღოლობას რომ წარმატებით იკისრებენ.

შეხვედრის დასაწყისში, ისევე როგორც წინა დღეს ბალტიისპირელებთან, ჩეხებმა სწრაფად მიაღწიეს უპირატესობას თავიანთი უკანახზელების წყალობით, რომლებიც სამქულიანებს ბრწყინვალედ ისროდნენ. პირველ ტაიმში მათი 9 შორეული ტყორცნიდან 6 უწია მიზანს. მთლიანად მატჩში კი 18-დან 10 ასეთი სროლა ჩააგდეს შუაევროპელებმა, რაც მშვენიერი პროცენტული მაჩვენებელია (55,6 პროცენტი).

მე-6 წუთზე ჩეხები 9:2-ს იგებდნენ, მე-10 წუთისთვის კი მათმა უპირატესობამ უკვე 11 ქულას მიაღწია (20:9). თავდასხმაში კარგად თამაშობდნენ, მაგრამ დაცვაზე ეს ნამდვილად არ ითქმოდა და ძალიან ხშირადაც ჯარიმდებოდნენ. პირველ ტაიმში მსაჯებს 18-ჯერ დასჭირდათ ჩეხთათვის პერსონალური შენიშვნის მიცემა, რამაც ბერძნებს 25 საჯარიმო ტყორცნის შესრულების უფლება მოუტანა, მათ კი მხოლოდ 19 გამოიყენეს. ყოველ შემთხვევაში ამან საკმაოდ იმოქმედა ანგარიშზე, შესვენების წინ სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა.

მოედანზე დაბრუნების შემდეგ ბერძნებმა მეტოქის დამარცხება მისივე იარაღით სცადეს და შორი მანძილიდან სროლებს მოუხშირეს. ამ საქმეში თავი კორონიოსმა გამოიჩინა, რომელმაც ჯამში შვიდი სამქულიანი ტყორცნიდან 4 მოათავსა მოწინააღმდეგის კალათში და 27-ე წუთისთვის უკვე მისი გუნდი გაიჭრა წინ — 47:41.

მეორე ოცწუთეულის პირველ ნახევარში ჩეხებმა რომ უხეიროდ ითამაშეს, ეს იოლად ასახსნელია. მათ ხომ ამ დროისათვის ორი ძლიერი კალათბურთელი მოისაკლისეს — გამთამაშებელმა პეტრ ჩუდეკმა ზუსტად შესვენების წინ მუხლის ტრავმა მიიღო, ცენტრმა ირჟი ოკაჩმა კი 25-ე წუთზე მეხუთე პერსონალური „აიკიდა" და მოედანიც ვადაზე აღრე დატოვა. თუმცა ზდენეკ ჰუმელის გაწვრთნილები ამან ვერ გატეხა.

ლიდერობა თავის თავზე ახალგაზრდა ლუბოშ ბარტონმა აიღო და გუნდისთვის რთულ დროს, ამიტომაც მატჩის ბოლო ხუთწუთეულმა მთლიანად ჩეხების უპირატესობით ჩაიარა და მათ ვადაზე ერთი ტურით აღრე გაინაღდეს შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება.

ლიტვა 84:74 გერმანია

(I ტაიმი 32:32)

ლიტვა: ადომაიტისი (14), ეინიკისი, იასიკევიჩუსი, კარნიშოვასი (5), კ. მარჩულიონისი (6), მასიულისი (6), მასკოლიუნასი (1), საბონისი (20), შტომბერგასი (24), ე. ჟუკაუსკასი (2), მ. ჟუკაუსკასი (6)

გერმანია: არიგბაბუ (2), ბოგოევიჩი (6), ფემერლინგი (11), ლუტკე (3), ნეესი (1), ნოვიცკი (16), ნიურნბერგერი (3), ოკულაჯა (11), როდლი (4), ტერდენგე (1), ტომიჩი (7), ვუხერერი (9)



AFP კლერმონ-ფერანიდან

ესპანეთი — სლოვენია. რადოსლავ ნესტეროვიჩის (ბურთით) წინ ესპანელი ხუან იგნასიო რომერო აღმართულა

EUROBASKET 99 FRANCE

კატაშმა ებრაელებს გზას არ აუცდინა

ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპი. III ტური. 23 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP ტულუზიდან

მაკედონია — ისრაელი. მაკედონიელთა ლიდერი პეტარ ნაუმოსკი (ბურთით) რომ არ დაშავებულიყო, ებრაელ შალომ თორჯემანს (№7) და მის გუნდს მეორე ეტაპზე გასვლა ალბათ არ ეღირსებოდათ

ტულუზი

A ჯგუფი

მაკედონია 62:64 ისრაელი

(I ტაიმი 37:29)

მაკედონია: ბლაჟევსკი, ბოჩევსკი (13), ჩეკოვსკი, გეჩევსკი (9), იოვანოვსკი (10), კურტოვიკი (11), ნაუმოსკი (3), სრბინოვსკი, სტანკოვიკი (2), სტეფანოვი (14)

ისრაელი: ამსალემი, დანიელი (1), გუდესი (8), ჰენფელდი (21), კატაში (18), შეფერი (7), შელეფი, შტეინჰაუერი (7), თორჯემანი (2)

ამ ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება ორი ტურის შემდეგ ორ-ორი მოგებით საფრანგეთმა და იუგოსლავიამ გაინაღდეს. მესამე ვაკანსიისთვის კი გუშინ ისრაელი და მაკედონია შეეჯახნენ ერთმანეთს. ბოლო წამებში თავიანთი ლიდერის ოდედ კატაშის შედეგიანი თამაშის წყალობით ებრაელებმა მოწინააღმდეგეს გამარჯვება ხელიდან გამოსტაცეს და ძალიანაც გაიხარეს.

ჰენფელდისა და შტეინჰაუერის აქტიურობით წყალობით ისრაელმა მეტოქეს ფარქვეშ ბრძოლა მოუგო და ქულების უმეტესობასაც სწორედ ახლო მანძილიდან აგროვებდა. ამის საპასუხოდ მაკედონიელებმა სამქულიანების ხაზის გარედან სცადეს მოწინააღმდეგის კალათის დაბომბვა და ეს მშვენივრადაც გამოუვიდათ. პირველ ტაიმში მათი 15 ასეთი ცდიდან 8 გამოდგა შედეგიანი. მე-7 წუთზე ანგარიში 16:8 იყო მათ სასარგებლოდ. მალე ებრაელებმა თამაში მეტ-ნაკლებად გააწონასწორეს და მე-12 წუთზე ორ ქულასდა აგებდნენ — 20:22. მე-12 წუთი კი ექსიუგოსლავიელებისთვის იღბლიანი გამოდგა და უიღბლოც. იღბლიანი იმიტომ, რომ აქედან მოყოლებული სამწუთიანი მონაკვეთი 10:0 მოიგეს და თორმეტქულიანი უპირატესობაც მიაპოვეს — 32:20; უიღბლო და, იქნებ, უბედური კი იმიტომ, რომ მათი ბრწყინვალე გამთამაშებელი პეტარ ნაუმოსკი დაშავდა და თავისიანებს გამოაკლდა. არადა, რა დიდი ძალაა თურქული „ეფესის“ წევრი, ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდა უპეტაროდ დარჩენილი მაკედონია. თუმცა პირველ ტაიმში უნაუმოსკობა მის გუნდს დიდად არ შეტყობია და ეს ნახევარი ბალკანელებმა რვაქულიანი უპირატესობით დაასრულეს.

ებრაელთა დამრიგებელმა მული კაცურინმა შესვენება, ეტყობა, ერთობ ნაყოფიერად გამოიყენა. მეორე ტაიმში მისი შეგირდები თავიანთი სამქულიანი ხაზის დაცვას უფრო დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ. ამან მეტოქეს ჩვეული თულფის გამოყენებაზე უარი ათქმევინა. ხოლო თუ მაკედონიელები მაინც ახერხებდნენ შორეული ტყორცნების განხორციელებას, ამას მეტად მოუმზადებლად და უხეიროდ სჩადიოდნენ. მეორე ტაიმში მათ რვაჯერ სცადეს ერთბაშად სამი ქულის მოპოვება, მაგრამ მიზანს მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს.

ისრაელი კი საშუალო და ახლო მანძილებიდან აგროვებდა ქულებს და ჩამორჩენასაც ნელ-ნელა აბათილებდა. ანგარიში 33-ე წუთზე გათანაბრდა — 51:51.

ნაუმოსკის არყოფნაში ვრბიცა სტეფანოვმა სცადა თავისიანების წინამძღოლობა და ჯამში 14 ქულაც მოაგროვა, მაგრამ ეს გამარჯვების მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. თამაშის ბოლო წამებზე კი კატაშმა გაიბრწყინა და აღთქმული მიწიდან ჩამოსულები შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

„მოგება ძალიან გვსურდა და ამისთვის ყველაფერს გავიღებდით, მაგრამ ჩვენი ლიდერის ნაუმოსკის გარეშე თამაში არნახულად გაგვიჭირდა და აი, შედეგიც“ — სინანულით თქვა მაკედონიისთვის 13 ქულის მომტანმა ბოჩევსკიმ.

ებრაელთა მთავარმა მწვრთნელმა მული კაცურინმა კი თავისი ნაკრების ლიდერი კატაში შეაქო: „ბოლო ხუთი წუთი მისი ბენეფისი იყო. კატაში რომ არა, ნაღდად ვერ მოვიგებდით. პირველ ტაიმში სამქულიანებით გაგვაწამეს, მეორეში კი ეს აღარ გამოუვიდათ. მეორე ეტაპზეც თავდადებით ვიბრძოლებთ და იმედი მაქვს, მეოთხედფინალშიც გავაღწევთ“.

იუგოსლავია 63:52 საფრანგეთი

(I ტაიმი 27:33)

იუგოსლავია: ბოდიროგა (13), დანილოვიჩი (16), ობრადოვიჩი (7), ლონჩარი (4), ლუკოვსკი (6), დივაცი (10), ტარლაკი, ტომაშევიჩი (6), ტოპიჩი (1)

საფრანგეთი: სონჯო (8), დიგბო (7), ფუარე (5), სკიარა, ბმდულ-ვაჰადი (13), რიშაუ, ვეისი (6), ბილბა (7), სმიტი (6)

იუგოსლავია	3	3	0	227:181	6
საფრანგეთი	3	2	1	200:196	4
ისრაელი	3	1	2	191:220	2
მაკედონია	3	0	3	197:218	0

კლერმონ-ფერანი

B ჯგუფი

უნგრეთი 66:72 სლოვენია

(I ტაიმი 33:40)

უნგრეთი: ბენეი (3), ბოროში (4), ციგლერი (4), დავიდი (14), გულიაში (12), კალმანი (7), მესაროში (1), შიტკუ (21)

სლოვენია: ბეჩიროვიჩი (7), დანეუ (4), იურკოვიჩი (12), კრალევიჩი (2), ნესტეროვიჩი (16), მილიჩი (17), სმოდისი, ზდოვეცი (14)

ამ მატჩის წამგებისთვის ევროპის ჩემპიონატი, ფაქტობრივად, მთავრდებოდა და დამატებითი, იქნებ უმთავრესი ინტრიგაც ამან წარმოშვა. სლოვენიამ მოახერხა და ეს შეხვედრა წინა ორისგან განსხვავებულად, ანუ დაცვაში უშეცდომო თამაშით დაიწყო. უნგრელთაგან ერთადერთი შიტკუ გამოირჩეოდა, ისიც იმიტომ, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე სამქულიანს ესროდა და ხანდახან აგდებდა კიდეც. მათი აქამომდელი ბომბარდირი გულიაში კი უქეიფოდ იყო — მე-11 წუთზე მწვრთნელმა გამოცვალა, რადგან ოთხი პერსონალური მოეგროვებინა.

სლოვენიელებში, როგორც იქნა, ათამაშდა მარკო მილიჩი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „ფინიქს სანზის“ წევრი და უდიდესი დიაპაზონის კალათბურთელი. მილიჩმა შესაშური ფიზიკური მომზადება გამოავლინა და სწრაფი გარღვევები რამდენჯერმე დაასრულა ჩატენვით. ექსიუგოსლავიელთა ახალმოვლენილმა ლიდერმა, 19 წლის მატიას სმოდისმა კი ქულაც ვერ მიითვალა. ამის მიზეზი წელის ტკივილია. სმოდისი ამ ტრავმის გამო მატჩის პირველსავე წუთებზე შეცვალეს და მერე მოედანს აღარც დაბრუნებია.

ქულათა სოლიდური მარაგის შექმნა ორივე გუნდისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. ერთხანს სლოვენია შვიდი ქულით გავიდა წინ და ამ დროს უნგრელებმა თამაშში გულიაში დააბრუნეს. ამ კაცმა ჯერ ფარქვეშიდან ჩააგდო, მერე — სამქულიანი და სხვაობაც ერთ ქულამდე შეამცირა. ბოლო წუთზე იურკოვიჩმა ბურთი ჩაჭრა და გარღვევაზე გაიყვანა მილიჩი, რომელმაც მძლავრად ჩატენა. ბოლო წამებზე კი ბეჩიროვიჩმა საჯარიმო ჩააგდო.

მეორე ტაიმი მეტოქეებმა შემართებით დაიწყეს, ოღონდ ხუთ ქულაზე მეტით დაწინაურებას ვერცერთი ახერხებდა. შიტკუ აგრძელებდა სლოვენიელთა კალათის დაბომბვას, მას „ჩიკაგო ბულზის“ კორნელ დავიდიც აჰყვა. ამან შედეგად უნგრელთა დაწინაურება მოიტანა, დამთავრებამდე კი ათი წუთი რჩებოდა.

უნგრელთა საქმე შეტევაში კარგად კი მიდიოდა, მაგრამ დაცვისა რა მოგახსენოთ. მათი ცენტრები შებორკილნი იყვნენ — გულიაში და ციგლერი ოთხ-ოთხი პერსონალურის გამო ფრთხილობდნენ. ეს რადოსლავ ნესტეროვიჩისთვის მწვანე შუქის ტოლფასი აღმოჩნდა: „მინესოტა ტიმბერვულვზის“ ცენტრმა გაილაღა და ერთი-ორჯერ ჩატენა კიდეც. ეს უკვე გამარჯვების ნიშნავდა. სლოვენიამ, უხეირო სტარტის მიუხედავად, ერთი ამოცანა უკვე გადაჭრა — მეორე ეტაპზე გავიდა.

რუსეთი 69:72 ესპანეთი

(I ტაიმი-30:39)

რუსეთი: კარასიოვი (13), კუდელინი (11), პეტრენკო (19), კისურინი (2), ტიხონენკო, ბაბკოვი (5), ავლეევი (2), პანოვი (10), ნოსოვი (7)

ესპანეთი: ანგულო, როდილია (7), კორალესი (5), რომერო (4), როდრიგესი (3), ხიმენესი (5), დე ლა ფუენტე (7), ერეროსი (20), ესტელერი (3), დე მიგელი (7), რეიესი (6), დუენიასი (5)

რუსეთი	3	2	1	210:191	4
ესპანეთი	3	2	1	231:229	4
სლოვენია	3	2	1	204:209	4
უნგრეთი	3	0	3	213:229	0

ანტიბი

C ჯგუფი

ბოსნია 59:65 ხორვატია

(I ტაიმი 32:37)

ბოსნია: ალიჰოჯიჩი (5), ბეჩირაგიჩი (2), ფირჩი (23), ჰუკიჩი (5), კაპრიმანოვიჩი (2), ლერიჩი (2), მარკოვიჩი (11), მირკოვიჩი (2), მუეძინოვიჩი (7)

ხორვატია: გირჩეკი (4), ჰენიაკი, კრსტიჩი, კუკოჩი (11), მრშიჩი (12), მულაომეროვიჩი (10), პრკაჩინი, რუეიჩი (5), ვუჩიჩი (14), ზადრავეცი (9)

ორი ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკის მატჩში ფავორიტებად ხორვატები ითვლებოდნენ და მათაც სპეციალისტების ვარაუდი არ გააწბილეს. კუკოჩის თანაგუნდელებმა მეზობლები არ დაინდეს და შინ ნაადრევად გაისტუმრეს.

მეტოქეები მსაჯის სასტვენისთანავე მედგრად ეკვეთნენ ერთმანეთს და მაყურებელს მთელი ორმოცი წუთი არ მოაკლეს საინტერესო სანახაობა. უპირატესობა თავდანვე ხორვატებისა იყო. ისინი მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალებას არ აძლევდნენ, თუმცა დიდი სხვაობით დაწინაურებასაც ვერ ახერხებდნენ. მათ დაცვაში ბრწყინვალედ ირჯებოდა „ჩიკაგო ბულზის“ წევრი ტონი კუკოჩი, რომელსაც თავდასხმაში მრშიჩმა და ვუიჩიჩმაც კარგად აუბეს მხარი და მე-14 წუთზე ხორვატები ცხრა ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ ტაიმი მხოლოდ ხუთი ქულით მოიგეს — 37:32.

შესვენების შემდეგ მანამდე ეულად მებრძოლ მარკოვიჩს ფირჩიჩიც აჰყვა და 29-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა — 46:48. ისე, ნათქვამია, ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერო. ფირჩიჩისა და ხორვატთა საქმეც ასეა. ბოსნიელთა შორის ყველაზე შედეგიანი ხომ წარმოშობით ხორვატია. თუმცა ამჯერად ანდაზის სიბრძნემ ბოლომდე ვერ გაჭრა და ბოლო წუთებში დაღლადატყობილმა ბოსნიელებმა ფირჩიჩის დახმარებითაც ვერ სძლიეს მეტოქეს, ზედიზედ მესამე მარცხი იწვნიეს და ტურნირსაც დაემშვიდობნენ.

ხორვატია კი, თუ გუშინდელივით გუნდურად ითამაშებს და მარტო კუკოჩის იმედზე არ იქნება, ძალიან მაღლაც შეიძლება აფრინდეს.

იტალია 64:61 თურქეთი

(I ტაიმი 33:34)

იტალია: ბონორა (4), ბაზილე, გალანდა, ფუჩა (9), მარკონატო (5), დე პოლი, მაიერსი (20), მენეგინი (14), აბიო (1), კიაჩიგი (11), დამიაო

თურქეთი: თუნჩერი (8), თურქოღლუ (6), თურქჯანი (13), ქონუქი (2), ილდირიმი (6), ქუთლუაი (10), ოქური, ბეშოქი (12), ფარსი (2), სარიჯა (2)

თურქეთი	3	2	1	188:169	4
იტალია	3	2	1	196:190	4
ხორვატია	3	2	1	198:197	2
ბოსნია	3	0	3	160:186	0

დიჟონი

D ჯგუფი

ჩეხეთი 68:77 გერმანია

(I ტაიმი 33:49)

ჩეხეთი: ბარტონი (17), ბეჩკა (11), იდესი, კლაპეტეკი (6), ნოვაკი (8), ოკაჩი (5), ტრემლი (5), ვაჰალა (8), ი. ველში (2), პ. ველში (6)

გერმანია: არიგბაბუ (2), ბოგოვიჩი (3), ფემერლინგი (7), ლუტკე, ნეესი (11), ნოვიცკი (23), ნიურნბერგერი (5), ოკულაჯა (10), როდლი (5), ტერდენგე (4), ტომიჩი (5), ვუხერერი (2)

ამ მატჩის შედეგის განჭვრეტა დიდ სიძნელეს, ალბათ, არ წარმოადგენდა. შესარჩევ ეტაპზე ჩვენს თანაჯგუფელ ჩეხეთს მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება უკვე დაბეებული ჰქონდა და გასაკვირი არ იქნებოდა, თავს ძალიანაც თუ არ გამოიდებდა. გერმანია კი წაგებით შესაძლოა პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილიყო, თუ საბერძნეთი ლიტვას ქულათა ორიდან ოცამდე სხვაობის ფარგლებში დაამარცხებდა. აბა, ვის უყვარს სხვის იმედზე ყოფნა (ქართველების გარდა)? გერმანიამაც ხელი გამოიღო და ლიტვა-საბერძნეთის მატჩსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა — წაგებული ჯგუფში რჩებოდა, მოგებული კი საფრანგეთში.

შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში გადაწყდა, რომელიც გერმანიამ 16 ქულით მოიგო. საწყის ხუთ წუთში ბრძოლა თანაბარი იყო — 10:10. მერე ნოვიცკის თანაგუნდელებმა თამაშის ტემპი გაზარდეს და ექვსქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს — 18:12 (მე-9 წუთი). გუნდების მიერ ორ-ორი ქულის გაცვლის შემდეგ, ნოვაკმა სამქულიანით ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა, მაგრამ ჩეხები ფარქვეშ, შეიძლება ითქვას, სულს ღაფავდნენ. ფემერლინგი-ნოვიცკის დუეტი ორივე ფართან სიტუაციის ბატონ-პატრონი იყო. ამასთან ჩეხები ვერც სამქულიანი ხაზის გარედან ახერხებდნენ ტყორცნას, რადგან გერმანელთა დაცვა მათ სნაიპერებს გასაქანს არ აძლევდა. რამდენჯერმე ბურთის ჩაჭრის შემდეგ ჰენრიკ დეტმანის გაწვრთნილებმა მოწინააღმდეგეს 9:0 მოუგეს ხუთწუთიანი მონაკვეთი და მე-15 წუთისთვის ჩეხები უკვე 12 ქულით ჩამოიტოვეს — 29:17. ტაიმის ბოლო ხუთ წუთში ღია თამაში გაჩაღდა. გუნდები ქულას ქულაზე აკეთებდნენ. ტიმ ნეესის კარგით თამაშის წყალობით (9 ქულა დროის ამ მონაკვეთში) გერმანიამ აქაც იმარჯვა და უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა — 49:33.

შესვენების შემდეგაც გერმანია ლაღობდა. მისმა ცენტრმა ნოვიცკიმ სამქულიანიც კი ჩააგდო და 23-ე წუთზე 58:39 გახდა. აქ დაწინაურებულები მოდუნდნენ, ამით კარგად ისარგებლეს ჩეხებმა და ბარტონის მეშვეობითა და შორეული ტყორცნების წყალობით 34-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა 9 ქულამდე შეამცირეს — 67:58. მეტის გაკეთების საშუალება მათ გერმანელებმა აღარ მისცეს.

გამარჯვებულთა მწვრთნელი ჰენრიკ დეტმანი სიხარულს არ მალავდა: „ბედნიერი ვარ, რომ შემდეგ ეტაპზე გავედით. ჩვენი გუნდის ყველა წევრმა საუცხოოდ ითამაშა, მე ვერავის გამოვარჩევ.“

საბერძნეთი 64:82 ლიტვა

(I ტაიმი 28:44)

საბერძნეთი: კალაიცისი (2), ბალოიანისი, ბუდურისი (14), პაპანიკოლაუ (21), სიგალასი (2), კორონიოსი (8), სულისი (2), ცაკალიდისი (9), იანულისი (2), კაკიუზისი (4), კარაგუტისი

ლიტვა: ასიკევიჩუსი (4), მ. ჟუკაუსკასი (9), მასიულისი (1), შტომბერგასი (13), კ. მარჩულიონისი (9), ე. ჟუკაუსკასი (4), ადომაიტისი, საბონისი (18), კარნიშოვასი (20), ეინიკისი (4)

ჩეხეთი	3	2	1	228:211	4
ლიტვა	3	2	1	228:216	4
გერმანია	3	2	1	210:210	4
საბერძნეთი	3	0	3	194:223	0

სოსას საკნატუნო სამშობლოსთვის

„ჩიკაგო კაბსის“ ბეისბოლისტი სემი სოსა ყველა კოლოფზე მიხატული კაცია. აგე, მორიგი ასეთი კოლოფი — საკნატუნო ხორბალი „სლემინგ სემი“, რაიც სწორედ ამ დღეებში წარუდგინა მყიდველს თავად სოსამ. „სლემინგის“ პირველი პარტიის გაყიდვით შემოსული ფული მთლიანად სოსას ფონდში გადაირიცხება, იქედან კი ქარიშხლებით დანგრეულ მის სამშობლოს — დომინიკის რესპუბლიკას შეეწევა. ისე კი, წლევანდელ სეზონში სოსა ჰოუმრანებში ლიდერობს.



REUTERS კოლოდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS მელბურნიდან

თასით მელბურნში

ზეიმობს ავსტრალია! კრიკეტის მსოფლიოს თასით ხელდამშვენებული კაპიტანი სტივ ვო და ლიდერი შეინ ვორნი ცენტრალურ მელბურნში დასრიალებენ თანაგუნდელებთან ერთად. გადახდილ მანქანაში მყოფთ მთელი ავსტრალია ესალმება. კრიკეტი ის კი არ არის, რომ... ნარდის გორება. კრიკეტი გმირთა თამაშია. ორგზის მსოფლიოს ჩემპიონობა კი ორგზის გმირობაა. ამოტოლა ხალხსაც იმიტომ მოუყრია თავი მელბურნის თაუნ ჰოლთან.

REUTERS მელბურნიდან

მომავალ ჩემპიონთა ბუტბუტი



REUTERS ნიუ იორკიდან

მალე ენბიეის, ანუ მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონიც გამოვლინდება. ექსპერტთა დაკვირვებით, მომავალ ჩემპიონთა გამწვრთნელი სწორედ ეს კაცია. მას გრეგ პოპოვიჩი ჰქვია და „სან ანტონიო სფურზის“ მთავარი მწვრთნელია. ბიჭი, რომელსაც პოპოვიჩი ელაპარაკება, მისი შეგირდი ანტონიო დენიელსი გახლავთ. ისე კი, გრეგსა და მის ბიჭებს ცხელი საღამო ედგათ „მედისონ სკვერ გარდენში“, სადაც „ნიუ იორკ ნიკსმა“ თავისი პირველი თამაში მოუგო „სფურზს“ და ბრძოლის იმედი შეინარჩუნა.

ჯაი-ალაი აღდგა

ჯაი-ალაი ფილიპინელთა ეროვნული თამაშობაა, ხელბურთსაც ჰგავს და კალათბურთსაც, თუმცა, არც ერთია და არც მეორე. რახან ესპანელები ერთ დროს შინაურ ხილად ითვლებოდნენ ცხელ კუნძულებზე და აკი თავიანთი გვარებიც კი დაუტოვეს იქაურებს, სანაცვლოდ ჯაი-ალაი წაუღიათ. მანილაში ახლაღა დასრულდა ჯაი-ალაის 2,600-ადგილიანი სტადიონის მშენებლობა, რაიც მილიარდი პესო დამჯდარა. გახსნის თამაშზე ფილიპინელებს ესპანელები მოუწვევიათ. სხვას ვის მოიწვევდნენ? ჯაი-ალაი ათ წელიწადს აკრძალული ყოფილა, რადგან, როგორც ფილიპინელთა საყვარელი თამაში, იატაკქვეშა ტოტალიზატორების განვითარებას უწყობდა ხელს. ახლა ისევ დაუშვიათ. ღმერთმა ჯაი-ალაი მოუმართოთ.



REUTERS მანილიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29